

K81.525  
3

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ  
ବିହାର ମାଲିକ

# ନୋଲନ୍ଦନ ପ୍ରାଚୀମ୍ବଳୀ



ତଥାପି  
କାଳିକାର  
ମେଘମହିଲେଖକମି



ତଥାପି  
1958

Академия Наук Грузинской ССР

Соломон Цайшвили

Тбилиси  
в народном  
творчестве



Издательство Академии наук Грузинской ССР


Тбилиси 1958

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

სოლომონ ცაიშვილი


თბილისი  
სალონი  
მემონემელებაში

K 81. 525  
3



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა

თბილისი 1958



## თბილისი და ქართული ფოლკლორი

არის ცნობილი გამოთქმა: თუ თბილისს იცნობ, მაშინ  
 საქართველოც შეგისწავლიათ. თბილისი ნამდვილად არის  
 საქართველოს სული და გული. ვინ არ მოუხიბლავს თბილი-  
 სის მშვენებას, ამიტომ ამბობდა ჩვენი ქალაქის დიდი მოტრ-  
 ფიალე გრიგოლ ორბელიანი: „კაცი ყველგან შეუძლია იყოს,  
 თუნდ იაპონიაში, თუნდ შვეიცარიაში, თუნდ ინგლისში, მავ-  
 რამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროს“. თბილისს  
 ყოველთვის პქონდა საკუთარი ცხოვრება, საკუთა-  
 რი ყოფა, ადათი და ეს აძლევდა მას განსაკუთრებულ მრმზიდ-  
 ველობას. ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თბილისი  
 ერთ-ერთი უძველესი ქალაქია მთელს ჩსაცალიაში.

თბილისს ჩვენ ათასეუთასი წლის ჭაბუქს ვეძახით. ეს  
 არის თარიღი თბილისის დედაქალაქად გადაქცევისა. მაგრამ,  
 თბილისის ისტორია უფრო უძრე იწყება. არის მშვენიერი ლე-  
 გენდა, რომელიც თბილისის პირველ დასახლებას ფარნაონ  
 ქართველთა მეფეს უკავშირებს. მეფის მიერ დაჭრილი ირემი  
 თბილისურ წყლებს განუკურნავთ. განცვიფრებულ მეფეს ამ  
 მშვენიერი აღვილების დასახლება განუზრახავს. საინტერე-  
 სოა, რომ ძველი ქართული მატიანეებიც ფარნაოზთან დაკავ-  
 შირებით თბილისს ხშირად ახსენებენ, მაგრამ ეს მხოლოდ  
 ზოგადი ხასიათის ცნობებია. თბილისის არქეოლოგიურმა გა-  
 თხრებმა კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა მოგვეპა ამ სა-  
 კითხებზე. ირკვევა, რომ თბილისი ჯერ კიდევ ძველი წელთ-  
 აღრიცხივის მე-3 საუკუნიდან მაინც მჭიდრო დასახლებული  
 ადგილი ყოფილა.

ამგვარად, თბილისის დაარსების საისტორიო ძაფებს უხ-  
 სოვარ პერიოდში გადავყავართ. გამოჩენილმა მეცნიერებმა  
 და კერძოდ, თბილისის ისტორიის მკვლევრებმა, კარგა ხანია

ჩვენი დედაქალაქი მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქად აღიარეს.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ თბილისი, როგორც სავაჭრო მნიშვნელობის ქალაქი, ან დაბა, არსებობდა ახალი წელთაღრიცხვის დაწყებამდე.

ახალი წელთაღრიცხვით კი სიტყვა „ტფილისი“ საქართველოს მატიანეში პირველად ნახმარია 368 წლებში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, როცა მოგიდა „სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად ციხედ“.

ასე რომ, თბილისის როგორც ქალაქისა და სამეფოსათვის მნიშვნელოვანი პუნქტის აღორძინება ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის მიწურულსა და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დამდევს შუაა მომხდარი. ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე და მეოთხე საუკუნეში კი, იგი უკვე სამხედრო და სტრატეგიული მნიშვნელობის „ციხე-ქალაქია“, ხოლო მეხუთე საუკუნეში—საქართველოს სამეფო რეზიდენცია.

ახლად გადეს აქალაქებულ თბილისს, სადაც ამიერიდან უნდა დამკვიდრებულიყო სამეფო სრა-სასახლეები, ცხადია, ახალი მშენებლობა და შესაფერი. რეკონსტრუქციაც დასჭირდა.

ასეთი მშენებლობაც დაუწყია მის განმაახლებელსა და აღმზევებლს, სახელგანთქმულ ქართველ მეფეს ვახტანგ გორგასალს. „ვახტანგ მეფე აშენებდა ქალაქსა ტფილისისა, საფუძველი ოდენ დაედვა“, — წერს ვახტანგ გორგასალის მემატიანე ჯუანშერი. ვახტანგ გორგასალს დაწყებული საქმის დასრულება სიცოცხლეში ვერ მოუსწრია, მაგრამ იმავე მემატიანის ცნობით ეს დიდი საქმე მის მემკვიდრეს, დაჩი (იგოვე არჩილ) მეფეს დაუმთავრებია. მემატიანე ამის შესახებაც გადმოგვცემს: ამან, დაჩი მეფემან, შემდგომად სიკვდილისა ვახტანგისა... „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“—ო. ამ წყაროებში, ცხადია, ლაპარაკია არა ქალაქის დაარსებაზე,

არამედ მის რეკონსტრუქციაზე, გამშვენიერებაზე და სამეფო  
სასახლეების საფუძვლის ჩაყრაზე და მშენებლობაზე.

ამის შემდეგ ბუნებრივია მეორე ძველ მატიანეში („მოქ-  
ცევა ქართლისა“) ნათქვამი, რომ „ტფილის კაცნი დასხ-  
დებოდეს“ და „მცხეთა ათხელდებოდესო... არმაზი შემცირ-  
დებოდეს და კალაა (ციხე თბილისისა) განდიდებოდესო“.

რაკი ქვეყნის უმაღლესი მართვა-გამგეობა თბილისში  
გადავიდა, იგიც ძლიერდებოდა, ძრდებოდა, მშვენიერდებოდა  
და როგორც ახალი დედაქალაქი, საქართველოს სხვა ქალაქთა<sup>1</sup>  
შორის, სახელს იხვეჭდა და ხალხის სიყვარულით იმოსებოდა.

ხალხის სიყვარულით იმოსებოდა აგრეთვე მისი დე-  
დაქალაქად გადამქცევი ვახტანგ გორგასალი, რომელსაც ხალ-  
ხი არა თუ მარტო თბილისის დედაქალაქად გარდაქმნასა და  
გამშვენიერებას მიაწერს, არამედ მის დაარსებასაც. ამ თემა-  
ზე ქართველ ხალხს მშვენიერი ლეგენდაც შეუქმნია. ვითომ  
ვახტანგ მეფე სანადიროდ წასულიყო ახლანდელ თბილისის  
მიდამოებში, რომელიც მაშინ გაუვალი და ულრანი ტყე ყო-  
ფილა. მისი დაგეშილი მიმინო ხოხობს გამოჰკიდებია და ხო-  
ხობიანად სადღაც შორს გადაკარგულა. მეფის მხლებლები  
დაღვევნებიან მიმინოს. გზაზე უნახავთ, რომ მიმინოს ხოხობი  
ჯაჭვირა, მაგრამ ორივენი იქვე მოჩუხებულე, ბუნებრივად  
ცხელ წყალში ჩავარდნილან და ჩათუთქულან. მეფე და მისი  
ამაღა ამ სანახაობამ ძლიერ გააკვირვა თურმე. და თანაც მე-  
ფეს მოსწონებია ეს ცხელი წყარო და მისი მიდამოები. უბრ-  
ძანებია იქ ქალაქის გაშენება და ამ ახალგაშენებულ ქალაქსაც  
„ტფილი“ წყლების გამო „ტფილისი“ ეწოდათ,—გადმოგვცემს  
„ქართლის ცხოვრება“ ხალხის მიერ შექმნილ ამ ლეგენდას.

როგორც ჩანს, თბილისის აღზევებასთან მჭიდროდ არის  
დაკავშირებული სახელი ვახტანგ მეფისა, რომელიც მტრებ-  
თან ბრძოლაში გამარჯვებისა და უძლეველობის გამო ქართ-  
ველმა ხალხმა უმშვენიერესი ლექსებით შეამკო. ამ ციკლი-

<sup>1</sup> მცხეთა, უფლისციხე, რუსთავი, ურბნისი, სარკინე, სამშეილდე, ხუ-  
ნანი, ქუთაისი, შორაპანი, ფოთი, არქეოპლისი (ნაქალაქვი) (ოძრხე, ეგ-  
რისი) (იგივე ბედია), ხორნაბუჯი (ჰერეთი) და სხვ. იმდროისათვის ცნო-  
ბილი ქალაქები იყვნენ.

დან ერთი ჩვენამდე მოღწეული ლექსი დღესაც აშვენებს  
ხალხური სიმღერების ძვირფას მემკვიდრეობას:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,  
ციდან ჩამოესმა რეკა;  
დალბუზზე ფეხი შედგა,  
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა...  
ოსეთი გადაიარა,  
ჩერქეზებიც გადარეკა... და სხვ.

ხევსურეთში დღემდე შემონახულა ერთი მეტად საინტერესო ნაწყვეტი ვახტანგ მეფის შესახებ. ამ ნაწყვეტში მაღალ მთებში გაწვრთნილი მოშაირე მხედარი ვახტანგ გორგასალის გმირულ პორტრეტს ამგვარად გვიხატავს:

პირდაპირ შამაგხედევდი  
ციხის გალაგნის პირსაო;  
ნეფე ყოფილს გორგასლამ,  
მშვილდ უჭეხებავ გმირსაო...

პროფ. აკაკი შანიძე სამართლიანად ფიქრობს, რომ ეს ნაწყვეტი უძველესი ლექსის ნაშთად უნდა ჩაითვალოს და ქართული ლექსის მეტრიკის ისტორიისათვის ძვირფასი მონაპოვარია<sup>2</sup>.

მას შემდეგ 15 საუკუნე გავიდა. ქართველ ხალხს ყურადღებიდან არ გამორჩენია არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი თავისი დედაქალაქის თავგადასავლიდან, რომ იგი თავისი მხატვრული სიტყვით არ აესახა. სწორედ, დედაქალაქად ქცევის მომენტიდან თბილისი ხდება მარადიულ თემად ქართული ხალხური პოეზიისა. მიზეზები ხალხის ამგვარი სიყვარულისა და ყურადღებისა თბილისისადმი თვით ამ ქალაქის მნიშვნელობაში უნდა ვეძიოთ.

<sup>2</sup> აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია (ხევსურული), გვ. 79.

თბილისის ამ მნიშვნელობას უსვამს ხაზს თავის ერთ სპეციალურ ნაშრომში აკადემიკოსი სიმონ ჭანაშია. მისი აზრით, თბილისის გადედაქალაქების შემდგომი ისტორია განსაკუთრებით მდიდარი და რთულია. ქალაქის მნიშვნელობა ყველა იმ გარეშე ძალის უდიდეს ყურადღებას იქცევდა, რომელთაც საქართველოს დამონება ეწადათ. თუ აგრესორი საკმაოდ ძლიერი იყო, იგი ცდილობდა თბილისში დამკვიდრებულიყო და ქალაქი გაეხადა მთავარ საყრდენ პუნქტად საქართველოში, თუ მას საამისო ძალები არ მოეპოვებოდა, მიზნად ისახავდა მის სრულ მოსპობას.

მაგრამ მრავალტანჯული, მრავალჯერ დანგრეული ქალაქი ფენიქსივით ცოცხლდებოდა. ამაში გამოჩნდა თბილისის, როგორც საქართველოს ორგანული კულტურულ-ეკონომიკური ცენტრის, მნიშვნელობა. ტყუილად კი არ უწოდებდა თბილისს ქართველი ხალხი „ქალაქს“; ეს მისთვის ყველაზე დიდი, მნიშვნელოვანი და ტიპიური ქალაქი იყო.

მართლაც, თბილისს საქართველოს სინამდვილეში მეორე საკუთარ სახელად „ქალაქი“ ჰქვია. ყოველი ქართველი კაცი, ვინც გინდა ყოფილიყო ის—გლეხი, აზნაური, თავადი, მხედარი თუ სასულიერო პრინცი, როცა მას თბილისის ხსენება სჭირდა, მხოლოდ სიტყვა „ქალაქი“ კმაროდა მისთვის. ის თუ თბილისში მიღიოდა, იტყოდა „ქალაქს მივდივარო“, ან „ქალაქიდან მოვდივარ“, ან „ქალაქს უნდა წავიდეო“. ამ „ქალაქად“ ყველგან თბილისი იგულისხმებოდა. ქართველი—სათვის თბილისი, მართლაც, რაღაც ტიპიური და განსაკუთრებული იყო. იგი საქართველოს სხვა ქალაქებს—თელავს, სიღნაღმს, მცხეთას, გორს, ქუთაისს, ახალციხეს, ბათუმს და სხვებს—ნამდვილ საკუთარ სახელს ეძახის, მისთვის ესენიც ყველა ქალაქია, მაგრამ არა რამე განსაკუთრებული და უჩვეულო, რომ რომელიმე მათგანის ხსენება მხოლოდ სიტყვა „ქალაქის“ აღნიშვნით კმარიყოს. არა, ამ შემთხვევაში პრიმატი მხოლოდ თბილისს ეკუთვნის. რომელიმე კუთხის ქართველმა თუ გითხრათ: ქალაქს მივდივარ, ან ეს კაცი ქალაქელია, ეს იმას უდრის, რომ ის თბილისს მიდის, ეს კაცი თბილისელია (ან თბილელი, როგორც მაშინ იტყოდნენ). ამასვე

უსვამს ხაზს პოეტი და მკვლევარი ი. გრიშაშვილი თაგძე  
წიგნში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოპემა“. ამის  
დამადასტურებელია ილია ჭავჭავაძის „ივერიას“ შემდეგი  
სიტყვებიც „ისტორიულმა დიდებამ თბილის სახელი იმდენად  
გაუთქვა, რომ იგი დღეს ყოველი ქართველის თვალში მარტო  
ქალაქია—უხსესნებლადაც ადვილსაგრძნობელი და საცნაური.  
ქალაქია—უხსესნებლადაც ადვილსაგრძნობელი და საცნაური.  
ქუთაისიც ქალაქია, უფრო ძველიცა ვიდრე თბილისი, მაგრამ  
ქართველი რომ იტყვის: „ქალაქს მივდივარ“, მხოლოდ თბი-  
ლისს გულისხმობს<sup>3</sup>. ქართველი ხალხის ამ ჩვეულებას განსა-  
კუთრებული ყურადღებით აღნიშნავდა აგრეთვე ცნობილი კავ-  
კასიოლოგი ვეიდენბაუმიც<sup>4</sup>. ასე იყო წარსულში, ასეა დღე-  
საც.

ყველაფერი ეს ამ 15 საუკუნის მანძილზე შემუშავდა და  
განმტკიცდა ერის შეგნებაში. „ხალხმა თბილისი დიდი სიყვა-  
რულით შემოსა. თბილისის მაგარ კედლებთან არა ერთხელ  
ჰპოვა საიმედო დაცვა ხალხის თავისუფლებამ, რომელსაც  
ხელჭყოფდნენ უცხოელი დამპყრობნი და შინაური მოძალა-  
დენი“ (ს. ჯანაშია).

ისტორია მიგვითითებს, რომ ამ დაცვაში განუსაზღვრელი  
და უმაგალითო იყო სისხლისღვრა ქართველი ხალხისა ხში-  
რად უთანასწორო ბრძოლებშიც. მაგრამ განუსაზღვრელი იყო  
მისი სიხარულიც, როცა მისგან საუკუნეობით დაცული, მისი  
საყვარელი ქალაქი, მარად მასვე ეკუთვნოდა. მისთვის იგი  
ყველაფრით შემკული და უძველესი იყო. მტერზე გამარჯვე-  
ბის ყოველ მომენტში ის აღფრთოვანებული უმღეროდა თა-  
ვის დედაქალაქს:

თბილისო, დედაქალაქო,  
შემკულო ყოვლისფრითაო...  
უძველეს ყოვლის სოფლისა,  
წელობით დიდის ხნითაო..

<sup>3</sup> „ივერია“, 1900, №207.

<sup>4</sup> Путеводитель по Кавказу, 1888, стр. 304.

აქედან აშკარად ჩანს, რომ ხალხმა იცოდა მისი დედაქალაქის უძველესობა, გრძნობდა, რომ ის „უძველეს ყოვლისა-სოფლისა“ იყო, მისთვის მარად ახალი, მრავალჯერ. განახლებული, მრავალჯერ მტრისაგან დანგრეული და ფერფლად ქცეული, მაგრამ ხალხის ნებითა და სიმტკიცით კვლავ ფენიქსებრ აღდგენილი, და გაცოცხლებული. ხალხის წარმოდგენით, „მას სხვა ქალაქი არა სჭობს“, სხვები უღირსად აქებენ რომელიმე სხვა ქალაქს, თორემ თბილისო, მიმართავს ის თავის დედაქალაქს, „შენს მსგავსსა რათა ჰპოვებენ, რათა აქვთ ენა თნებისაო“, და იქვე მკაფიოდ გამოთქვამს თავის შეხედულებას თბილისზე:

მას სხვა ქალაქი არა სჭობს  
 ეს ცნობილია ხომ დღესა!  
 ნიჭებით უნაკლულოი  
 ის შეუქმნია მისს სვესა...

გარდა ამისა თბილისი შესანიშნავია ხალხისათვის და ღირსი მისი პოეზიისა მისი შესანიშნავი ბუნებით. ამ ბუნებაში მოცემული საოცრებით, მიწის წიაღიდან ამომქუჩარე თავის-თავად, ბუნებრივად, ცხელი წყაროებით, რომელნიც „სნეულთ ჰკურნავს“ და ჯანმრთელს „ამშვენიერებს“, აჰაროვნებს.

აბანოს მსგავსი რა არის,  
 არ მოიძევის არსადა,  
 ბუნებით თბილი წყალი ჩქეფს  
 სნეულთ მკურნალი არადა....

ხალხური მთქმელები დედაქალაქის ამგვარ შემკობაში, დახატვასა და დახასიათებაში განუწყვეტლივ ეჭიბრებიან ერთიმეორეს.

ნეტა ქება როგორ ითქმის  
 ამ თბილის ქალაქისაო,

იმისი აბანოები  
ფასია ხმელეთისაო....

მღერიან ერთნი, ხოლო მეორენი დამატებენ:

ძირიდან აშენებული  
აუზებია ქვისაო,  
მაღლიდან ამოჭედილი  
წითელ იაგუნდისაო...  
ვინც შევა, აგრე გახდების,  
როგორც თოვლია მთისაო,  
ქალი და რძალი გამოდის,  
ვით რო ვარსკვლავი ცისაო.

ზოგიერთი თბილისის ბუნებას გაუტაცნია, მას უმღერის  
და ახასიათებს, თავისი დიდი ხნის დაკვირვებითა და გამო-  
ცდილებით ირწმუნება, რომ თბილისში

ზამთარი იცის ბროლისა,  
ზაფხული—ზურმუხტისაო....

სხვა მთქმელები ქალაქის მოწყობილობას აგვიწერენ, მის  
სიმდიდრესა და ცხოვრების ზოგიერთ სახეებს, რომლებიც კი  
მათთვის საგულისხმო გამხდარა. მაგალითად: ქალაქს

გარს ახვევია ბალები  
ჩარხი უბრუნამს წყლისაო....

ან კიდევ:  
დუქნები ბევრი დამართეს  
სასხდომი ვაჭრებისაო,  
ქვეშ ქუჩები დაატანეს  
სარბენი არი გზისაო....

სხვა შემთხვევაში ხაზს უსვამენ, რომ ქალაქში:

ხოის ლაინი ბევრია  
 და ფარჩა ბეზირგნისაო.  
 საყდარიც ბევრი ააგეს  
 ამ თეთრი ქვიტკირისაო...

და ისიც იციან, რომ:

ხაზინაები აწყვია  
 მოჭრილი თამარისაო....,

რომლის პატრონად და ლირსეულ გამგებელად უკანასკნელი  
 მთქმელის გულდაწყვეტილი ცნობით

ერეკლე ბატონი იჯდა,  
 ბადალი ხმელეთისაო...

ამგვარად, მთელი ეს ხალხური ილიადა თბილისის გარ-  
 შემო, მის სამღერლად, შესამკობად, სახოტბოდ და ოლსაწერად  
 მიმზიდველი ბუნებისა და მშვენიერებისა, შექმნილია ჟამთა-  
 ვითარების გრძელ მანძილზე. ამის დამადასტურებელია ლექსის  
 მრავალი ვარიანტი და ფაქტურა, მასში შემოტანილი ინვენ-  
 ტარი, დასახელებული ფაქტები და პიროვნებანი, მისი მოკლე  
 და ვრცელი ვერსიები და სხვა, რომელთა ნიმუშებიც კი დღე-  
 ვანდლამდე მოღწეულა ბეღნიერი ხელის კეთილგარჯილობის  
 შედეგად.

ქართველ ხალხს თავის პოეზიაში ასახული აქვს თავისი  
 საყვარელი დედაქალაქის როგორც აღზევება, ისე მისი და-  
 ცემის ხანაც. ამ მხრით ჩვენს ღრომდე მოღწეულია ხალხური  
 ეპოსის სანიმუშო ნაწყვეტები.

ქართულ ეპოსს ვერ შემოუნახავს, ანდა ჯერჯერობით  
 მიკვდეული არ არის, ჯერ კიდევ ახალგაზრდა დედაქალაქის-  
 ოოხრება, გაძარცვა და დანგრევა 627 წელს ბიზანტიის კეისარ  
 ჰერაკლესაგან. ბიზანტიელებისა და ველური ხაზარებისაგან  
 შემდგარმა კეისრის ჯარმა, ერთი უძველესი მატიანის ცნობით,  
 უთვალივი განძეულობა გაზიდა თბილისიდან, ამ „გასათუთე-  
 ბულ, სავაჭრო დიდებულ ქალაქიდან“. ამასვე ადასტურებს

სომეხი ისტორიკოსი კალათ-კატვაწი, რომელიც გადმოგვცემს, რომ ხაზართა მეომარნი თბილისის დარბევის შემდეგ ისე გამდიდრდნენ, რომ ხმარობდნენ მხოლოდ ვერცხლის ფიალებსა და დოსტავენებს, ოქროთი დაფერილებსო.

არც არაბობის პერიოდიდან გვაქვს რაიმე ხელშესახები ნიმუში ხალხური შემოქმედებისა. არ შეიძლებოდა ამ ხანგრძლივი ძნელბედობის პერიოდში ხალხს თავისი განწყობილება არ გამოხეატა, თავისი გულისტკივილი და თანაგრძნობა არ გაემუდავნებია ვერაგი მტრის ტყვეობაში მყოფ დედაქალაქისადმი, იმ ქალაქისადმი, რომლის შესახებ თვით არაბი სოვდაგარი, იბნ-ხიუკალი, მეათე საუკუნის მიწურულში წერდა: „თბილისი ნაყოფიერი ქალაქია, გამაგრებული, მდიდარი იაფფასიანი სანოვაგით; თავისი კეთილდღეობით იგი სხვა მდიდარ სახელმწიფოებს აღემატება... ეს ქალაქი წარმოადგენს,—დასძენს იგი,—თვალსაჩინო ოლქს, რომელსაც მტერი ყოველი ბლომად არტყია“. დასასრულ, მის ყურადღებას იპყრობს ქალაქის კეთილმოწყობა და აბანოები, რომელთა შესახებ ის კვლავ დასძენს თავის აღწერილობას, რომ „ტფილისში არის აბანოები, იმის მსგავსი, როგორც ტივერია დაშია. ამ აბანოების ჭყალი უცეცხლოდ დუღლს“<sup>5</sup>.

ამ სტრიქონებიდან მკითხველი ხედავს, რომ საქართველოს დედაქალაქი მეათე საუკუნეში ნაყოფიერი, მდიდარი, კეთილმოწყობილი და გამაგრებული ქალაქი ყოფილა, ხედავს, რომ იგი ზოგიერთ მდიდრად მიჩნეულ მოსაზღვრე და მეზობელ სახელმწიფოებზე აღმატებულიც ყოველია, რომ ასეთი ქალაქი და მისი ქვეყანა არაბი სოვდაგრის აბულკასიმ იბნ-ხიუკალისათვის ერთ-ერთ მოსაზღვრე „თვალსაჩინო ოლქს“ წარმოადგენს.

თბილისის ეს ტყვეობა და „თვალსაჩინო ოლქობა“ დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე, მეორე დიდი და უძლეველი მეფე, დავით აღმაშენებელი არ გაათავისუფლებდა მას 1122 წელს დიდი ბრძოლების შედეგად და სამეფო ტახტს ქუთაისიდან აქ არ გადმოიტანდა.

<sup>5</sup> ნ. პ თლიერ ტოვი, გ. ნათა ა ძე, ძველი თბილისი, გვ. 1.

ეს ტრიუმფალური გამარჯვება ქართველ ხალხს არ შეიძლებოდა არ აესახა თავის მდიდარ პოეზიაში მრავალი სხვადასხვა სახის უარითა და შემოქმედების ნიმუშებით. განახლებმა არ უმღერა:

სიქველეს, სიფრიადესა,  
 დავითის აღმაშენთასა,  
 მტკიცესა მკლავსა განმგესა  
 წყობასა სპარაზენთასა...  
 ხიდთა, გზათა და ზღუდეთა,  
 ხანაგად კვლავ საყენთასა?

ასე უმღერა ხალხმა დედაქალაქის კვლავ დაბრუნებას. მაგრამ, ცხადია, ამ სიმღერებიდან ცოტა-ლა შეგვრჩა. ამ შემთხვევისათვის კი ეს ცოტაც დიდად მისაჩენევია. ამ მცირე ნაწყვეტებში დავითის ძლევამოსილებასა და თბილისის განთავისუფლებას და მის კვლავ ქართველთა მიერ დაუფლებას ხალხი ასეთ ფორმებში გადმოგვცემს:

ძლევამოსილმან მეფემან  
 არღა ჰყო ხანთა ზმულობა,  
 მოვიდა თბილისს, მოიცა,  
 რაზმთა ჰყო გარმოდგმულობა.  
 შელეწა კარნი, შემუსრა,  
 ციხის მცველთ ჰმატა წყლულობა,  
 აიღო ციხე, თურქთა ჰყო  
 დაკრულთა გამოსხმულობა...

შემდეგ ნაწყვეტებში მოთხრობილია, თუ როგორი დაკვრითი წესით გაანადგურა და ამოხოცა თურქთა რაზმები დავითის ლაშქარმა, თუ ვით გასწმინდეს ქალაქი ისე, რომ „თურქთა სახელი იქ აღარ იხსენიებოდა“, „დასცეს“ მათი მიზგითები და „ეკლესიები შეამკეს“, იხარებდა და იშვებდა ქალაქი, სადაც „ერთსა მერე უსსა დაუცალად“ ყოველ საყდარში ზარი იკვროდა, რომ ქვეყნისათვის ემცნოთ ამგვარი დიდებული დღეები საქართველოს განთავისუფლებისა და მისი დედაქალაქის კვლავ აღდგენისა და განახლებისა.

ამის შემდეგ თბილისს აოხრება და ძნელბედობა კორგა  
ხანს არ განუცდია. იგი დარჩა აღზევების ხანაში, როგორც  
უფროსი და თავიქალაქი ფეოდალურ-მონარქიული ძლიერი  
ქვეყნისა, როგორც საქართველო იყო ამ საუკუნეთა (11—13)  
მანძილზე.

ხალხმა დაიმახსოვრა, სიყვარულით შეამკო და მარად  
უჭინობი სიმღერებით უკვდავყო დავით აღმაშენებლის ღირ-  
სეული მემკვიდრე, მისი შვილიშვილის შვილი თამარ მეფე,  
რომელსაც ხალხი „მშვენივრებით მოსილ, ამომავალ მზის დარ-  
სა და ქართვლის დედას“ ეძახის და რომელმაც მისი „შხარის  
დამამშვენ“ დავით სოსლანზე:

დიდუბეში იქორწილა,  
სადაც რომ საყდარი არი.  
ნაღიმობა გაუმართა  
მოიწვია თავის ჯარი...  
ქვრივ-ობლებსა უწყალობა:  
ოქრო, ვერცხლი ლიდი ძალი...

წყალობის ამგვარი სიუხვე ხალხისათვის მოსალოდნელი  
უნდა ყოფილიყო, რადგან მის რწმენაში დიდი ხნიდან განმ-  
ტკიცდა ის აზრი, რომ დავითის მიერ განახლებულ და თამარის  
მიერ გამდიდრებულ აყვავებულ ქალაქში:

ხაზინაები აწყვია  
მოჭრილი თამარისაო...

როგორც ვიცით მე-13 საუკუნიდან მოყოლებული მე-18  
საუკუნის მიწურულამდე თბილისმა კვლავ მრავალი კატა-  
ტროფა განიცადა. ხვარაზმელები, მონღოლ-თათრები, თუმურ-  
ლენგი, თურქმანები, სპარსელები, თურქები განუწყვეტლივ  
ეცემოდნენ საქართველოს და ყოველთვის მთავარი იერიში  
თბილისზე მიჰქონდათ.

ერთ ასეთ შემოსევას და განსაკუთრებით თურქმანთა  
ურდოების შემოჭრას უნდა აღნიშნავდეს ხალხური ლექსის  
დღემდე შემორჩენილი ნაწყვეტი:

ორშაბათ დილას გათენდა  
ავი დილა, ავი დარი,—  
ყმაწვილების კალოს ლეჭავს  
თურექმანის ცხენის ნალი.

ცნობილია, რომ თურქმანთა შემოჭრა მეთხუთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა, ხოლო „ყმაწვილების კალოს ლეჭავა“ გადმოცემით სხვადასხვა ღროსაც მიეწერება.

**K 87. 545**

მემატიანეთა ცნობით, ყველა თავდამსხმელზე „უღვოო და ულმობელი“, დაუნდობელი და ვერაგი იყო თემურ-ლენგი, რომელმაც „შვიდგზის იავარჲყო საქართველო ბოროტმან და ღვთის მიერ რისხვეულმან“. იგი არც ჩვილ ყრმებს ინდობდა თურმე. არსებობს ზეპირგადმოცემა: თემურმა თბილისის ერთ-ერთი აოხრების დროს შეაგროვებინა მცხოვრებთა ბავშვები, მუდანზე დააყრევინა, ზედ კევრი გაამართვინა და ისე ალე-წვენა ვით ძნა კალოზე. იმ ადგილს, სადაც ამგვარი კალო გია-ლეჭა, ხალხმა „კალოუბანი“ უწოდა და შემდეგ, მშვიდობიან თროში, ეგრეთწოდებული კალოუბნის ტაძარი ააგო ამ უბე-დურების მოსაგონჩადაო.

ამგვარ „უღვთოობას“ შაპაბაზსაც მიაწერენ და კიდევ სხვებსაც, მაგრამ მისი სინამდვილე მატიანეს დოკუმენტურად ჯერ არ დაუდასტურებია, მაგრამ რაღაც ამის მსგავს მოვლენას რომ ადგილი ჰქონია, ამას ხალხი ადასტურებს თავის უკვდავ ეპოში, რის ერთი ნიმუშიც ზევით ვნახეთ, ნაწყვეტის სახით მოყვანილი, რადგან მას თავისი მთლიანობით ჩვენამდე ვერ მოულწევია. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ნაწყვეტისათვის, ალ-ბათ, შემდეგ პერიოდში, ხალხს კვლავ მიუცია გაგრძელება, სადაც გადმოცემულია ერეკლე II ბრძოლები სხვადასხვა თავ-დამსხმელებთან, ლექსის ფაქტურის მიხედვით უფრო აღა-მაპაღ-ხანთან.

ბუნებრივიც არის ამგვარი შემთხვევა, რაც ხალხური ეპოსისათვის დამახასიათებელია. ერეკლე II, როგორც უახლოესი წარსულის ერთი სახელგანთქმული ისტორიული გმირი, დიდი სტრატეგი და პოლიტიკოსი მეფე, ხალხის ხსოვნაში უფრო ნათლად დარჩა, ვიდრე შორეული საუკუნეების ამგვა-



რი, და თუ გნებავთ, კიდევ უფრო დიდი გმირი და გენიალური  
სტრატეგები და პოლიტიკური მოღვაწენი.

დროს თავისი გაჰქონდა და დიდი ეპოსის დადი ქმნილე-  
ბანი თანდათან იმსხვრეოდა, იშლებოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ გა-  
დადიოდა თაობიდან თაობაში, შიგადაშიგ ბევრი ახალი, საგნი-  
სათვის უცხო შტრიხიც ემატებოდა და, ამგვარად, ამა თუ იმ  
დიდ ისტორიულ მოვლენასა თუ პიროვნებაზე სხვადასხვა აზ-  
რისა და სახის გამომხატველი ვარიანტები ჩნდებოდა.

ერთ ამგვარ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ, მართალია, ისიც  
ერეკლეს სახელით დამთავრებული, მაგრამ უდავოდ წინა  
ეპოქის მოვლენათა გადმომცემი პატარა ნაწყვეტი ხევსუ-  
რული ლექსისა:

ამბავ მოვიდა ბარადა,  
ჭარ მოდის თათრებისაო...  
კაცი მალალა ბატონშა,  
თავი დამჭირდა ყმისაო,  
ხევსურებ ჩამამივიღნენ  
თორ ქალაქ წამერთმისაო...

ხევსურები, მართლაც, ერთბაშად ადგნენ და ისე სწრაფად  
გაემართნენ, რომ „ერთმანეთს არ უცდისაო“, — ამბობს მთქმე-  
ლი და ქალაქიც, რა თქმა უნდა, არ „წართმეულა“ — დაცულ  
იქნა, და დიდი ზეიმით ალფროვანებულებმა:

ჭეხით მიართვეს სალაში  
ერეკლეს, მეფის შვილსაო.

ამდენი შემოსევის, ნგრევის, მცხოვრებთა აწიოკებისა  
და ულეტის, გაძარცვისა და ხანძრების მიუხედავად თბილისი  
მიწასთან არასოდეს გასწორებულა, თუმცა მისმა მტრებმა ეს  
მრავალჯერ განიჩრახეს. უეჭველია, რომ იმდროინდელს საზო-  
გადოებრივ ურთიერთობაში იყო ისეთი მიზეზები და სასიცო-  
ცხლო ძალთა იმგვარი წყობა, რომ თბილისის როგორც მცირე  
აზიის მეტად მნიშვნელოვან სავაჭრო და სატრანზიტო გზებ-

ზე მდებარე ქალაქის, სიცოცხლე, მისი ძლიერება და აქტი-  
კობა საჭირო იყო.

მე-13 საუკუნის ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო, რო-  
მელსაც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის გამო საშუა-  
ლება ჰქონდა მოევლო სპარსეთი, სათათრეთი, ჩინეთი, ინდო-  
ჩინეთი, ზონდის არქეპელაგი და პირადად ხლებოდა მონღოლ-  
თა დიდ ყანს, ყუბლაის, საქართველოს შესახებ წერს, რომ  
„ამ ქვეყანაში არის საუცხოვო ქალაქი, სახელად თბილისი,  
შას გარს არტყია გარეუბნები და მრავალი ციხე სიმაგრეო“...  
მცხოვრები ემორჩილებიან თათართა დიდ ხანსო.

ამ პერიოდში მომხდარი დიდი ქარტეხილების გადმომ-  
ცვამად უნდა მივიჩნოთ ქართულ ეპოსში შემონახული ერთი  
ძველი მესტვირული ლექსი, საღაც ნათქვამია:

...დაჯდა ამერეთს მეფედა  
 მონღოლთ სარდალი ნონია,  
 არავის არად არ აგდებს  
 ყველა თავისი ჰგონია,  
 ავისხით თოფი, აბჯარი  
 გამოუცხადეთ ომია...  
 დავეცით მონღოლთ ლაშქარსა  
 ზურგს ავადინეთ ბოლია...

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მონღოლ-თათართა გან-  
დევნის შემდეგაც არ შეუსვენია ქართველ ხალხსა და მის  
დედაქალაქს. იგი რამდენიმეჯერ იქნა გაძარცულ-აკლებული  
და მთლიანად გადაბუგულიც, მაგრამ, გასაკვირველად ქვე-  
უნისა, 1475 წელს, 12 ივლისს, როცა ის ვენეციელ დიპლომატ  
ამბროგიო კონტარინს დაუთვალიერებია, კვლავ აღდგენილი  
ყოფილა და „საკმაოდ კარგი ციხეცა ჰქონია“.

მე-17 საუკუნის რუსი მოგზაური ვასილ გაგარა კი, რო-  
მელმაც იერუსალიმში მოგზაურობისას თბილისში გაიარა  
დაახლოებით 1634—1637 წლებში, გადმოვცემს: „ტფილის-  
ში 4 ციხე-სიმაგრეა, ორ-ორი ყოველ ნაპირზე, ხოლო შუაში  
მდინარე ჩაუდის... სიმაგრეები ზედ ნაპირზეა, მათში ფარული

გზით გაყვანილია წყალი... ამ სიმაგრეების აღება ნაღმით შეუძლებელია. სიმაგრეს, რომელიც გორაჩეა, გარს არტყია ბუნებრივი თხრილი... ამ თხრილის სიღრმე 7 საუკის იქნება. იქ გამოდის ცხელი წყაროები, ასეთი წყაროები აქ ღმერთს 60-ზე მეტი გაუჩენია. ამ წყაროებზე აღმართულია მშვენიერი შენობები და წყაროებში ბანაობენ... ამ ციხე-სიმაგრეების მახლობლად, მდინარე მტკვრის მხრიდან, არის სიმაგრე მიწის ქვეშ.... ზემოთ, იქთვენ, საიდანაც მტკვარი მოდის, ტფილი-სიღან 12—15 ვერსზე არსებობს მონასტერი... ამ მონასტერში არის დიდი, საუცხოვო ტაძარი, აგებული სხვადასხვა ფერის ასპიდის ქვისაგან. მე არასოდეს არ მინახავს ასეთი თვალ-წარმტაცი საეკლესიო შენობა“.

აქ აღწერილი ადგილები დღევანდველი მკითხველისათვის საც ნათელია და ადვილისახვედრი. აღწერაში ნახსენები „დიდი საუცხოვო ტაძარი“ თბილისიდან 15 ვერსზე დაშორებით — მცხეთის სვეტიცხოველია, ხოლო მიწის ქვეშ — მტკვრის ნაპირას „სიმონ მეფის შვილის“ მიერ აგებული სიმაგრე ის სასახლეა, საღაც, შემდეგ, მეფე ვახტანგ მეხუთემ, შავნავაზად წოდებულმა, ფრანგი მოგზაური ეან შარდენი მიიღო.

ამ მოგზაურმა დაწვრილებით აღწერა შავნავაზის დროინდელი თბილის და მისი სასახლეები, განსაკუთრებით კი შავნავაზის დიდი კომფორტაბელური სასახლე, რომელიც შემდეგ აღა-მაჭად-ხანის შემოსევისას, სრულიად დარწეულია და იავარიქმნა.

ვახტანგ მეექვსის მეფობის ხანში თბილისმა კვლავ იწყო აღორძინება, მოშენება, კულტურული ცხოვრება, გაჩნდა პირველი სტამბა და პირველი ნაბეჭდი წიგნები. 1712 წელს პირველად შეეხო რუსთველის გენიალურ ქმნილებას სტამბის მანქანა; ლითონისაგან ჩამოსხმულ ქართული ანბანის ლიტერებისაგან შემდგარი გამართული სტრიქონები პირველად აღიბეჭდა კაბადონებზე. დაიწყო ახალი და მეტად სახარბიელო ვითარება, რაც ვახტანგ მეფეს უფლებას აძლევდა ეთქვა:

მე უმცირესმან, ძმათაგან,  
 ვახტანგმან სახელდებულად,

ვემენ ოთხ წელ შცხეთა, ურბნისი,  
 სადგურ-კამარა გებულად,  
 ტფილის სიონი ხელახლა  
 შევძერწე ქანდაკებულად...

სტამბა მოვიღე ვლახეთით,  
 ვამრავლე წიგნთა მელანი,  
 ქციის რუ ხუნანს წავიღე,  
 გალმითად მოვრწყე ველანი,  
 მაშავრის რუ ხოშ ტბას შევრთე,  
 შიგ თევზე ჩავსხი ყველანი...

„სამართლის წიგნი“ დავსწერე,  
 მსაჯულს არ უნდა ცილობა,  
 „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნობა,  
 სხვა წერილით არ ვსთქვა ცილობა...<sup>6</sup>

მაგრამ საქართველოს შინაურმა აშლილობამ, რომელსაც  
 დავით გურამიშვილი „ქართლის ჭირსა“ ეძახდა, და გარეშე  
 ძალის უხეშად ჩარევამ, თბილისის კვლავ გაჩანაგებამ და 1723  
 წლის ივნისში თურქთა ჯარის მიერ თბილისის დაკავებამ,  
 მეცნიერი და პოეტი მეფე კვლავ გოდებას მისცა:

ბოლოს, მიმიღო სოფელმან  
 სიმღიღრე, მეფეთ-შვილობა.—

ამის შემდეგ მეოთხედი საუკუნე დასჭირდა თბილისის  
 კვლავ აღდგენას და განახლებას, თურქთა, სპარსთა და მათ-  
 გან წათამამებულ სხვა ონავართაგან მიყენებული ჭრილობის  
 მოშუშებას და ნორმალურ ცხოვრებაში შესვლასა და დამ-  
 შვიდებას.

ამ დღიდი საქმისა და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელო-  
 ბის მოვლენების მოწესრიგება წილად ხვდა პოეტ მეფეს, ოე-

<sup>6</sup> როგორც ელ. მეტრეველმა გამოარკვია, ვახტანგის ეს ეპიტაფია  
 გიგი თუმანიშვილს ეკუთვნის.

იმურაზ მეორესა და მის პირმშოს — პატარა კახს, შემდეგ სანე-  
ლოვან მეფე ერეკლე II უძლეველად და ქართველ ჰერკულე-  
სად წოდებულს.

ერეკლე მეფის დილმა საქმეებშა, მისმა გმირულმა ბრძო-  
ლებმა და მტერზე ზედიზედ გამარჯვებებმა, ქართულ ხალხურ  
ეპოში დიდი აღგილი დაიკავა. აგრეთვე დიდი აღგილი აქვს  
დათმობილი ამ პერიოდის ხალხურ პოეზიაში ქალაქ თბილი-  
სის დაცვას, მის მშენებლობასა და კეთილმოწყობას.

ერეკლე არ იყო უმტერო, გარეშე მტერთან ერთად მას  
ბევრი შინაური მტერიც ჰყავდა, მაგრამ ერეკლეს მარჯვე  
მქლავი, შორს მჭვრეტელი თვალი, გაფაციცებული სმენა და  
გაწრთვნილი მუდმივი ჯარი, ყველას საკადრის პასუხს აძ-  
ლევდა.

ერთი ასეთი შინაური მტერი, მაგრამ გარეშე ძალზე და-  
ყრდნობილი იყო ქართლის ტახტის მაძიებელი აბდულა-ბეგი,  
გამაპმადიანებული შვილი იესე მეფისა (1724—1727), ვან-  
ტანგ მეექვსის ძმისა, რომელიც აგრეთვე გამაპმადიანებული  
იყო იმამყულიხანის სახელწოდებით.

შემთხვევა ასეთი იყო: 1747 წელს, ქართლის მეფე თეი-  
მურაზ II ირანის მფლობელმა ნადირ-შაჰმა თავისთან მიიწ-  
ვია. თეიმურაზი ჯერ კიდევ ყაზვნამდე არ იყო მიღწეული,  
რომ ნადირ-შაჰი მოკლულ იქნა მისივე ძმისწულის, ტახტის  
მაძიებელ ადილშას მიერ. ეს აღილშა, უკვე ირანის შაჰიდ  
ქცეული, თეიმურაზის ნაძვილი სიძე იყო.

თეიმურაზს ამ ახალ შაჰთან ხანგრძლივად მოუხდა ყოფნა.  
ეს პერიოდი იხელთა ზემოხსენებულმა აბდულა-ბეგმა და თა-  
ვისძ ძმის, აგრეთვე მაპმადიან უსეინ-ბეგის დახმარებით თბი-  
ლისს მოადგა. მისი დაპყრობისა და ქართლში გამეფების მიზ-  
ნით. პატარა კახი, მართალია, მაშინ კახეთის მეფედ ითვლე-  
ბოდა მხოლოდ, მაგრამ მამას დროებით თბილისში ჰყავდა  
დატოვებული ქართლის გამგებლადაც.

ერეკლე თავისებური სიმედგრით ეკვეთა რენეგატ აბ-  
დულ-ბეგს და საქართველოს ფარგლებიდან განდევნა, ხალხმა  
ამ აბდულა-ბეგს დაცინვით პამპაულა ან აბდულა დაარქვა და

აქ მოყვანილი შემთხვევისათვის მოხდენილი სატირული შა-  
ირები შექმნა, რომელთაგან რამდენიმე ვარიანტის ჩვენება  
შეიძლება; პირველი ვარიანტი ამგვარად იწყება:

პამპაული შეიკაზმა  
თოფითა და ჭინჭილითა,—  
უნდა ქალაქსა მივადგე,  
ამოვხოცო შიმშილითა...

მეორე ვარიანტში კი, პირდაპირ დასახელებულია ამ გა-  
დაგვარებულისა და ერის მოღალატის ვინაობა; იქ ნათქვამია:

აბდაულა შეიკაზმა  
თოფითა და ჭინჭილითა:

„ჩავალ თბილისს, შემოვდგები,  
შევაჭირვებ შიმშილითა“...

შემდეგ მცირე განსხვავებით, მაგრამ სხვა დამატებითი  
ფაქტების აღნიშვნით გრძელდება:—

ეს რომ ერეკლემ გაიგო  
გადაბრუნდა სიცილითა.  
„მეფე ერეკლე მოგიკვდეს,  
ვერ გაგხეთქო სირბილითა..“  
კოჭორი გაგარბენინო,  
მონასტერიც ტირილითო!

სხვა ვარიანტი კი დაუმატებს:

ზარბაზნები დაადევნა,  
თხებივით დაილალო,  
შარშან შემძვრალნი ჩირგვებში  
დღესაც არ გამომძვრალანო...

არსებობს კიდევ სხვადასხვა ვერსიები, სადაც ყველგან  
ერეკლე იმარჯვებს და სირცხვილეული აბდულა უგზო-  
უკვლოდ მიმდალება ისე, რომ სხვა დროს არც კი გამოჩენი-

ლა; მაგრამ როგორც ეტყობა, ამ ერთმა მისმა გამოჩენაში საკმაო შთაბეჭდილება დატოვა, რომ მის გარშემო ამდენი სხვადასხვა სახის ვარიანტის, წყობისა და მოცულობის შაგრები შეთხელა და კიდევ ვინ უწყს თუ რამდენი ჩვენამდე ვერ მოღწეულა.

ერეკლე II მეფობის (1744—1798) მთელ მანძილზე აღდგენილ და გამდიდრებულ თბილისს, რომელსაც ასე დიდი ამბით აღწერდნენ მე-18 საუკუნის მოგზაურები და გეოგრაფები: მაგალითად, ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი, რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წევრი იოან გიულდენშტედტი და ნაწილობრივ აშავე საუკუნის დამდეგს ტფილისში შემოსული ფრანგი მოგზაური უოზეფ ტურნეფორი, კიდევ ერთი უკანასკნელი ტრაგედია მოელოდა თურმე.

ეს ტრაგედიაც არ დაყოვნდა. 1783 წლის, ე.წ. გეორგიესკის ტრაქტატის შედეგად, ჩრდილოეთის გზის (დარიალის ხეობით) გახსნისა და რუსეთთან მეგობრული კავშირის დამყარების გამო გაღიზიანებული „ირანის ლომი“ დორბლსა ჰყრიდა. იმდროინდელმა ირანის მფლობელმა, გაბატონებულმა საჭურისმა აღა-მაჰმად-ხანმა, ჯალათობითა და მძვინვარებით განთქმულმა, თბილისს დიდი უბედურება დაატეხა თავს.

ეს ხოჯა-ხანად წოდებული შაპი, ან როგორც ქართველი ხალხი ეძახდა ყევენი 1795 წელს. სექტემბრის თვეში, 30000 კაცისაგან შემდგარი ლაშქრით, გამოემართა თბილისის ასაკლებად, რაც ხალხურ მთქმელს ასე აქვს გადმოცემული:

ატირდა ცა და ქვეყანა,  
მისთვის არ მოდის დარია,  
ხოჯა-ხანი წამოვიდა,  
თეირნით მომავალია,  
ამდენი ჯარი მოუდის,  
არ გადასწვდება თვალია...

<sup>7</sup> ჭინამდებარე კრებულში ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ვარიანტს ვძეჭდათ.

ხალხურ ეპოსში დედაქალაქის ამ ღიღმა ტრაგედიაში და ბეჭედის მანძილზე მხოლოდ ერთხელ და ისიც უკანასკნელმა დამარცხებამ, ქართველ ხალხში დიდი სულიერი ტრაგიზმი და მწვავე განცდები წარმოშვა. ამ უთანასწორო ბრძოლასა და მისგან მიყენებულ ზიანს დედაქალაქისა და მისი მოსახლეობისადმი, ქართულ ფოლკლორში, როგორც პოეტურ, ისე პროზაულ ვერსებში, თვალსაჩინო ადგილი უკავია.

ჩვენი ქალაქის წახდენა  
უსამართლობის ბრალია.  
ერეკლე წინ მიუძღვდა  
როგორც ირემი ხარია...

მაგრამ მაინც ვერას გახდა მცირერიცხოვანი რაზმებით მტრის ურიცხვ ურდოებთან. ერეკლემ ვერ მოასწრო მტრის ელვისებურ თავდასხმას მომზადებული დახვედროდა. ერთი ხალხური ლექსის მიხედვით ამას უსაყვედურებს ერეკლეს ერთ-ერთი მისი შვილიშვილი, რომელიც როგორც ამას ქვევითაც დავინახავთ, ქართველთა რაზმის ერთ განაყოფს მეთაურობდა. იგი მიმართავს სახელოვან პაპას:

შენ, პაპაჩემო, ერეკლე,-  
ვერ მოვიფიქრე მალია,  
არ გვყავს თუში, ხევსური,  
არცა კახელი ჯარია...

ხალხის ამ ზოგიერთი გაღმოცემის შესამოწმებლად ან, უკეთ, ზურგის გასამაგრებლად, დოკუმენტური მასალაც უნდა მოვიშველიოთ. ამ მხრივ ყველაზე სანდოდ უნდა მივიჩნიოთ ამ დიდი ბრძოლების პირადი დამსწრისა და ნაწილობრივ მონაწილის, თემურაზ ბატონიშვილის, ერეკლეს შვილიშვილის შემდეგი გაღმოცემა:

„ერეკლეს საომარი საშუალებანი იმ ხანად მეტად სამწუხარო მდგომარეობაში იყო,—წერს თეიმურაზი,—მან ძლივს

შეაგროვა 2700 კაცამდის, რასაც უნდა მიემატოს მაშინ შექ-  
თხვევით ტფილისში მყოფ სოლომონ II-ის, იმერთა მეფის,  
2000 მეომარი”...

ერეკლემ გაიგო თუ არა აღა-მაპმად-ხანის გამოლაშქრება  
თბილისისაკენ, გახიზნა „დედოფალი, მთელი სამეფო კარი,  
აგრეთვე მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა არაგვის ხეობაში,  
მთიულეთში, ხოლო საკუთარი ოჯახის წევრებიდან თავისთან  
დაიტოვა შვილი ვახტანგი, შვილიშვილები: დავითი და  
იოანე”...

პირველი შეტაკება ყენის ჭარის ნაწილებთან 10 სექტემ-  
ბერს, ორშაბათ დილით მომხდარა დავით ბატონიშვილის მცი-  
რე რაზმით. თემურაზის ცნობით, ამ ოპერაციაში მონაწილე-  
ობდნენ: იმერეთის ჭარების სარდალი ზურაბ წერეთელი,  
ოთარ ამილახვარი, ივანე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი და ზა-  
ქარია ანდრონიქაშვილი. შებრძოლება კრწანისის ველზე  
მომხდარა, რომელიც სპარსელების დამარცხებითა და უკუგ-  
დებით დამთავრებულა.

სანტერესოა მეტად ამ შებრძოლებაში მონაწილეობა  
ვინე სახალხო მომლერლისა და მოშაირის მაჩაბლისა, რომ-  
ლის შესახებ მოთხოვობილია: „კვალად მცხოვრებთა-გან ტფი-  
ლისისათა გამორჩეულ იქმნეს კაცნი მამაცნი და მარჯვენი,  
რომელთაცა აღირჩიეს წინამძღვრად თავისად ვინე მსახიობი  
(რომელსაც საზანდრად უხმობდნენ). ესე იყო ერთი წარჩი-  
ნებულთა ქე. საკრავთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუზიკი და  
კომენდიანტი. და ესე იყო უფროსი მსახიობთა შორის და  
ცნობილი იყო სამეფოსა სახლსა შინა. ესე იყო გვარეულო-  
ბითა და სარწმუნეობითაც ქართველი, რომელსაც სახელ-  
სდებენ მაჩაბელად, ესე მიუძღვა გუნდსა მას ტფილისელთასა  
მტერთა ზედა და ეპყრა ხელთა მისთა ბარბითი, ე. ი. დაირა  
და უკრავდა მასზედა შალიანსა, ე. ი. ხმასა მას, რომელსაცა  
ლხინსა შინა დაუკვრენ, ჯამსა შინა უმეტეს სიხარულისასა, ვი-  
ნაიდან ხმა ესე განამხიარულებს მსმენელთა, ხოლო მებრძოლ-  
ნი ესე იყვნეს მკვირცხლნი და მიმართეს ქვევითად და ჰბრძო-  
ლეს მტერთა ფიცხლად და შეერთდა გუნდიცა ესე გუნდსა მას  
ფშავებესურთა; არაგველთა და ქიზიყელთასა. და ჰყვეს მათ

ატაკა მტერთა მიმართ, და მიიწიგნეს ვიდრე დროშებამდე ალა-მაჭმალ-ხანისა. მისტაცნეს დროშანი რაოდენნიმე მხედრობათა ალა-მაჭმალ-ხანისათა და მრავალნი სპარსთავანი მოსწყვიტნეს წინაშე მისსა. ოხილა რა ალა-მაჭმალ-ხანმა სიმხნე ესე ვითარი ქართველთა მხედრობისა, განუკვირდა ფრიად და იტყოდა: „სიყრმით-გან ჩემით, ვიდრე აქამომდე დამიყოფიერ ბრძოლასა შინა და არ-სადა მიხილავს მე წინა-აღმდეგნი, ვითარ ესე კაცნი ჩემდა მომართ ჰყოფენ ბრძოლასა“<sup>8</sup>....

ამ სასურველი ეპიზოდით უნდა იყოს გამოწვეული ხალხური პოეტის ის სიხარული, სადაც აღნიშნულია, რომ ქართველებმა ვითომ ალა-მაჭმალ-ხანს გაუგზავნეს ბამბა, ტარი და შეუთვალეს:

„დაჯექ ყენო, დაართე,  
შაიქნები ჩენი რძალი!“-ო.

ისედაც საჭურის ხოჯა-ხანისათვის, რომელიც თავიდანვე იყო გაბოროტებული ქართველების მისდამი უხეში დამოკიდებულებით, ცხადია, ეს პასკვილური ეპიგრამა კიდევ უფრო აღმგზნები და გამაბოროტებელი ქნებოდა. ხალხური მელექ-სეც გადმოგვცემს:

ეს რომ ყენმა შაიტყო,  
ჯარსა დაატანა ძალი,  
აღგა, ქვემოთ წამოვიდა,—

და იმგვარი მრისხანებით, შეუპოვრად და გამანადგურებელი ცეცხლით, რომ:

სოლოლაკზედ რომ გადმოდგა,  
ქალაქს აეშალა კვალი-ო.

<sup>8</sup> „ალა-მაჭმალ-ხანის მიერ შეპყრობა ტფილისისა“, დავით ჩუბინაშვილის ქართული ქრესტომატია, წ. I, გვ. 179, ს-პეტერბურლს, 1863.

ჭოლო სხვა მთქმელი თავის პოემაში ამ ეპიზოდს კიდევ უფრო აჭვიადებს და დამატებს:

ეგეთი ამბავი მოხდა,  
დედამ შვილი ვერა ნახა,  
შეწუხებულ ავაღმყოფსა,  
უწყლოდ უშრებოდა ხახა...

მაგრამ ხოჯა-ხანის ვერაგობისა და შეუბრალებლობის კულმი-  
ნაციური წერტილი იყო მაშინ, როცა ხალხის წარმოდგენით:

ყმაწვილების კალო ლეწა,  
ჰოროველა შემოსძახა...

თუმცა არც მათ დადგომია ქართველ მეომართაგან კარგი  
დღე. ჩმავე მელექსის გაღმოცემით, მარტო

ორმოცდაათი. თათარი  
ერთ ადგილას დაიმარხა...

ჭოლო დანარჩენებს, ალბათ, ხოჯა-ხანის ბრძანებით,

რკინის ურმები შააბა,  
ავლაბრისკენ გაუძახა.  
ავლაბრის ხიდზედ რო შედგა,  
მაშინ მტკვარში ჩაუძახა...

მემატიანის გაღმოცემით, მეორე დღეს, 11 სექტემბერს,  
ბრძოლამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ჯარს თვითონ ერეკლე  
გაუძღვა წინ, გაჲყო რა იგი ხუთ რაზმად. პირველი რაზმი,  
რომლის პოზიცია იცავდა სეიდაბაღსა და სოლოლაკს, თავის  
შვილიშვილს, ტახტის მეკვიდრე დავითს ჩააბარა 7 ზარბაზ-  
ნისაგან შემდგარი არტილერიით; მეორე, მეწინავე რაზმის  
უფროსად მეორე შვილიშვილი იოანე (ჩვენი ცნობილი მწე-  
რალი და მეცნიერი, „კალმასობის“ ავტორი) დააყენა; მესამეს

ივანე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი დაუნიშნა ხელმძღვანელად მეოთხეს თავისი ძე ვახტანგი, ხოლო მეხუთეს — ოთარ ამილახვარი, იმერლების ჯარს სარდლობდა ზურაბ წერეთელი.

აღა-მაჰმად-ხანშაც, შეამჩნია თუ არა ქართველთა ლაშქრის გადაჯგუფება, თვითონაც მიმართა ამ წესებს და 14 მოხერხებული და ქართველების პოზიციებთან შედარებით ხელსაყრელი უპირატესობის მქონე პუნქტი დაიჭირა. ბრძოლა დაიწყო 11 სექტემბრის დილის 6 საათზე. პირველ ხანებში ბრძოლა, როგორც აღვნიშნეთ, ქართველების სასარგებლოდ წარიმართა. მაგრამ მტრის გამოულეველ და ურიცხვ რეზერვებს ერეკლეს განკარგულებაში მყოფმა რაზმებმა ვერ გაუძლეს. კინაღამ ერეკლეც არ ჩაუვარდა მტერს, რომ ითანე „საოცარი სიმამაცით“ არ მიშველებოდა თავის სახელოვან პაპას.

„ტფილისში შემოსვლისთანვე აღა-მაჰმად-ხანი, პირველ ყოვლისა, მეფის პალატებისაკენ გაეშურა. ყურადღებით დაათვალიერა მთელი შენობა, მეფის სალარო, აირჩია თავის-თვის რაც მოეწონა, დანარჩენი თავის მეომრებს დაუთმო“.

ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, ერეკლეს სასახლეს განუცვიფრებია აღა-მაჰმად-ხანი, რომელსაც წამოუძახნია თურმე: „მთელი სპარსეთის ხელმწიფე ვარ და ასეთი სასახლე მეც არა მაქვსო“<sup>9</sup>.

სხვა წყაროების ცნობით, იმ ხანების თბილისში კიდევ სხვა ძვირფასად ნაგები და მორთული სასახლეები ყოფილა, რომელთა შორის თავისი ნაგებობითა და სიმდიდრით გამოიჩინდნენ: მეფე იესეს (ვახტანგ VI მმა) სასახლე — სეიდაბადში, მეფის-ძე სიმონის სასახლე, მემკვიდრის, — დავით გიორგის-ძის სასახლე, დარეჯან დედოფლის სასახლე, სამეგრელოსა და გურიის მთავრებისა და სხვა იმ დროს გამოჩენილ ქართველ ფეოდალთა (ერისთავთა, მუხრანბატონთა, ორბელიანთა, ამილახვართა და სხვ.) სასახლეები.

ყველა ესენი გაძარცულ და აოხრებულ იქნა აღა-მაჰმად-ხანისა და მისი ჯარების მიერ, რომელთაც სრული უფლება მიეცათ — „გაეძარცვათ და დაეწვათ ეკლესიები, სასახლეები

<sup>9</sup> „მოამზე“, 1895, № 8.

და კერძო სახლები. გაეწყვიტათ ან ტყვედ წაეყვანათ სახლებში გამაგრდნენ, გამართეს ბარიკადები ქუჩებში და მათი ხელით უამრავი სპარსი გამოესალმა სიცოცხლეს“.

აღა-მაჰმად-ხანმა,—გაღმოვცემს მეფის-ძე თეიმურაზი,—  
მოინახულა მეფის აბანოც. მოეწონა ძლიერ, განსაკუთრებით  
მისი მარმარილოს ქვის შენობები. მას ბევრი რამ გაეგონა  
თბილისის მინერალური წყლების სამუშანოალო თვისებათა შე-  
სახებ. კიდევაც რამდენჯერმე მიიღო აბაზანა, მაგრამ რაკი  
სნეულებისაგან (საჭურისი იყო—ს. ც.) ვერ განიყურნა, გან-  
რისხდა და ბრძანა დაენგრიათ და მიწასთან გაესწორებიათ  
აბანოები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ირანის  
მპყრობელმა ერეკლეს იარაღის საწარმოებს, საარტილერიო  
საწყობებს, ზარბაზნების ჩამომსხმელ ქარხნებს და სხვა, რო-  
მელნიც სულ მთლიანად თავის ბანკში გადაატანია, ხოლო  
შენობები დაანგრევია და სპეციალისტები დაატყვევა”<sup>10</sup>.

ასე უწყალოდ და ულმობლად დაანგრიეს და ააოხრეს  
ერთხელ კიდევ ირანელმა დამპყრობლებმა ერეკლე II დრო-  
ინდელი ჩვენი დედაქალაქი, რომლის დაწვრილებითი ოლწე-  
რილობა მშვენივრად აქვთ მოცემული გამოჩენილ ქართველ  
ისტორიკოსებს: ვახუშტი ბაგრატიონსა (საქართველოს ვეოგ-  
რაფია) და პლატონ იოსელიანს (Описание древностей города  
Тифлиса).

ამგვარი გამარჯვების მიუხედავად, დამპყრობლები მანც  
იძულებული გახდნენ თბილისი სამი კვირის შემდეგ დაეტო-  
ვებიათ. ერეკლე კვლავ შემობრუნდა ქალაქში, კვლავ იწყო თბი-  
ლისმა ჭრილობების მოშუშება და მოშენება და იგი „ქართლ-  
კახეთის სამეფოს უკანასკნელ დღეებამდე (1801) მისი სატახ-  
ტო ქალაქი იყო“.

ამ კვლავ შემობრუნებისა და აღდგენის გამოძახილია,  
უეჭველად, ამ ამბებისაღმი მიძღვნილი ხალხური პოეზიის

<sup>10</sup> Из записок царевича Теймураза. Взятие Тифлиса Ага-Магамет-Ханом в 1795 году-тბილისი, 1895 წ., აგრეთვე, კრებული „ძველი ტბი-  
ლისი“-ნ. პოლიექტოვისა და გ. ნათაძის მიერ შედგენილი, 1930 წ.

შემდეგი სტროფები, სადაც გამოხატულია ერეკლეს ურთიერთობა რუსეთთან. მაგალითად, მთქმელი გადმოგვცემს: ერეკლემ:

დაჯდა და წიგნი დასწერა:  
—ჰევეოდა კალმის ჭერაო,—  
ეს რუს ხელმწიფეს მიმირთვით,  
მან გადიკითხოს ყველაო...

ხალხის წარმოდგენით, ერეკლესაგან მირთმეული ეს წერილი გადიკითხა რუს ხელმწიფემ,  
მუხლზე დაიკრა ხელია;  
„ვაი შენ ტიფლის ქალაქო,  
რა ძნელი საქმე ჰქენია;  
ხაზინაები დაპკარევ  
და ოქროები ბევრია...

ლექსის სხვა ადგილიდან ჩანს, რომ რუს ხელმწიფეს „თავდამსხმელის საწინააღმდეგოდ, როგორც მეგობარსა და საქართველოსთან ხელშეკრულებაში მყოფს, სათანადო ზომებიც მიუღია:

ზოგი ბოლოზე წავიდეთ  
დავიმონაოთ მტერია,  
ზოგი დარბანზე<sup>11</sup> გავიდეს  
ორად გავაწყოთ გემია,  
ხოგა-ხანი დავიჭიროთ,  
ძალლივით მოვჭრათ ყელია.

მიღებულ იქნა თუ არა მართლა ამგვარი ზომები, ამაზე თითქოს მიგვითითებს ერთი საგულისხმო საბუთი. 1795 წლის 16 სექტემბრის თარიღით ელჩი გარსევან ჭავჭავაძე რუსეთიდან სწერდა ერეკლეს: „ახალციხის ფაშას მხარის აშ-

<sup>11</sup> ე. ი. დარუბანდით — ს. ც.

ლის მიზეზს ნუ მისცემთ. ოქვენ ეს ჭარი ხელმწიფებ ბრძოლის შემაღ-  
მაში მოგაშველათ. ოსმალთ ხომ არ ეშლებიან. ეს  
არ უნდა ფაშამ იწყინოს და ოქვენი მეგობრობა მოშალოს“<sup>12</sup>...  
მალე კი, როგორც ცნობილია რუსეთთან საქართველოს შეერ-  
თების შემდეგ, თბილისი „საქართველოს უზენაში მთავრო-  
ბის“ აღმინისტრაციული ცენტრი ხდება. ამ ახალ მთავარობას  
სათავეში ჰყავს „საქართველოს გამგე“ და რუსეთის სამხედრო  
და სამოქალაქო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი  
საქართველოსა და ჩრდილოეთ-კავკასიაში — „მთავარსარდა-  
ლი“. თბილისის აღმინისტრაციულ ოლქს მე-19 საუკუნის  
პირველი ნახევრის მანძილზე თანდათან შეუერთეს მთელი  
ამიერკავკასია, აგრეთვე ჩრდილოკავკასია.

ამგვარად, 1840-იანი წლებიდან მოყოლებული, მთელი  
მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე თბილისი ამიერ და მთელი  
კავკასიის ქალაქთა მეთაური და მხარის მთავარი აღმინისტრა-  
ციული ცენტრია, მაგრამ იგი ქართველი ხალხისათვის ისევ  
საკუთარ დედაქალაქიდ და ტიპიურ ქალაქიდ დარჩა.. „ქალაქს“  
მაინც მხოლოდ თბილისს ეძახდნენ, ე. ი. როგორც ზევითაც  
აღვნიშნეთ, სიტყვა „ქალაქი“ ქართველის წარმომადგენაში უდ-  
რის მხოლოდ თბილისს, რომელსაც უახლეს ქართულ ფოლკ-  
ლორშიც არანაკლები ადგილი უჭირავს.

ხალხი სწორს, რომ „ქალაქში ხორველა გაჩნდა“ და იმ-  
დენი ხალხი დაიხოცა, რომ

ანგარიში ვეღარ ქნესა;  
თათრისა მეედანზედა  
ჭერეხივით დაჰყარესა...  
ამისთანა სატკივარი  
არ უნახავს პაპა-ჩვენსაო...

ჩვენ არ ვიცით, თუ რომელ „ხოლერობაზეა“ აქ სჯავ  
1770 წლებში მომხდარ ჭირზე, რომელმაც თითქმის გაანახევ-  
რა თბილისის მოსახლეობა, თუ 1781 წლის ჭირიანობაზე, ან

<sup>12</sup> საისტორიო მოამბე, 1925, I, გვ. 233.

კიდევ მე-19 საუკუნეში ორჯერ მომხდარ ხორველობაზე ყველა ამ უბედურმა შემთხვევამ საკმაო ზიანი მიაყენა ქალაქის როგორც მშრომელ მოსახლეობას, აგრეთვე ვაჭართა და საზოგადოების სხვა მაღალ ფენებს. ხალხურ პოეზიაში ხაზ-გასმულია ის გარემოება, რომ ვაჭართა და სხვა მაღალი ფე-ნების გაულეტაზე მაინცადამაინც არ სწუხან ხალხური მთქმელნი. ისინი ირონიითა და დაცინვით აღწერენ მათს და-ხოცვასა და დამარხვას. მაგალითად, გეურქ-აღამ რომ შეიტყო „ქალაქში ხორველის მოსვლა“, შეშინებული და დაბნეული:

გულზედ იცემს თავის ხელსა:  
 „ეს რა საქმე მომხდენია,  
 ვარ, დედიჩემის ღმერთსა!..“

რის შემდეგ მოშაირე დაატანს:

რაღათ უნდა ქარვასლაი  
 სულ ოხრათაც დაურჩესა.

ამას მოსდევს მთელი თავგადასავალი და კომიკური მდგომარეობა გეურქასი, რომელიც ცდილობს „ხორველის“ დაემალოს მიწის ქვეშ, საცა მთელ თავის სარჩო-საბადებელს ჩაიტანს. მაგრამ რა! ხოლერა იქაც მიაგნებს და რამდენიმე ხის შემდეგ ეს ჩვენი გახიზნული გეურქალა:

ლამის სუნით აყროლდესა,  
 ახლოს ვინდა მიეკარა,  
 ფეხთა ღვლეჭა ჩააბესა,  
 საფლავიც კი არ აღირსეს  
 ერთს ხევში გადააგდესა...<sup>13</sup>

ხალხს არ მოსწონს მეტების ციხე ეს მე-13 საუკუნის ცენტრილი ისტორიული ძეგლი, რომლის სიმაგრისა და ბრწყინ-

<sup>13</sup> ხალხური ლექსები ქალაქში ხოლერის გაჩენაზე რამდენიმე ვარიანტითაც ცნობილი, წინამდებარე კრებულში მხოლოდ ორ ვარიანტსა ვძეჭ-დავთ.

ვალებისათვის წარსულში მას უმღერია. მე-19 საუკუნემ ის  
 საპყრობილედ აქცია, საცა ვინ მოსთვლის რამდენი კაცი, თა-  
 ვისუფლებისათვის მებრძოლი დაღუპული. მეტად დამახასია-  
 თებელია და მოხდენილი ხალხური პოეტის სიტყვები:

მეტეხის ციხევ ქალაქში,  
 ნაშენო ლურჯი ქვისაო,  
 გაბია რკინის კარები  
 უტეხი ფოლადისაო...  
 ნეტავი მტკვარი ადიდდეს,  
 გამოგითხრიდეს ძირსაო,  
 გამოვიდოდა ტუსალი  
 ნამყოფი დიდი ხნისაო...

მაგრამ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარე-  
 ბის შემდეგ, როცა გამარჯვებულმა მშრომელებმა სრულიად  
 გარდაქმნეს თავიანთი ცხოვრება და კომუნისტური პარტიის  
 ხელმძღვანელობით სოციალიზმის მშენებლობას შეუდგნენ,  
 მეტეხის ციხე საჭირო აღარ შეიქნა. იგი, როგორც ერთი  
 უძველესი ძეგლი თბილისის მატერიალური კულტურისა,  
 ერთდროს, ხელოვნების მუზეუმიად იქნა გადაკეთებული. არც  
 ეს მომენტი გამორჩენია ხალხურ პოეზიას. ხალხმა ამ უმნიშვ-  
 ნელოვანეს მომენტზე სიმღერები შექმნა, სადაც ნათქვამია:

მეტეხო, შენი სახელი  
 ურუანტელს მგვრიდა ტანშია,  
 საშინელ შეხედულებით  
 თეთრს გამირევდა თმაშია...  
 მაგრამ დღეს ხედავთ ჯელნო!  
 მეტეხი მუზეუმია,—  
 აღარ ატირებს არავის  
 უწყინარი და ჩუმია...

საგულისხმო ფაქტია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის  
 ქართულ ხალხურ პოეზიაში პერიოდული პრესის მნიშვნელო-

ბის თემატიკის შეჭრაც. მთქმელებმა იციან, რომ ქალაქში (ე. ი. თბილისში) არის რედაქციები და მათი რედაქტორები; იციან, რომ ისინი ყოველდღიურად თუ ყოველკვირეულად ბეჭდავენ და ხალხს უგზავნიან გაზეთებს და უურნალებს, რომელთაც ახალ-ახალი სიტყვა, იდეა, საბრძოლო ამოცანები და საჭირო დარიგებანი შეაქვთ შრომელ მასებში. ხალხის წარმოდგენით, ეს „ქალაქის რედაქტორები“ იმდენად განათლებული და ნას-წავლი ადამიანებია, რომ მათ ბევრი რამ დაეჭირებათ, რომ ისინი, ე. ი.

ქალაქის რედაქტორები  
 ვარსკვლავებს სთვლიან ცაზედა;  
 სტამბაში ბეჭდვენ გაზეთებს,  
 გზავნიან ქვეყანაზედა:  
 პირველ გვირჩევენ კეთილსა,  
 და გვარჩევენ ჭკვაზედა  
 მფიდარი ჭკუით იციან,  
 რაც გარდაგხვდება თავზედა.  
 გაზეთში ბევრი ჰურია  
 დარიგებაი ჩვენზედა...

„ქალაქის რედაქტორების“ და პერიოდული პრესის მნიშვნელობის თავისებური დახასიათების შემდეგ მთქმელი მგმართავს იმავე რედაქტორებსა და ქალაქში მცხოვრებ სხვა განათლებულ პირთ, რომ მათი ყველაზე დიდი გაჭირვებაა ის, რომ თუმცა შრომა გააძლიერეს, უფრო მეტი ინტენსივობითა და ხერხით:

ერთ კომლი სამას დღიურს ხნავს  
 მაინც კი ვჩივით გვშიანო;  
 ამგვარ ყოფაში გახლავართ,  
 გონიარნო და ჭკვიანნო...

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ ძირდეს ვიანად შეცვალა ჩვენი ქვეყნის ვითარება ყოველ დარგში. საქართველოში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მისი დედაქანი  
ლაქის ცხოვრებაში სრულდა ახალი ერა დაიწყო. მან ზღაპ-  
რული სისწრაფით განიცადა ზრდა და განვითარება. საქართ-  
ველის მშრომელების მიერ წარმოებულმა ინტენსიურმა მუ-  
შაობამ საგებით შეცვალა ჩვენი დედაქალაქის ძველი სახე.

დედაქალაქის ეს სწრაფი ზრდა, მისი რეკონსტრუქცია  
და გამშვენიერება როგორ არ უნდა შეენიშნა ყოველ ზაფ-  
ხულს თრიალეთის საძოვრებზე მიმავალ ფშაველ მეცნარეს,  
რომელიც თბილისის ცხოვრებაში მომხდარ ამ დიდ ცვლილე-  
ბას ასე გადმოგვცემს:

ცხვარი გავლალე თრიალეთს,  
მიველ თბილისის კარსაო,  
გზებ ველარ ვიცან იმისი,  
სხვა მხრივ მივრეკდი ცხვარსაო.

შემდეგ, მეცნარე თვისებურად ჩამოთვლის რაც საკუთარი  
თვალით ნახა და შეამჩნია განახლებულ დედაქალაქში და თა-  
ვის მეზობლებს უამბობს დინჯად, რომ ახლა ქალაქში:

თითო აგეთი სახლი დგა,  
მტერს თავზე დასცემს ზარსაო...  
ქუჩები გაუწევიათ—  
აატარებენ ცხვარსაო...  
შიგ და შიგ ბალი დაურგავთ,  
აამებს გულს და თვალსაო...

ქალაქის ამბების ამგვარად მოყოლისა და მხატვრულად გადა-  
მოცემის შემდეგ მოქმედი დასკვნის:

კვლავც გაუმარჯვდეს, ქალაქო,  
შენს ამშენებელს ძალსაო.

ხალხი აღფრთოვანებული შესცემერის თავისი დედაქალა-  
 ქის ამგვარ წინსვლას, ზრდასა და გამდიდრება-განვითარებას.  
 ჯერაც კი ყველას ახსოვს, რომ წარსულში, რუსეთის მეფის  
 თვითმპყრობელობის დროს, ქალაქი მეფის მოხელეებს,  
 მსხვილ მემამულე-კაპიტალისტებსა და ვაჭარ-სპეცულანტებს-  
 ეკუთვნოდა; მშრომელ მოსახლეობას მასში, მის სიმდიდრესა  
 და კეთილმოწყობაში წილს არავინ უდებდა; წესიერ თავშესა-  
 ფარსაც კი არ აძლევდნენ იმ მშრომელთ, რომელთა მარჯვენა  
 ქმნიდა ქალაქში არსებულ სიმდიდრეს, რომელთა მარჯვენა  
 იცავდა მას მუდმივად გარშემორტყმული მტრებისაგან. დღეს  
 თბილისი მთლიანად გამარჯვებულ მშრომელთა განკარგულე-  
 ბაშია; ისინი აშენებენ, ანახლებენ და კიდევაც დამლერიან თა-  
 ვის დედაქალაქს სიხარულითა და გრძნობით სავსენი და ამ  
 სიმღერაში არც წარსულს ივიწყებენ:

ჩვენო თბილისო, მეფის დროს  
 დიდად ტანჯულო მხარეო.  
 ბევრი ვაების მნახველო,  
 ეხლა-ღა გაიხარეო.

ახლა კი, როცა თბილისის გარდაქმნისა და აყვავების გეგმა  
 ხორციელდება სახალხო მთქმელს არ შეუძლია კვლავ არ ამ-  
 ღერდეს:

რად არ გიმღერო, თბილისო,  
 შენ ჩვენო დედა-ქალაქო,

მან იცის, რომ ქალაქის ამ „ანაზღად აყვავებას“ და დიდ შე-  
 მოქმედებით მუშაობას კომუნისტური პარტიის სახით ღირ-  
 სეული ხელმძღვანელი ჰყავს, რომ ახალ თბილის ახალი ალ-  
 მაშენებელი მოეგლინა, რომელსაც სახალხო პოეტი თავისე-  
 ბური თბილგრძნობიერი პოეზიით ამკობს.

შორეული სოფლებიდან თავის დედაქალაქში გამართულ  
ოლიმპიადებზე მონაწილეობისათვის ჩამოსულ თვითშემოქმედებითი წრეების მეჩონგურეებს ჯერ კიდევ ახსოვთ, რომ  
თავიანთი ჩონგურის ლარებს აჭყობდნენ „ქონის პატრუქზე“.  
ერთმანეთს ვერა ვხედავდით,— მიმართავს ის თავის ჩონგურს,—

მე შენ, და შენ მეო.  
ეხლა დავძახოთ სიმღერა  
განათლებაზეო,  
კოხტად აგაშყობ, ჩონგურო  
ელექტრონებზეო!..

ამავე დროს, მეჩონგურემ კარგად იცის საქართველოს კპ(გ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილება „უდიადესი პოეტის“ შოთა რუსთველის „უპ-დავი ქმნილების“—„ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლის-თავის საზეიმოდ გადახდის შესახებ, რამაც შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურული ლაშქრობა გამოიწვია. სოფლელ მეჩონგურეში ეს მომენტი იმდენად აღტყინების გამომწვევია, რომ მას არ ძალუდს თბილისის შემკობასთან ერთად არ ახსენოს:

ქალაქში რომ ლაშქრობაა  
შოთას სახელზეო,  
მისთვის ვამბობ, ამოვიდა  
მთვარის ადგილ-მზეო.

თბილისის სხვა ხალხურ მეხოტბეს უდიდეს სიამოვნებასა და აღტაცებას ჰგვრის, რომ უკვდავი რუსთველის სამშობლოს

უკვდავმა და მთელი ქართველი ხალხისათვის საყვარელმა დედაქალაქმა „გულზე დაიღვა“ მონუმენტი რუსთაველისა. ამ ძონუმენტით შთაგონებული ის დამახასიათებელი პათოსით მიმართავს მშობლიურ გენიას:

ქალაქმა გულზე დაიღვა  
შენი დიდების ძეგლიო,  
ზევიდან დასცეკერ ქალაქსა,  
ხარ უკვდავების ნერგიო.

ქარგა ხანია მას შემდეგ, რაც განახლების უშრეტმა ნას-ლვარმა გაამთლიანა სოფელსა და ქალაქს შუა წინათ არსებული ჩატეხილი ხილი და ერთიან-მთლიანი მტკიცე ნიადაგი შეიქმნა:

ეხლა ვხარობ გატანჯული მოჯამაგირეო.  
უფლება გვაქვს, ჩვენც გადმოვდგეთ იმ ტრიბუნაზეო  
რა ძვირფასი არის, ძმებო, დღევანდელი დღეო...

ეს ძვირფასი და ნათელი დღეები ლამის უნდა დაჩრდი-  
ლულიყო ფაშისტ დამპყრობთა ვერაგული ხელით. ულმო-  
ბელი ომის მრისხანებამ ჩვენი დედაქალაქიც შეაჭირვა,  
თემურ-ლენგისა და ხოჯა-ხანისგან მიყენებულ შეჭირვებათა  
გამქარვებელი თბილისი, თითქოს კიდევ რაღაც უარესის მო-  
ლოდინის განცდაში იყო, მაგრამ იგი დაიცვა საბჭოთა ხალხის  
გაუტეხელმა ნებამ. თბილისი გადაურჩა ამ მძიმე განსაცდელს,  
ამის შემდეგ ქართველ ხალხურ მომღერალს სრული  
უფლება ჰქონდა ემახარობლა თავის საყვარელი დედაქალაქი-  
სათვის:

სასიხარულო ამბავი—  
გულში სიამით მივლისო:  
ჭირიმე, შენი ჭირიმე,  
გმირების დედავ, თბილისო!

ზემოთ გავიხსენეთ გრ. ორბელიანის სიტყვები, რომ  
თბილისის გარეშე მას ცხოვრება ვერ წარმოედგინა. ასე ფიქ-  
რობდნენ სხვა ქართველი პოეტებიც წარსულში. ასეა დღე-  
საც. რომელ ქართველ პოეტს არ უმღერია თბილისისათვის,  
მასი მომხიბლავი დილისათვის, მისი გაზაფხულისა და შემო-  
დგომისათვის, მისი გმირული წარსულისა და ბედნიერი აწ-  
ყოსათვის, და ვინ არ უმღერის დღეს მის კიდევ უფრო  
ბრწყინვალე დიდ მომავალს! ამაზე ამბობს ქართველი ხალხი:

კიდევ ბევრია საშენი  
არა გვაქვს დამთავრებული-ო.

ქართველი მშრომელი ხალხის შემეცნებაში კარგახანია  
ღრმად განმტკიცდა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა  
მთავრობა დაუცხრომელ ბრძოლას ეწევიან ჩვენი დედაქალა-  
ქის გამშვენიერებისათვის, რომ თანმიმდევრად სრულდება და  
გვირგვინდება მათი დიდი ხნის ნატვრა და სურვილი, რასაც  
ის თავის პოეზიაში ასახავს.

ერთ-ერთ ახალ სიმღერაში დიდი ექსპრესიონა და მხატვ-  
რული სიძლიერით გადმოცემულია დედაქალაქის აღმავლობა  
და აყვავება:

რა ლამაზი ხარ, თბილისო,  
მორთული ოქროს ღილითა,  
შენ, განაპირა ქუჩებო,  
შუქსა რო აფრქვევ პირითა...

ხალხის სიხარული და აღფრთოვანება უნაპიროა, როცა  
ხედავს თავისი საკუთარი მარჯვენით აგებული ქალაქი ყოველ-  
დღიურად მშვენდება და იზრდება; საქართველოს კომუნის-  
ტური პარტიის მიერ ქართველი არქიტექტორების წინაშე  
სერიოზული ამოცანაა დასახული—ქალაქის მთელი უბნებისა  
და რაიონების არქიტექტურულად გარდაქმნისა, რამაც კიდევ  
უფრო უნდა დაამშვენოს ჩვენი ქალაქი.

ხალხური მთქმელები და მომღერლები ხედავენ რა დე-  
დაქალაქის ამ დიად პერსპექტივათა განხორციელების ფაქ-  
ტებს ამაღლვებლად განცდიან მას. ამ დიდ განცდებს ისინი  
უბრალოდ, მაგრამ მიმზიდველ მხატვრულ ფორმებში გად-  
მოგვცემენ:

შენი სიტურფე მიხარის,  
გული ამეცსო ლხინითა,  
ვარდის ბუჩქების სიჭრელით,  
ნაძვის ხეების ჩრდილითა.  
მტკვრის პირას თლილო, კედელო,  
ნაგებო ცემენტ-კირითა,  
უზარმაზარო შენობავ,  
თერთმეტსართულო ძირითა;  
დიდო საბჭოთა სასახლევ,  
ფერად მორთულო ლილითა...

ამ მარტივად, მაგრამ მოხდენილად და გულწრფელად ნათ-  
ქვამი სიმღერებიდან აშკარად ჩანს, რომ ქართველი მშრომელი  
ხალხის შემეცნებაში კარგახანია ლრმად განმტკიცდა, თუ რო-  
გორ დაუცხრომელ ბრძოლასა და შრომას ეწევიან დედაქალა-  
ქის გამშვენიერებისათვის ჩვენი ხელმძღვანელები; ხალხის ეს  
დიდი სურვილი და მოთხოვნა თანამიმღევრულად გვირგვინ-  
დება. ამ პროცესებს ისინი კანონზომიერად ასახავენ თავიანთს  
პოეზიაში.

ეს სიმღერები გაღმოგვცემენ დღევანდელი თბილისის სა-  
ხეს, მის წიაღში გაშლილ იმ დიდსა და ინტენსიურ აღმშენებ-  
ლობით მუშაობას, რომელსაც სახალხო მთქმელი სამართლი-  
ანად მიაწერს ახალ ეპოქას.

კომუნისტური პარტია, ქართველი ხალხი და მისი მთავ-  
რობა დაუცხრომლად მიიღლტვის იქითქენ, რომ საქართველოს  
დედაქალაქი, რომელსაც აქვს ასეთი მდიდარი წარსული, შესა-  
ნიშნავი აწმყო, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო ქა-  
ლაქი გახდეს.

ათეული წლების მანძილზე გაშლილი დიდი აღმშენებლო-  
ბითი მუშაობა თანდათანობით ცვლის და ამშვენიერებს ჩვენი

დედაქალაქის სახეს, რაც თანმიმდევრულად არის ასახული  
ხალხურ პოეზიაში. მშენებლობის ამგვარი ტემპებით აღფრთო-  
ვანებული სახალხო მოხდენილად ამბობს:


განზე გასწიეს ქუჩები—  
ნეტავ რა მშვენიერია!  
ახლად ნაშენი ბალები  
ედემ-წალკოტის ფერია.  
მთლად გააშენეს მიდამო,  
ოთხკუთხივ მთა და ველია-ო.

ხალხურმა მოლექსემ კარგად იცის, რომ კომუნისტური  
პარტია დიდის მონდომებით უწევდა და უწევს დახმარებას  
ქალაქ თბილისის კეთილმოწყობას. ამგვარი ზრუნვის შედე-  
გად დღეს საქართველოს დედაქალაქი მთელ საბჭოთა კავ-  
შირში გამოიჩინა თავისი მოცულობით, კეთილმოწყობილო-  
ბით და ეკონომიური მნიშვნელობით, ხოლო ერთი უმშვენიე-  
რესთაგანი თავისი მდებარეობით:

ქალსა ჰგავს სადედოფლოსა,  
ოქროსფრად შემკობილია,  
ლამის წამოდგეს—იმღეროს,  
მკვდრეთით ბარათაშვილია...

ასე აქებს და ადიდებს, უმღერის და უჭირნობი შარავან-  
დედით რთავს ხალხი თავის ძველთაძველს, მაგრამ მარად  
ახალსა და სიცოცხლით სავსე თავის დედაქალაქს.

---



## 1. გახტანგ მეფე...

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,  
 ციდან ჩამოესმა რეკა;  
 იალბუზზედ ფეხი შესდგა,  
 ღიდმა მთებმა იწყეს დრეკა;  
 ოსეთში გადაიარა,  
 ჩერქეზები გადარეკა...

## 2. გორგასლამ

პირდაპირ შამავხედევდი  
 ციხის გალავნის პირსაო.  
 ნეფე ყოფილას გორგასლამ,  
 მშვილდ უჭეხებავ გმირსაო.

## 3. დავთ აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება და განახლება

ძლევამოსილმან მეფემან  
 არლა ჰყო ხანთა ზმულობა,  
 მოვიდა ტფილისს, მოიცვა,  
 ჰყო რაზმთა გარმოლგმულობა,  
 შელეჭა კარნი, შემუსრა,  
 ციხის მცველთ ჰმატა წყლულობა,  
 ალილო ციხე, თურქთა ჰყო  
 ღაყრულთა გამოსხმულობა.

როსწყვიტნა მათნი კრებული,  
 რაცა მუნ იპოვებოდეს,  
 მძორთა მათზედა ფრინველი  
 და მხეცნი მრავლად ძღებოდეს,  
 განსწმინდნა, თურქთა სახელი  
 მუნ არღა იხსენებოდეს,  
 დიდხანს იმათგან პყრობილნი  
 ადგილინი განათლდებოდეს.  
 დასცა მიზგითნი, საცეცხლე,  
 სადა ვით იპოვებოდა,  
 ეკლესიანი შეამკო,  
 ძველ შენი განახლდებოდა,  
 სამღვდელო დასი ქალაქესა  
 დიდებად იარებოდა,  
 წმინდანი აიაზმანი  
 ყოვლს კიდეს ეპკურებოდა.

თვისსა ძალის მომცემელსა  
 მეფე მადლსა შესწირვიდა,  
 აღავლენდა მადლობასა,  
 მოუკლებლად ცრემლსა ღვრიდა,  
 ერთსა მსგეფსსა დაუცალად  
 ყოვლს საყდარსა ზარსა ჰქვრიდა...

#### 4. ნეტა ქება ოოგორ ითქმის...

ნეტა ქება როგორ ითქმის  
 ამ თბილისს ქალაქისაო,  
 იმისი აბანოები  
 ფასია ხმელეთისაო.  
 ოთახები ააშენეს  
 ნათელი არის ქვისაო,  
 ფანჯარები დაატანეს  
 საყურებელი მზისაო,  
 შიგ წყარო ამოიყვანეს  
 ის არის კრამიტისაო,

ქალაქის ხალხი გამოდის  
 როგორც ფურცელი ხისაო,  
 ქალი და რძალი ლამაზი  
 როგორც ვარსკვლავი ცისაო.

### 5. ნეტა რა არის მისთანა

ნეტა რა არის მისთანა,  
 ამომავალი მზისთანა,  
 გაღმა-გამოლმა ქალაქი,  
 შუაზე მეიდნისთანა,  
 წყალში რო ფეხი უდგია,  
 იმ ოქროს ჩარცახისთანა,  
 კაცის ხელითა ნაშენი  
 საყდარი გელათისთანა,  
 დედის ძუძუთი ნაზარდი  
 ქეთევან დედოფლისთანა.

### 6. თბილისო, დედაქალაქო

თბილისო, დედაქალაქო,  
 შემკულო ყოვლის ფრითაო,  
 გარემო ბალი, ბალჩანი,  
 აღმატებულის მთითაო,  
 უძველეს ყოვლის სოფლისა,  
 წელობით დიდის ხნითაო.  
 ვის ძალუძს ღირსაღ შეგამკოს  
 გამომეტყველის თქმითაო.  
 სხვანი, სხვა ალაგს აქებენ,  
 უღირს არიან ქებისა,  
 შენს მსგავსსა რასა ჰპოებენ  
 რათა აქვსთ ენა თნებისა.  
 შენსა არ ჰყოფენ ხსენებას  
 უსმენნი ჩემის ცნებისა

ვის არ უყვარხარ, გიშუნებს  
 იგიმცა დაიმხებისა...  
 გარემო შენსა გივიან  
 ბაღნი, მინდორნი და ველნი,  
 ზაფხულით მუნ მოილტვიან  
 ქალნი, ჭაბუქნი, მხცოველნი.  
 მუტრიბთა, ჩანგთა და ბარბითთ  
 ხმიანობისა მპოველნი,  
 რა სიამოვნით სტკებიან  
 მუნ მსმენი კაცნი ყოველნი.  
 პირველ მეფეთა სამყოფი  
 იყო საღურად ხომ ესა?  
 შემდეგ ამისა მთავრობამ,  
 მმართველობა აქ აწესა,  
 მას სხვა ქალაქი არა სჯობს  
 არის ცნობილი ეს დღესა,  
 ნიშებით უნაკლულო  
 ის შეუქმნია მისს სვესა.  
 მტკვარი მოუდის უმანკო  
 სნეულთა სამკურნალები,  
 ზაფხული მისსა გარემო  
 ხშირად ყრილობენ ქალები,  
 ჩაის სმით, სამხრის შექცევით,  
 მათს მსჰერეტელთ ასდით ალები;  
 ზედ სმიან წითელ ღვინოსა  
 სიტკბოთი არა მთვრალები.  
 აბანოს მსგავსი რა არის  
 არ მოიძევის არსადა,  
 ბუნებით თბილი წყალი სჩქეფს  
 სნეულთ მკურნალი არადა  
 მუნ მოილტვიან ქალ-ყმანი  
 საბანად, სასუფთავადა;  
 გამოვლენ ელვა ჰკრობიან,  
 ამშვენებს თმანი ტანსადა.  
 ზოგს სხვა ქვეყანა უქია,

მაგრამ თბილისზე არს შორი,  
 უსაფუძვლოდა არ ვყბედობ  
 და არცა არის რა ჭორი  
 არა ვმლიქვნელობ ენითა,—  
 არსად არ არის მის სწორი,  
 ლალვით ქვა მკრიბეთ, თუ ვცრუ,  
 მრავლად მაყარეთ ქვა ყორი...

### 7. ამბავ მოვიდა ბარადა

ამბავ მოვიდა ბარადა.  
 ჯარ მოდის თათრებისაო,  
 კაცი მალალა ბატონმა,  
 თავი დამჭირდა ყმისაო,  
 ხევსურებ ჩამომივიდან  
 თორ ქალაქ წამერთმისაო.  
 სანეს შეყრილან ხევსურნი  
 ნარჩევნი თემ-თემისაო,  
 ღასვეს ბელლის კარს ქადაგი,  
 ლალის გუდანის ჯვრისაო,  
 ადგეს, წაგიდეს ხევსურნი,  
 ერთმანეთს არ უცდისაო,  
 არაგვზე ჩამააწყვიან  
 ჯარ თეთრი ხირიმისაო  
 ჩავიდეს ქუდსახდელასა,  
 ელვა დგას ჩაჩენებისაო.  
 ჭეხით მოართვეს სალამი  
 ერეკლეს, მეფის შვილსაო,  
 ერეკლემ ჰეიოთა მშვიდობა,  
 მზე ეფინება პირსაო.  
 გახვირდა კაცო თავადები,  
 ერთ ხევსურ კარგად ცდისაო,  
 ეგ ნათელიძე იქნების,  
 ერეკლე იცინისაო.

დემზადენით, ხევსურნო

ჩაჩქნებ დაიღვით თავზედა,  
 თათრების მოლოდინით გვოქვ,  
 გან ვსხედვართ ლუდის სმაზედა,  
 გაგვიძველ, ნეფე ერეკლევ,  
 წავდგათ კრწანისის გზაზედა.

### 8. ჩამპაული შეიკაზმა...

პამპაული შეიკაზმა  
 თოფითა და ჭინჯილითა,  
 უნდა ქალაქსა მივაღე,  
 ამოქხოცო შიმშილითა,  
 ეს რომ ერეკლემ გაიგო,  
 გადაბრუნდა სიცილითა...  
 ზარბაზნები დაადევნა,  
 თხებივით დაილალაო,  
 შარშან შემძვრალნი ჩირგვებში  
 დღესაც არ გამოძვრალანო.

### 9. აბდულას ყარაულები

აბდულას ყარაულები.  
 ქალაქის ხიდზე მდგარაო;  
 მანდით აყრილა აბდული,  
 დილომჩი გადმომდგარაო.  
 ერეკლეს კაცსა ულალავს:  
 „ერეკლევ, ჩემო ნალაო,  
 გამამილალე სურსათი,  
 ჩემი ქალაქის ღალაო!“  
 ეგ რომ ერეკლემ გაიგო,  
 სიცილით გამაძლარაო:  
 „რა ქნა მა წითელ მელამა?  
 ტყავი შინ მამიტანაო!“...

## 10. აბდაულა და ერეკლე

აბდაულა შეიკაზმა  
 თოფითა და ჭინჭილითა:  
 „ჩავალ თბილის, შემოვდგები,  
 შევაჭირვებ შიმშილითა,  
 ისე გაცუხდი საქმესა,  
 სულ იწოდნენ სირცხვილითა...  
 ეს რომ ერეკლემ შეიტყო  
 გადაბრუნდა სიცილითა,  
 „მეფე ერეკლე მოგივდეს,  
 ვერ გაგხეოქო სირბილითა,  
 კოჭორი გაგარბენინო;  
 მონასტერი ტირილითა!“

## 11. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევაზე

ეს რა საქმე დაგვემართა  
 ალა-მალმეტ ხანისაგან,  
 მაცხოვარო, დაგვიფარე  
 ზოგნი დატყვევებისაგან.  
 არჩივა ყორლანაშვილმა,  
 გაუგზავნა ბამბა, ტარი:  
 „დაჯექ ყევნო, დაართე,  
 შაიქნები ჩვენი რძალი!“  
 ეს რომ ყევნმა შაიტყო,  
 ჭარსა დაატანა ძალი,  
 აღგა, ქვემოთ წამოვიდა,  
 ის ურჯულო არაბელი,  
 სოლოლაკზედ რომ გადმოგდა,  
 ქალაქს აეშალა კვალი.  
 ბევრი მოკვდა არაბისა,  
 იტყოდა ღელვით მტკვარი  
 რაკი ალარ იქნებოდა,—

ჩაჩქნებ დაიღვით თავზედა,  
 თათრების მოლოდინით გვოქვ,  
 გან ვსხედვართ ლუდის სმაზედა,  
 გაგვიძველ, ნეფე ერეკლევ,  
 წავდგათ კრწანისის გზაზედა.

### 8. ჰაშპაული შეიკაზმა...

პამპაული შეიკაზმა  
 თოფითა და ჭინჯილითა,  
 უნდა ქალაქსა მივაღე,  
 ამოვხოცო შიმშილითა,  
 ეს რომ ერეკლემ გაიგო,  
 გადაბრუნდა სიცილითა...  
 ზარბაზნები დაადევნა,  
 თხებივით დაილალაო,  
 შარშან შემძვრალნი ჩირგვებში  
 დღესაც არ გამომძვრალანო.

### 9. აბდულას ქარაულები

აბდულას ყარაულები.  
 ქალაქის ხიდზე მდგარაო;  
 მანდით აყრილა აბდული,  
 დილომჩი გადმომდგარაო.  
 ერეკლეს კაცსა ულალავს:  
 „ერეკლევ, ჩემო ნალაო,  
 გამამილალე სურსათი,  
 ჩემი ქალაქის ღალაო!“  
 ეგ რომ ერეკლემ გაიგო,  
 სიცილით გამაძლარაო:  
 „რა ქნა მა წითელ მელამა?  
 ტყავი შინ მამიტანაო!“...

## 10. აბდაულა და ერეკლე

აბდაულა შეიკაზმა  
 თოფითა და ჭინჭილითა:  
 „ჩავალ თბილის, შემოვდგები,  
 შევაჭირებ შიმშილითა,  
 ისე გავუხდი საქმესა,  
 სულ იწოდნენ სირცხვილითა...  
 ეს რომ ერეკლემ შეიტყო  
 გადაბრუნდა სიცილითა,  
 „მეფე ერეკლე მოგიცვდეს,  
 ვერ გაგხეთქო სირბილითა,  
 კოჯორი გაგარბენინო;  
 მონასტერი ტირილითა!“

## 11. აღა-მაჰმად-ხანის შემოსეგაზე

ეს რა საქმე დაგვემართა  
 აღა-მაღმეტ ხანისაგან,  
 მაცხოვარო, დაგვიფარე  
 ზოგნი დატყვევებისაგან.  
 არჩივა ყორლანაშვილმა,  
 გაუგზავნა ბამბა, ტარი:  
 „დაჯექ ყენო, დაართე,  
 შაიქნები ჩვენი რძალი!“  
 ეს რომ ყენმა შაიტყო,  
 ჯარსა დაატანა ძალი,  
 აღგა, ქვემოთ წამოვიდა,  
 ის ურჯულო არაბელი,  
 სოლოლაკზედ რომ გაღმოგდა,  
 ქალაქს აეშალა კვალი,  
 ბევრი მოკვდა არაბისა,  
 იტყოდა ღელვით მტკვარი  
 რაკი აღარ იქნებოდა,—

მორიდება კარგი არი:  
 ბატონი ცხენზე შებძანდა,  
 აირბინა ანანური,  
 „სად მიხვალ ჩვენო ბატონო,  
 ქალაქი გაქვს სანანური!“  
 თათრები ქალაქს ჩავიდნენ,  
 შიგ დაუკრეს სალამური,  
 ტურფები ბევრი წაასხეს,  
 ბებრებია დადალული.

## 12. ხოჯა-ხანის შემოსვლაზე

ნეტარ ქება როგორ ითქმის  
 ამ თბილის ქალაქისაო,  
 ზამთარი არის ბროლისა,  
 ზაფხული ზურმუხტისაო,  
 გარს ახვევია ბაღები,  
 ჩარხი უბრუნამს წყლისაო,  
 შიგ წისქვილები უბრუნამს  
 გარსშემოვლილი წყლისაო,  
 ქალაქში აბანოები,  
 ბადალი ხმელეთისაო,  
 ძირიდან აშენებული  
 აუზებია ქვისაო,  
 მაღლიდან ამოჭედილი  
 წითელ იაგუნდისაო,  
 გვერდიდამ ფანჯარაები  
 სანათურია მზისაო,  
 ვინც შავა, აგრე გახდების,  
 როგორც თოვლია მთისაო.  
 ქალი და რძალი გამოდის,  
 ვით რო ყვავილი ხისაო.

დუქნები ბევრი დამართეს<sup>14</sup>,  
 სასხდომი ბაყლებისაო<sup>15</sup>,  
 ქვეშ ქუჩები დაატანეს,  
 საჩბენი არი გზისაო,  
 წინ ნათხარი ორმოები,  
 ნაგები სარდაფისაო,  
 ხოის ლაინი ბევრია  
 და ფარჩა ბეზირგნისაო.  
 საყდარიც ბევრი ააგეს  
 ამ თეთრი ქვითკირისაო,  
 ხატი და ჭვარი შიგ არის,  
 სალოცავია ხვთისაო,  
 ბერი და ღვდელი ამთენი,  
 როგორც რო წვიმა წყლისაო.  
 ხაზინაები აწყვია  
 მოჭრილი თამარისაო  
 ერეკლე ბატონი იჯდა,  
 ბადალი ხმელეთისაო.  
 ასტირდა ცა და ქვეყანა,  
 მისთვის არ მოდის დარია,  
 ხოჯა-ხანი წამოვიდა,  
 თეირნით მომავალია,  
 ამდენი ჯარი მოუდის,  
 არ გადასწვდება თვალია,  
 შიგ და შიგ სარდლები მიჰცა,  
 მან კი აართო მხარია.  
 შუშის ხან წიგნი დასწერა,  
 ერეკლეს გაუგზავნია,  
 თავადები დაერჩივნენ,  
 ერთად მოაბან მხარია,  
 საყდრიდამ გამაიყვანეს  
 ის დიდი ძველი ჭვარია.

<sup>14</sup> ქულბაქი ბევრი დამართეს.

<sup>15</sup> გაჭრებისაო.

ზოგი მოუკლავს ტყვიასა,  
 ზოგ მიწას შაუჭამია.  
 „ურჯულოს ხელშა წუ ჩაგვყრა,  
 ისევ შენ მოგვიხმარია“.—  
 ერეკლეს შინ გამოუძღვენ,  
 ვითომ ირემი ხარია,  
 ასე მოპქონდა ლაპლაპი,  
 ვით საომარი ხმალია.

დუშეთში რომ შემოვიდა,  
 ცხენს მოაგოგებს ნელაო,  
 დაჯდა და წიგნი დასწერა:  
 —ჰეგეოდა კალმის ჭერაო,—  
 ეს რუს ხელმწიფეს მიმირთვით,  
 მან გადიყითხოს ყველაო:  
 „ხოჯა-ხანი წამოვიდა,  
 ქალაქი შეამტვერაო,  
 მე აქედამ მომიქცია,  
 ისევ მიშველე შენაო“.  
 გადიკითხა რუს ხელმწიფემ,  
 მუხლზე დაიკრა ხელია:  
 „ვაი შენ ტიფლის ქალაქო,  
 რა ძნელი საქმე ჰქენია,  
 ხაზინაები დაკარგე  
 და ოქროები ბევრია.  
 ზოგი ბოლოზე წავიდეთ,  
 დავიმონაოთ მტერია,  
 ზოგი დარბანზე გავიდეთ,  
 ორად გავაწყოთ გემია,  
 ხოჯა-ხანი დავიჭიროთ,  
 ძალლივით მოვჭრათ ყელია,  
 ქალაქი დავიმორჩილოთ,  
 სულ საქართველო ჩვენია“.  
 ეს ამისი გამომოქმედი  
 სიტყვების ჩამომოვლელია,

ყველანი ერთად დაგლოცოთ,  
 რაც ქვეყანაზე მღვდელია,  
 მისი მადლი შეგეწიოთ,  
 მცხეთას რო ხატი სვენია.

### 13. კენი რომ მოგვესია

ყენი რო მოგვესია,  
 ისიც ღმერთმა მოგვანახა,  
 წამოვიდა თეირნიდან,  
 ზოვა გემებით გადმოლახა,  
 ობილისშიგან ჩამოვიდა,  
 ნაომარი ვერა ნახა,  
 ეგეთი დროება მოხდა,  
 დედამ შვილი ვერა ნახა,  
 შეწუხებულს ავანტყოფსა,  
 უწყლოდ უშრებოლა ხახა.  
 ყმაწვილების კალო ლეწა,  
 პოროველა შემოსძახა,  
 ორმოცდაათი თათარი  
 ერთ ადგილას დაიმარხა.  
 რკინის ურმები შასბა,  
 ავლაბრისკენ გაუძახა.  
 ავლაბრის ხილზე რო შედგა,  
 მაშინ მტკვარში ჩაუძახა...

### 14. ატირდა ცა და ქვეყანა

(ვარიანტი)

ატირდა ცა და ქვეყანა,  
 მიტომ არ მოდის დარია.  
 წამოსულა ხოჯა-ხანი,

ორგიდგან<sup>16</sup> მომავალია.  
 იმტონი ჭარი მოუდის  
 არ გადუწვდება თვალია.  
 „შუში-ხან, წიგნი დასწერა,  
 ერეკლეს გაუგზავნია“.  
 ერეკლემ შემოუტივა:  
 „აკი წაგიწყდა ხმალია,  
 ზედ კლდეზედ ციხე მიღვია,  
 ზედ აქვს მაგარი კარია,  
 შიგნით მიბრუნამს ქარხანა,  
 გარს შემამივლის წყალია,  
 მოხვალ, ისრევ გაგაბრუნებ,  
 როგორც ნადირმა ცხვარია“.  
 ადგა და ზედთ წავიდა,  
 იქ აღარ ჰქონდა ძალია.  
 სარდლებსა ეხვეწებოდა;  
 ნახოთ ერეკლე ხანია,  
 დილით ქალაქი ავიკლოთ,  
 სულ საქართველოს თვალია,  
 ივანე ბატონიშვილი  
 ჭკუიანი და ჩქარია,  
 თავსა დაიდგა ჩაჩქანი,  
 წელს შემოირტყა ხმალია:  
 „შენ, პაპა ჩემო, ერეკლე,  
 ვერ მოვიფიქრე მალია,  
 არა გვყავს თუში, ხევსური,  
 არცა კახელი ჭარია...  
 ჩვენი ქალაქის წახდენა  
 უსამართლობის ბრალია“...  
 ერეკლე წინ წამოუძღვა,  
 როგორც ირემი ხარია...  
 გაშინა ბრძანა ერეკლემ:  
 სიბერე ვად რა ძნელია,  
 დუშეთს მაინც წამიყვანეთ,

---

<sup>16</sup> თეირნით

მამგვარეთ ჩემი ცხენია.  
 ჯილავდრად გამოუმძღვარეს  
 ფარსადან მაჩაბელია...  
 ღუშეთის ტახტზე აბრძანდა,  
 წიგნი იქ დაუწერია,  
 რუსთ ხელმწიფეს გაუგზავნა:  
 „შენ მაინც მამეშველია“.  
 დაფიქრდა რუსთა ხელმწიფე,  
 მუხლზე დაიკრა ხელია,  
 ვაიმე, თბილის ქალაქო,  
 საქმე მოგსვლია ძნელია,  
 ხაზინა ბევრი დაპკარგე  
 და მანეთებიც ჭრელია.  
 ღენერლები დამიძახეთ,  
 ჯარი შეპყარონ ბევრია...

### 15. თურქექმანი თბილისში

ორშაბათ დილას გათენდა  
 ავი დილა, ავი დარი,—  
 ყმაწვილების კალოს ლეწვეს  
 თურქექმანის ცხენის ნალი.  
 ერეკლე გამაქცეულა,  
 მუხლებს ალარა აქვ ჯანი.  
 შამეეყრების რუსები, სამის ბატონისა ჯარი.  
 — „რამ გამაგაქცივ, ერეკლე,  
 რამალ დაგატანა ძალი?  
 — „რასა მკითხევდით, რუსებო?  
 მტერმა მამტაცისა კარი.  
 შამავიდა თურქექმანი,  
 ქალაქს გაადინა ალი.  
 მიუბრუნდათ, გავაქციათ,  
 ამავიგდათ მაგის ჯავრი!“.  
 არ დაიჭერეს რუსებმა: ,

„ჩვენი უფრო დიდი ჯარი,—  
თურექმანმან უნდა ხის  
ქალაქის პირ ალაზანი“.

### 16. ქალაქის არევა

ლმერთო, რა დიდი ბრალია  
არევა ქალაქისაო,  
დალევა ბაგრატიონთა,  
ჩარჩევა მასკვლავისაო,  
მეფის ერეკლეს სიკვდილი,  
დაქცევა ხმელეთისაო!..

### 17. თბილისის გაოსრებაზე

ვის გახსოვთ ქალაქი, ყოვლით ქებული,  
მას შიგ მცხოვრებნი, კეკლუც-ნაზნი განმშვენებული,  
აწ მიდით, ნახეთ, როგორ არის აოხრებული,  
მისნი მშვენიერ ქალ-ვაჟ-კაცნი დატყვევებული!  
მიკვირს, ბატონი, თუ რას ფიქრობს მოთმინებული.

ვაი ქალაქი რა მწუხარეთ სატირელია,  
რამდენის წლისა აღშენებული, ძველის ძველია,  
ის როგორ ადვილ გასამეტად დასაწველია!  
რად არა გვყვანდათ თავის გვარად ლაშქარ მცველია,  
რომ მტრის მოსვლაზედ ყოფილიყვნენ პასუხისმგებელი—  
მიკვირს, ბატონი, თუ რას ფიქრობს მოთმინებული..

ეს რა გარდაგვხდა ძნელი საქმე, ეშმაკ-ქაჭური,  
სახლებიც დასწვეს სუყველასი მიწურ-გაჭური,  
ჯავრი ჩაგვივება ერანისა მეტად განჯური,  
მტერი მოგვარეს არა-კაცი, ხოჯა საჭური.  
მიკვირს, ბატონი, თუ რას ფიქრობს მოთმინებული...

მისი ლაშქარი სანახავად იყო ძნელია,  
 სიმრავლისაგან სულ აღიგო მინდორ-ველია,  
 მრავლად გვეჩვენენ, ვით ჭაობში ლერწამ-ლელია.  
 ამ მიზეზითა არ ვიყავით მომზადებული.  
 მიკვირს, ბატონი, თუ რას ფიქრობს მოთმინებული.

ჩვენ წასახდენლად ღმერთმან მოგვცა ურგები გვარნი.  
 სულ შეაძრწუნა უომროთა მათნი მნახველი,  
 არ ვისლა შეგვრჩა სალოცავი ხატნი და ჯვარნი,  
 ჩვენის ცოდვითა სულ შეიქმნენ ცეცხლში დამწვარნი,  
 რაც თვალმან ნახოს შეიქმნება განცვიფრებული.  
 მიკვირს, ბატონი, თუ რას ფიქრობს მოთმინებული...

მაგრამა, ვგონებ, ღვთით გაოხრდეს თაპრან-ქირმანი,  
 ქართლზედ მოეკრას თავრიზ, ხოი, შაქი, შირვანი.  
 ყენს მიუხტნენ, გაუოხრონ რჯული-იმანი,  
 ომი აჰკიდონ, ზედ მიჰფინონ ცეცხლის წვიმანი.  
 დრო-უამმა უყოს მაგიერი ფას-ლირებული.  
 მიკვირს, ბატონი, თუ რას ფიქრობს მოთმინებული?!?

## 18. ვერ გაიგეთა ქართველნო

ვერ გაიგეთა ქართველნო  
 შეგეხსნათ რკინის კარიო,  
 მზე ჩაგვივიდა უკულმა,  
 ჩავარდა შუა ზღვაშიო  
 მთვარე დაბნელდა გაშავდა,  
 ალარ გვინათებს ცაშიო...  
 ატირდნენ წვრილნი ვარსკვლავნი,  
 ცამაც დაშალა ნამიო:  
 ალარ გვყავს ნეფე ერეკლე,  
 არც იმის ნაომარიო,  
 არ გვიფრიალებს დროშები,  
 არცა სჭეხს ზარბაზანიო.

— ერეკლეს სიკვდილ ვინა სთქვა,  
 გაუხმეს ეხის ტარია,  
 არ მოკვდა ღმერთთან წავიდა  
 ძმას არის განაყარია,  
 შვილებს დაუგდო ბეგთარი,  
 ფხა-სისხლიანი ხმალია:

— სანამდე ვიყავ, ცხენს ვიჯე,  
 მივძრენ და მოვძრენ ზღვანია,  
 ახლა თქვენ გაიმაგროდით  
 ქალაქის მეიდანია

— მცხეთას რომ ვერცხლის კუბო დგა,  
 უნთია კალეპტარია,  
 შიგა წევს ნეფე ერეკლე,  
 ბაგრატიონთა გვარია,  
 ატირდა ერეკლეს ცოლი,  
 იმერელთ ნეფის ქალია:

— ეს ჩემნი თვალნი რასა ჰგვან, —  
 მოლრუბლულნია ცანიო,  
 მალი-მალ ისე ღასწვიმენ,  
 როგორც ნიაღვარ-წყალნიო;  
 ეს ჩემი გული რასა ჰგავ,  
 ცხენთა ნაგალი ნალია,  
 ვერ გაიგეთა, ქართველნო,  
 შეგეხსნათ რკინის კარია,  
 იმისა სანეფოზედა  
 იცილებიან სხვანია,  
 ვაუიმც მქნა, ქალი არ ვიყო  
 თავზე არ მესხან თმანია,  
 ტანზე ჩამაცვა ბეგთარი  
 საჭირო საომარია,  
 მაშინ ის გაიგებოდა  
 ვისიც გასჭრიდა ხმალია  
 რა მალე ვინადირებდი  
 შორით გეჭირა თვალია!

## 19. არაგელი შეთველა ერეკლესადმი

ვაი და ვალალი, ვალალო!...  
 აგრე იარე მცხეთამდინ,  
 მცხეთას კი გაგივაკდება  
 ვაი და ვალალი ვალალო  
 წიგნი კი არ დაასველო  
 ბატონი გაგიჯავრდება  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 ყველი და პური თან მიგაქვს,  
 წყალიც არ შემოგაკლდება,  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 სავარცხელი უბეში გაქვს,  
 წვერიც არ დაგიხავსდება,  
 ვაი და ვალალი, ვალალო  
 ბატონის კარზედ რომ მიხვალ,  
 ნაზირი კარზე დაგხვდება,  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 წვერზე ხელი ჩამოისვი,  
 გულზე კარგად დაგადგება,  
 ვაი და. ვალალი, ვალალო...  
 ნაზირი შენ კარგად გიცნობს,  
 დარბაზში ის შეგიძლვება  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 ჯოხი შინ არ შეიტანო,  
 დიდი სირცხვილი იქნება  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 ბატონი რომ დაინახო  
 მოახსენე გამარჯვება  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 მიდი და მუხლზე აკოცე,  
 ბატონი გაგიღიმდება,  
 ვაი და ვალალი, ვალალო...

არ იცი მეფის ღიმილი,  
 ხალხში როგორ დაფასდება.  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 თქმის წინ კი არ ჩაახველო  
 ბატონს როდი იამება  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 მოახსენე შენებურად,  
 რაც რომ ჩვენგან გებარება,  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 მოახსენე არაგველთა  
 აქვთ მუფევ შენთან ვედრება,  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 სიბერემ არ შეგაშინოს,  
 არ იყოს ქვეყნის ყველრება,  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 თუში, ფშავი და ხევსური  
 სულ შენ თავს შემოგევლება  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 შეგარდნებსავით დავესხათ,  
 ხოგაა, შეგვიშინდება,  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 თუ ჩვენზედ ღმერთი მწყრალია,  
 თათრობა გაღმოვარდება,  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 თუ შენი კარგი ქალაქი  
 ურჯულოსგან აოხრდება  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 მაშინვე ჩვენკენ მოგვმართე,  
 მთის ხალხი გაგიმაგრდება,  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 თუში, ფშავი და არაგვი  
 შენ სულ თავს შემოგევლება  
 ვაი და ვალალი, ვალალო...  
 სანამ ცოცხალი იქნები  
 არაგვი გემსაზურება

ვაი და ვალალი, ვალალო...  
 შენ შემდეგ საქართველოში  
 ვნახოთ ვინ გაირაკლდება  
 ვაი და ვალალი, ვალალო...

## 20. ქალაქში ხორგელა გაჩნდა

ქალაქში ხორგელა გაჩნდა,  
 ოორზე მუსრი ძროხისა,  
 ან ჭირი საქონს დამილევს,  
 ან ხორგელაი ცოლ-შვილსა...

## 21. ხორგელობა ქალაქში

ჩვენი ცოდვით მოგვეწია  
 შუა მარიობისთვესა...  
 პირველად რუსეთს გაგზავნეს,  
 რუსის ჯარში შეუშვესა...  
 მემრე წიგნი გაუგზავნეს  
 ნიკოლაოზ ხელმწიფესა:::  
 „ქართლის ცოდო მოგვეწია,  
 ჯარები სულ დაგვიწყდესა“.  
 ნიკოლოზი ხელმწიფეი  
 ტახტზედ იჯდეს წამოხტესა...  
 „ჩემი ჯარი წამოვიდეს,  
 ქალაქი იქვე დარჩესა“.  
 წიგნი ჩადეს ფოსტაშია,  
 დაბეჭდეს და დალუქესა,  
 მინამ ფოჩტა მოვიდოდა,  
 მას ხორგელა დაარქვესა...  
 ქალაქს წიგნი მოუწერეს,  
 ამ ქალაქის ქეთხუდებსა:  
 „ყველანი დეეშურენით  
 სარჩოსა და ხაზინასა...  
 მოგვეცემა ღვთის წყალობა,

ფაფხური აქვთ ზოგ-ზოგებსა,  
 ველარც არა ივაჭრეს რა,  
 ველარც არა გაყიდესა.  
 ხუთშაბათ დილა გათენდა.  
 ჩვენ ქალაქსაც მოადგესა,  
 თათრის მეიდანს მოვიდნენ,  
 ბარგი სულ იქა ყარესა.  
 სამ წილათ დადგა ხორველა,  
 სამათ ანგარიში ქნესა:  
 ერთსა ერგო ქაშუეთი,  
 ხევის პირი ჩაუბესა,  
 მეორესა — ავლაბარი,  
 ხიდის ყური ჩაუბესა,  
 მესამესა — განჯისკარი,  
 აბანოებ ჩაუბესა;  
 შემოფარგლეს გარს ქალაქი,  
 კაცი აღარ გაუშვესა...  
 ეს გეურქ-აღამ შეიტყო,  
 გულზედ იცემს თავის ხელსა:  
 „ეს რა საქმე მომხდენია,  
 ვაი დედიჩემის ღმერთსა“.  
 ჩალათ უნდა ქარვასლაი,  
 სულ ოხრათაც დაურჩესა.  
 „წავიდე და გავიხიზნო,  
 ხორველა რას მომაგნებსა,  
 ამდენსა სარჩოს ჩავიტან,  
 რაც წელიწადს მომინდესა“...  
 დაბლა ჩავიდა სარდაფუში,  
 მაგრა ადებს კარებს ძელსა...  
 უბედური გეურქ-აღა  
 შიშისაგან გახეთქესა:  
 „ნეტავ ეს ჩემი ქარვასლა  
 ახლა ვის უნდა დარჩესა,  
 მინამ ჩემი სინსილა არს,  
 ხომ ვერავინ წამართმევსა,

ოდეს სინსილა გაწყდება,  
 ეჩმიაწინს შესწირდესა“...  
 სანამ ეს სიტყვა გათავდა,  
 მისი სულიც ამოხდესა...  
 ქალაქს მელიქ სოლომანსა  
 ბიჭად ვერპინ აჯობებსა, —  
 „წამოდით, ვნახოთ გეურქა,  
 ცოცხალია თუ მოკლესა“...  
 ასეთია გეურქ-ალა,  
 ლამის სულით აყროლდესა.  
 ახლოს ვინდა მიეკარა,  
 ფეხთა ღვლეჭი ჩააბესა,  
 საფლავიც კი არ აღირესა,  
 ერთს ხევში გადააგდესა,  
 რაც იქ ქვა და ღორღი იყო,  
 სულ ზედ მას მიაყარესა...  
 ქალაქს მთავარმართებელი  
 ფრანგის ლეკრებს იბარებსა...  
 ქალაქს სიონ ღვთისმშობელი  
 ჩვენის ცოდვით ატირდესა,  
 შევიდნენ და მოახსენეს  
 ქალაქს მთავარმართებელსა.  
 შეუტია მართებელმან,  
 მადიანად გაჯავრდესა:  
 „ღვთისმშობელს რა აატირებს  
 თუ ზეთი არ დაასხესა!“..  
 მაშინ ბრძანა მართებელმა:  
 დაცლა იყოს ქალაქისა.  
 აქეთ-იქით გამორბიან,  
 მელის სოროს მიაგნესა.  
 მაგრამ მღვდელი რო მივიდა,  
 ფეხებზედ წაავლებს ხელსა,  
 იმას ხორველა ეგონა,  
 ფიცხლავ სული ამოსძერესა.  
 ერთ დღეს გაცივდა ქალაქი,

შალლი შიგნით აღარ ჰყეფსა,  
 ზოგი კაცი ხარებს აბამს,  
 აპეურს ვეღარ უჭერსა,  
 ზოგი კაცი ცხენზე ჭდება,  
 საბელს ვეღარ აიკეცსა,  
 ზოგი კაცი ისრე გარბის,  
 ცოლშვილს თავსა ანებებსა...  
 ზოგიერთი ქეთხულები  
 ქირაობენ ხომ დროშკებსა;  
 „ჩვენი მკვდარი დავმარხოთ და-  
 კიდა ეძებს უცხოებსა“.  
 ქედროშკები ამბობენ:  
 „დღეს ჩვენა ვართ განსაცდელსა“.  
 გაიტანეს ქეთხუდება,  
 ავლაბრის ხიდ ქვეშ ყარესა,  
 ზოგი წიხლსაც მიაზელდა  
 და ნიშნსაც კი მიუგებსა:  
 „აცა, შვილო, ქეთხუდებო,  
 აგრე გირჩევნიათ ოქვენცა,  
 მთელებსაც აღარ გვაძლევდით,  
 მოგვიყრიდით ნამტვრევებსა“...

## 22. ხორველამ სოქვა

ხორველამ სოქვა: საცა წაველ,  
 მსხალი მოგჭამე მალათში,  
 ახლა იქიდან გიახელ,  
 ჩამოველ თბილის ქალაქში,  
 შავხედე გეურქ-აღასა,  
 მაღლა ბრძანდება ჩარდახში,  
 ცეცხლივით შემოურბინე,  
 შიგ ჩამოვაგდე სარდაფში,  
 სულარა ვეღარ მოასწრეს,  
 შიგ შაახვიეს ფარდაგში.

## 23. არსენას ლექსი

(ნაწყვეტი)

წამოიყვანეს ქალაქში,  
 თვალიდგანა ღვრიდა ცრემლა.   
 მთელი ქალაქის ბიჭები  
 მტრუდის გუნდივით დასდევსა...  
 არსენს ხელები შეუხსნეს,  
 ფეხში ბორკილი მისცესა,  
 იმ ნარიყალა ციხეში  
 ის არსენა შეაგდესა...  
 მაშინა თქვა არსენამა:  
 „ვაი დედი ჩემის ღმერთსა!  
 მე რომ ამ ციხეში მოვკვდე,  
 ბიჭობას ვინ დამიგდებსა?“  
 იმ აფიცრებს შეეხვეწა:  
 „იმ თქვენი დედაძის მზესა,  
 აბანოში ნაჩვევი ვარ,  
 ტანზე ჭუჭყი მაწუხებსა,  
 წამიყვანეთ აბანოში,  
 მისი დარღი არ გამყვესა.“  
 წაიყვანეს აბანოში,  
 ყარაულები მისდევსა:  
 ერთი საწყალი მანეთი  
 არსენს ჯიბეში უდევსა.  
 ამოიღებს, გადაუგდებს  
 დაუდექანს და სირაჭებსა:  
 რეგობრათ და სირაჭებსა:  
 „სასა ოტკა ჩამოასხით,  
 მისვით მშიერ სალდათებსა“,  
 დახედეთ, ის მიკიტნები  
 რეგობრათაც გაუჩნდესა...  
 სალდათებს ოტკა ჰერნიათ,  
 ჩუმად რომი დაუსხესა...  
 აბანოს კარზე მივიდა,  
 შევიდა და შეალებსა,

უკან მიკიტანი მისდევს,  
 ჯიბეში ქლიბს ჩაუდებსა...  
 ორი კვირა თონეთს იყო,  
 ქეიფებსაც ბევრსა სწევსა...  
 მეორე კვირა გათავდა,  
 ქალაქესკენ გამოსწევსა.  
 მთელი ქალაქის ბიჭები  
 მტრედის გუნდივითა სდევსა...  
 საცა მივა მიკიტნებთან,  
 ყველგან დაუქნევენ ხელსა.  
 ამოილებს იმ ფულებსა  
 აძლევს ტოლ-ამხანაგებსა:  
 „შესანდობელი დალიეთ,  
 როდეს არსენა მოკვდესა“...

#### 24. მეტების საედრის კერძეზე.

მეფემ, ირაკლიმ, ეს ციხე  
 მტერსა წაართო ძალადო,  
 აიღო ჯვარი ქრისტესი,  
 წინ მიიმძლვარა ფარადო,  
 დაიხსნა ეკლესიანი,  
 ახლა აქვს საყდრის კარადო,  
 ხელმწიფეს ლვთის მოყვარესა  
 ასე სჭირს ამა გვარადო.

#### 25. მეტების ციხელ..

ქალაქს მეტების ციხელ,  
 ნაგებო ლურჯი ქვისაო,  
 გარს გალავანი გავლია,  
 სიმაგრე დაღესტნისაო,  
 რკინის გაბია კარები,  
 პრიალა ფოლადისაო;  
 გარს მორე შამოგიდგება

აღელვებული წყლისაო,  
 გამოგითხრიდა ლიბოსა,  
 გამოგირცვევდა ძირსაო,  
 გაიქცევიან ტუსაღნი,  
 ნამყოფი დიდის ხნისაო.  
 გიორგი შავარდაშვილო,  
 არწივო მაღალ მთისაო,  
 ერწოს მოგივა უწყება,  
 ბრძანება ქალაქისაო:  
 „რად არ ჩამოხვალ, გიორგი,  
 ხანი ქონდ ჩამოსვლისაო?“  
 ჩამოიყვანეს გიორგი,  
 სახე ჩამოყვა მზისაო.  
 ბორკილებ გამოიტანეს,  
 დამღონებ ტუსაღისაო.  
 ხელი კრეს, შიგნით შეაგდეს,  
 დაუდგნენ შტიკებითაო.  
 გარს ტუსაღნ მოეხვივიან,  
 ნამყოფნი დიდის ხნისაო.  
 — „ დაჭექ, გიორგი, გვიამბე  
 ამბავი ქვეყნებისაო,  
 ჩვენა აქა ვართ ტუსაღად,  
 დღე გვაქვის უბედურიო“,  
 დაჭდა გიორგიმ, უამბო  
 ამბავებ ქვეყნებისაო:  
 — „მე ქალაქსა ვარ ტუსაღად,  
 დამყრელი ობლებისაო“.  
 გარეთაც გამოიყვანეს,  
 შუქ დაანახვეს მზისაო.  
 შექეჩეს სათრიალეთოდ,  
 ხმა კივილ გამოდისაო.  
 მუხლებზე ხელი დაიკრა,  
 ვაჲ, დედა გიორგისაო.  
 ვინა დაგაბრალ, გივარგი,  
 დახოცვა თათრებისაო?

ე მაგის გამლექსებელი,  
 შირაქის კულტი ზისაო.  
 ჩარგალელ ყაყოჩაია,  
 მათრახის ტარებს სთლისაო.

## 26. მეტები მუზეუმია

მეტებო, შენი სახელი  
 ურუანტელს მგვრიდა ტანშია,  
 საშინელ შეხედულებით  
 თეთრს გამირევდი თმაშია.  
 ვინ იცის როდის აშენდი,  
 ვინ ზიდა ქვა და ტალახი,  
 ვინ მოიყვანეს ჯიელი  
 დედას მოსტაცეს ძალათი.  
 რამ აგაშენა აგეთი  
 ცივი და მიუკარია,  
 რამდენი გამაასვენეს  
 ვაჟკაცი შენგან მკვდარია.  
 მეც შენთან ვიყავ, მეტებო,  
 ვიგემე ცივი კედელი,  
 ვაგინე ამშენებელი  
 იმისი რკინის მჭედელი.  
 ვაჟკაცი იღუპებოდნენ,  
 დედებს ჩაეცვათ შავები,  
 მეტებო, ცივო მეტებო,  
 ნეტავი რას მედავები.  
 შენ მოჰკალ გმირი, ვაჟკაცი,  
 ჩვენი ლალო კეცხოველი,  
 დაიზუზუნა ტყვიამა  
 იცინოდა ურცხვი მკვლელი.  
 გმირი გმირად დაიღუპა,  
 გმირისავე აქვს სახელი,  
 ბევრი მიამბეს ასეთი —  
 თავათც ვყოფილვარ მნახველი.

მაგრამ დღეს ხედავთ ჭიელნო?!  
მეტეხი მუზეუმია,  
აღარ ატირებს არავის  
უწყინარი და ჩუმია.

როგორ არა ვთქვა მე ჩემი  
სიხარული და შექება,  
როცა ამ მოხუც გულშია  
ცხოველი ცეცხლი მენთება.  
რას მოვესწარი მოხუცი,  
ციხეს არა აქვს ძალია,  
სუყველას შრომა იტაცებს  
იმისთვის არა სცალია.

ღმერთმა დასწყევლოს ძველი დრო,  
ახალსა ვენაცვალები,  
ციხე რომ მუზეუმია  
წტერს უბრმავდება თვალები.  
ძეტეხის ციხევ, მაგარო,  
რისთვის გამხდარხარ ჩუმია,  
უწინ მტირალი იყავი,  
ეხლა ხარ მუზეუმია.

## 27. შენ ჩემო დიდო იმედო...

შენ ჩემო დიდო იმედო,  
კოშკო ნაგებო კირითა,  
კახეთს მოჭრილო ისარო  
ქალაქს ნალებო ინითა!  
წითელო მოვის პერანგო  
შვიდგან შეკრულო ღილითა,  
ცავ, წმინდათ, ვარსკვლავიანო,  
მზევ, დაფენილო ღილითა,  
უკვდავებისა წყაროო  
ნადენო ოქროს მილითა,  
შენთანამც ყოფნით გამაძლო,  
შენთანამც წოლა-ძილითა.

## 28. მთა გაშრა, ქვიშა გამოჩნდა

მთა გაშრა, ქვიშა გამოჩნდა,  
 ეხლა ველობის ხანია,  
 ემზადებ სათრიალეთოდ  
 ღვდლიანთ მამუკას ცხვარია.  
 გამოჰყებოდა ნამგალა  
 ჩიტაურისა ცხვარია.  
 ქალაქის ხილზე ჩამოდგებ  
 ცის არ გადასწვდებ ნამია;  
 ქალაქის ხილზე გადიოდ  
 გუგუნით ფშავლის ცხვარია...

## 29. ქალაქის რედაქტორები<sup>17</sup>

ქალაქის რედაქტორები  
 ვარსკვლავებს სთვლიან ცაზედა,  
 სტამბაში ბეჭდენ გაზეთებს,  
 გზავნიან ქვეყანაზედა,  
 პირველ გვირჩევენ კეთილსა,  
 ჩვენც გვარიგებენ ჭკვაზედა,  
 მდიდარის ჭკუით იციან,  
 რაც გარდახვდება თავზედა.  
 გაზეთში ბევრი წერია  
 დარიგებაი ჩვენზედა:  
 კარგია, კეთილი ყოფა,  
 ბევრი გქონდეთ ტანსაცმელი  
 მაინც სულ მცირეთ კვირაში,  
 უნდა გქონდეთ სამი ხელი,  
 უმჯობესია კაცთათვინ,  
 ტანი მოისვენებს თქვენი.  
 მათს კეთილშობილებას  
 გვაქვს პატივი მოვახსენი —

<sup>17</sup> ხალხური ლექსი მე-19 საუკუნის ამბებს ეხება.

ჭეშმარიტად, ჩვენც ხომ გვინდა,  
 ტანსაცმელი გვქონდეს ბევრი.  
 ყოველიფრივ სრული გახლდეთ,  
 ქვევრებითაც ღვინო ბევრი,  
 უღვინოთ პურსა არ ვსჭამდეთ,  
 ღილით გვქონდეს ჩაი ცხელი,  
 სამ ღღეში ერთხელ აბანო,  
 ეკიპაჟიც გახლდეთ ჩვენი,  
 გაუქრობელი სანთელი,  
 ნათლად გახლდეთ თვალი ჩვენი,  
 ძილისთვის მოსასვენებლად,  
 ღივნებიცა იყოს ჩვენი,  
 ატაჟიანი სასახლე,  
 მას ბალკონი ჰქონდეს გძელი,  
 დროსა და დროს ბოლთა დავკრათ,  
 ჩექმა ჭრაჭუნობდეს ჩვენი.  
 მაგრამ უნდა მოგახსენოთ,  
 სიღარიბე გახლამო ძნელი,  
 ამტენი სიღარიბისგან  
 ვერსათ მიგვიწვდება ხელი,  
 სამ ხელს კვირაში ვინ მოგვცემს  
 როცა ერთიც არ გვაქვს წელში.  
 მოგახსენოთ, შეგვიწყნარეთ,  
 გლეხი კაცი რო ვართ ცეცხლში,  
 ბოლომდინაც საჩივარი  
 ახლა მოგახსენოთ ოქვენცა.  
 ღამესა და ღღეს ვასწორებთ,  
 ძლივ ვაცხოვრებთ თავსა ჩვენსა,  
 ხუთის წლისა ბაჟშვებს ვსტანჭამთ,  
 იმას ვამუშავებთ ჩვენცა.  
 მამულებს ძალა წაერთო,  
 ისიც აღარ გვაძლევს ხელსა.  
 ღმერთია უსრულებელი,  
 მოკლედ მოგახსენებ შენცა,  
 უწინდელთ მოგახსენებენ,

ჭკვათამყოფელთა თქვიანო,  
 უწინ ასეთი ღრო გახლდათ;  
 დღეს სამი კვალი ხნიანო,  
 სამის კვალის მოსავალი,  
 შვიდ წელ ვერ შეჭამიანო;  
 ეხლა კომლი სამოც დღეს ვხნავთ,  
 მაინც კი ვჩივით გვშიანო,  
 ამგვარ ყოფაში გახლავართ,  
 გონიარნო და ჭკვიანო.  
 ამგვარ ყოფაში გახლავართ,  
 მოგახსენებთ ჭკუა-გრძელთა,  
 ყოველს სწავლაში ნასწავლნო,  
 კეთილად გვარიგებთ თქვენცა.  
 თქვენი გაზეთები მოსდის  
 უეზდის ნაჩალნიკსა ჩვენსა;  
 რიგდება ყოველ სოფელში,  
 მრავალჯერ მიცილებთ ჩვენცა;  
 ვკითხულობთ და ყურადღებით,  
 გონებაში ვცვივით ჩვენცა,  
 დედის მუცლით რა გამოგვყვა?  
 რაც ვისწავლეთ, — თქვენგან ჩვენცა.  
 ამ სიტყვისთვის არ შეგვრისხავთ,  
 იმედი გვაქვს თქვენგან ჩვენცა.

### 30. დან-დანი შვილო

დან-დანი შვილო, დან-დანი,  
 დუდას ოქროს შანდამი.  
 იცი, თუ შენ ვის მიგცემ, —  
 ქალაქის ბატონის შვილს მიგცემ;  
 ერთ ლიტრიან ჭაჭვს მოგცემ,  
 ჩარექიან ქამარს მოგცემ;  
 ჩარექიან გულისაბამს მოგცემ;  
 ვერაზე წყლის-წისქვილს მოგცემ;  
 ორთაჭალაში ბაღს მოგცემ;

კრწანისში ვენახს მოგცემ;  
 მაღანის<sup>18</sup> აბანოს მოგცემ;  
 თამროს მოახლედ მოგცემ;  
 შაქროსაც ბიჭადა მოგცემ;  
 დან-დანი კეკელოჭან,  
 შენ, ფანი, კეკელოჭან!

### 31. ბიჭო, ვინ წახვალ ქალაქში

—ბიჭო, ვინ წახვალ ქალაქში,  
 ძმაი ვის ყავა ავალა?  
 თუ წახვალ, თან გამიყოლე  
 ქალაქის სანახავალა.  
 გატარებ თიანეთშია,  
 გზას გაქნეინებ შარალა,  
 მიმაქვის ბარგის ურემი,  
 ზედ მიდგას ბამბის კალათა,  
 მინდა გავგზავნო რუსეთში,  
 მოსკოვში დასართავალა.

### 32. დახასიათებანი

ბაზრობა ქალაქური,  
 შეშა დიღმური,  
 ჭურჭელი მცხეთური,  
 საგოდრე ძეგვური:  
 ლობიო სასხორული,  
 ერბო მაღალი წინარეხული,  
 კირი კავთისხევური,  
 ჭილობი იდლური,  
 წყარო ჩივაძიანთ-უბნური.  
 ძალლი გომური,  
 ლოდნარი ნიაბაური,

<sup>18</sup> ციხის

ვამალი ჩოჩური,  
 კუდაზნაურა მეტეხური,  
 ძილი ხანდაკური,  
 ხველა სასირული,  
 თბილი წყარო დოული,  
 პატარძალი გრაფალელი,  
 ჭოჭო უფლისციხური,  
 არშიყობა გორული,  
 ქალი და რძალი ხიდისთაური,  
 ღვინო ატენური,  
 სეტყვა ხოვლური,  
 ყბედა ახალქალაქური.

### 33. გამარჯობა, ჩემო ტფილის ქალაქო

გამარჯობა, ჩემო ტფილის-ქალაქო  
 დაკარგული შენი შვილი მოვედი<sup>19</sup>  
 საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო,  
 თორმეტი წლის უნახავი მოვედი.

მთაო წმინდავ, მამა-დავითისაო,  
 შენ, დარაჯო ქალაქ ტფილისისაო,  
 წმინდა მიწავ, უკვდავ მწერლებისაო,  
 მათ საფლავზედ სალოცავად მოვედი.

დიდო ციხევ, ძველო ნარიყალაო,  
 საქართველოს ძველო მკვიდრო ძალაო,  
 პოლშის ციხემ შენი შვილი მმალაო,  
 სისხლ-გამშრალი საჩივლელად მოვედი.

დიდო ზარო, ჩვენო სიონისაო,  
 ნატრული ვარ შენ დიდებულ ხმისაო,  
 ჩვენო მტკვარო, ძმაო რიონისაო  
 ნაწამები საბანაოდ მოვედი.

<sup>19</sup> პოეტი და აშული ეთიმ-გურჯი მეფის მთავრობამ გადასახლა.

ჩემო ძმებო ჰაოს-ქართლოსისაო,  
გატანჯულსა მიცნობთ დიდი ხნისაო!  
გაყიდული ორპირ მეგობრისაო, —  
გამარჯობათ! ეთიმ-გურჯი მოვედი.

### 34. მეტიური

სატიოზე ტივი შევკარ,  
ტივი არის ნაძვის ხისა,  
ორთაყვირები მოვასხი,  
მოსასმელი არის წყლისა.

ჩემო ტივო მაშინ გაქებ,  
რომ ქალაქში ჩასულიყო,  
თავს მუშტარი დაგხვეოდეს  
სხვაზე მეტად გასულიყო...

### 35. მუხამბაზი<sup>20</sup>

ჩვენო ტფილის ქალაქო, ვეღარ გხედავ სვიანსა,  
ვეღარ გხედავ მხიარულს მოცინარს, ეშხიანსა,  
შენში ვხედავ მრავალსა კაცსა აუგიანსა,  
სინიდის გაყიდულსა ბოროტსა ავ ზნიანსა,  
რაღა ეთქმის ამ დროში კაცსა ნამუსიანსა.

ჩვენთვის ღამეც დღე იყო ყველას გული ხარობდა,  
როგორც მოწმენდილ ცაზედ მზესავითა დარობდა,  
ერთი მეორესათვის სიკეთესა ჩქარობდა,  
შაქრიანის ენითა ყველა სიტყვას ხმარობდა,  
ეხლა ცდილობს ყოველი ერთმანეთის ზიანსა.

სწორე გზას მიმავალი შუა გზაზედ დამდგარა,  
წინ წყალსა უკან ხმელსა, ვერაფრითა ამცდარა,  
ცხვრების მწყემსი ბატონი მგელი-ტურა გამხდარა,

<sup>20</sup> მუხამბაზი ასახავს მე-19 საუკუნის თბილისს. ლექსი გამოთქმულია >

ბოროტის ხე ჰყვავდება სიკეთისა გამხმარა  
საითაკა გაივლი ხვდები გზას ეკლიანსა.

აღარა აქვს გარჩევა უფროს-უნცროსობასა,  
არც ერთობას — სიმტკიცე, არც სურვილი ძმობასა.  
ყველა მიზღვეს ბოროტისა ცუდსა მაბეზღრობასა,  
ყველა თავის ნებასა მისდევს, თავის გრძნობასა,  
მხეცივითა ხალხს ხოცვენ ნაშენ აღამიანსა.

ნუთუ, ჩვენო ტფილისო, კიდევ გნახავ მხიარულს?  
ხალხში ძმობას სიკეთეს და ჭეშმარიტს სიყვარულს,  
ყვავის ნაცვლად მომლერალს, იადონსა და ბულბულს,  
თუ ცოცხალი არ ვიყო, აგრძნობინეთ ამ ჩემს სულს,  
ახსენებდეთ გივიშვილს წასულს და შავგზიანსა.

### 36. ახალი თბილისი

ცხვარი გავლალე თრიალეთს,  
მიველ თბილისის კარსაო,  
გზებ ვეღარ ვიცან იმისი,  
სხვა მხრივ მივრეკდი ცხვარსაო.  
გამოუცვლია ქალაქი  
მთავრობას პირზე დარსაო:  
თითო აგეთი სახლი დგა,  
მტერს თავზე დასცემს ზარსაო.  
ვეღარ გავიგენ გზა-კვალი,  
პირ-პირ შევყევი მტკვარსაო,  
ქუჩები გაუწევიათ —  
აატარებენ ცხვარსაო,  
შიგდაშიგ ბალი დაურგავთ,  
აამებს გულს და თვალსაო...  
კვლავც გაუმარჯვდეს, ქალაქო,  
შენს ამშენებელს ძალსაო,

### 37. რად არ გიმღერო თბილისო ...

რად არ გიმღერო, თბილისო,  
შენ ჩვენო დედა ქალაქო,  
ისე აყვავდი ანაზღად  
არ შეიძლება არ გაქო.  
ჩვენო თბილისო, მეფის დროს  
ღიდად ტანჯულო მხარეო.  
ბევრი ვაების მნახუელო,  
ეხლალა გაიხარეო.

### 38. რუსთაველის

ცამდი გიდიდეს სახელი,  
იხაროს მუდამ უამსაო,  
არ დაგივიწყებს სოფელი  
შენ გაქებს მუდამ წამსაო.  
რა ძალამ მოგცა აგეთი  
ჭკუა, გონება ღილია,  
ჩვენი ქვეყნისა ცაზედა  
ვარსკვლავად ამობრწყინდია.  
შენი სახელი იდიდებს  
საბჭოთა ქვეყანაშია,  
შენ გენაცვალე, მგოსანო,  
სიტყვების გამოთქმაშია.  
ქალაქმა გულზე დაიდგა  
შენი ღიდების ძეგლიო,

ზევიდამ დასცექერ ქალაქსა,  
ხარ უკვდავების ნერგიო.

### 39. დაუკარ ჩემო ჩონგურო

დაუკარ ჩემო ჩონგურო,  
 ტკბილად დაძახეო,  
 ორთავ ერთად შევაფასოთ  
 დღევანდელი დღეო.  
 ვერხვის ძირზე მოჭრილი ხარ  
 შენ პატარა ხეო,  
 მე ტყავერში გაზრდილი ჰეთ,  
 ნაბდის ძველეპზეო.  
 ჩონგურო, გახსოვს მოგზურზე  
 ქონის პატრუქზეო,  
 ერთმანეთს ვერა ვხედავდით,  
 მე შენ, და შენ-მეო.  
 ეხლა დავძახოთ სიმღერა  
 განათლებაზეო,  
 კოხტად აგაწყობ ჩონგურო,  
 ელექტრონებზეო.  
 ქალაქში რომ ლაშქრობაა  
 შოთას სახელზეო,  
 მისთვის ვამბობ, ამოვიდა  
 მთვარის აღგილ მზეო.  
 ეხლა ვზარობ გატანჯული  
 მოჯამაგირეო,  
 უფლება გვაქვს, ჩვენც გაღმოვდგეთ  
 იმ ტრიბუნაზეო,  
 გადავძახოთ, ყველა მშრომელს,  
 ჩონგურის ხმაზეო,  
 ჩონგურმაც ჩაიშკრიალოს  
 თავის მატიმზეო.  
 დაუკარ ჩემო ჩონგურო,  
 ტკბილად დაძახეო,

რა ძვირფასი არის, ძმებო,  
 დღევანდელი დღეო.

#### 40. სიმღერა

რა ლამაზი ხარ, თბილისო,  
 მორთული ოქროს ლილითა,  
 და განაპირა ქუჩებო,  
 ქებას ვერ ვიტყვი პირითა.  
 შენი სიტურფე მიხარის,  
 გული ამევსო ლხინითა,  
 გარდის ბუჩქების სიმწვანით,  
 ნაძის ხეების ჩრდილითა.  
 მტკვრის პირას თლილო, კედელო,  
 ნაგებო ცემენტ-კირითა,  
 უზარმაზარო შენობავ,  
 თერთმეტ სართულო ძირითა;  
 საბჭოთა დიდო სასახლევ,  
 უერად მორთულო ლილითა,  
 ლამაზო ხიდევ, მაგარო,  
 შეკრულო თუჭით, რკინითა;  
 ჩელუსკინელთა სახელი,  
 ხიდო, დაგარქვეს იმითა,  
 ახარებს კაცის სიცოცხლეს  
 ზღვა სილამაზე იმისა,  
 ქუჩისა პირებს ამშვენებს  
 სიმწვანე მაისივითა.

#### 41. სიმღერა თბილისზე

გუშინ მთაწმინდას ვეწვიე,  
 რაც ვნაჲ, აღრეც მჯეროდა.  
 გადაშლილ ბაღსა-ბაღებში  
 ყვავილნარები ჰშვენოდა.  
 ბელადის ქანდაკს ბაგშვების

გუნდი გარს შემოხვეოდა.  
 მათი ლამაზი თამაშით  
 მშობლების თვალი სტკბებოდა.  
 იქვე მჯდომარე მოხუცი  
 მთელ ქალაქს გადასცეროდა.  
 ხელში ფანდური ეჭირა  
 და ტკბილის ხმითა მღეროდა:  
 ჩემი სამშობლოს მშვენებავ,  
 დედაქალაქო, თბილისო,  
 ძველის-ძველო და ახალო,  
 ჩვენი საშვილისშვილისო!  
 სასიხარულო ამბავი  
 გულში სიამით მივლისო:  
 მებრძოლნი დაბრუნდებიან  
 ღამე გამტეხნი ძილისო.  
 შენც ხომ დედა ხარ შვილების  
 გმირებად გამოზრდილისო.  
 მოგივლენ, გაგახარებენ,  
 დარდები გადაგივლისო,  
 გიყვარს მებრძოლის დანახვა,  
 მტერთან ომგადახდილისო,  
 ზოგს მკერდზე ჭილდო ექნება,  
 ხალხში, პირნათლად ივლისო.  
 მზე ამოგორდა ბრწყინვალე  
 გამთენებელი დილისო;  
 ააღორძინა ქვეყანა,  
 მტკვარიც დუდუნით ივლისო,  
 ჭირიმე, შენი ჭირიმე,  
 გმირების დედავ, თბილისო!

## 42. ობილისო

„ჰელი შევაჩე, შევაღე სტუმარმა შენი კარება,  
გულუხვ მასპინძელ მებაღეს საითლა გაგეპარები.  
ბულბულის ენა ავიდგი, მოვმართე გულის სიმები,  
თვალებში ცეცხლი ჩავიდგი ცისკრულად ნაციმციმები.  
ზღვა სიხარული მაჩუქე და მკერდზე დაგეკონები,  
ეს ლექსი გადმოვაშუქე რითმა-იების კონებით.  
სოფელი დავთმე ჭაბუქმა და აქ კი გავხდი შენი ტყვე  
მჩქეფარ ცხოვრების ქარბუქმა დამბანგა, შენ თუ

შემატყე?

რამდენი გმირის დედა ხარ, შენ, — სათაყვანო აკვანო,  
მგოსანთა აღმაფრენა ხარ, არწივის ბუდისა მგვანო!  
შევიტკბე, შევისისხლხორცე სამშობლოს ძარღვი  
მფეთქავი,  
მასზე ჭიკჭიკობს მერცხლურად სიმღერა ხე-ქვის  
მხეთქავი,  
მთაწმინდის სიომ მომწმინდა ალერსით მკერდი მუშური,  
თავი დაუკარ, ავწიე სალმისთვის ქუდი თუშური.

## 43. უსსოვარ დროში ნაშენო...

უხსოვარ დროში ნაშენო,  
ქარცეცხლში გატარებულო,  
თბილის-ქალაქო მტერთაგან  
მრავალჯერ ამტვერებულო!  
ვაშენეთ ახალ ნაგებად,  
ისიც, რაც იყო ნგრეული,  
კიდევ ბევრია საშენი,  
არა გვაქვს დამთავრებული.


ვაჭრების და ჩარჩის ბუდე,  
მოხელეთა ძველი კერა,  
მრეწველობის დიდ ქალაქად  
ჩვენმა ნებამ გამოჰკვერა,

ქარხნის დიდმა საყვირებმა  
უბან-უბან იწყეს მღერა,  
ზოგმა ავტო შეაკეთა,  
ზოგმა ჰქსოვა, ზოგმა ჰკერა.

სახლი, ბალი, ბალჩა, ქუჩა,  
ფართო გზა და ქვაფენილი;  
თეატრები, სტადიონი  
სულ მზით არის დაფერილი.  
ელექტრონის შუქურებით —  
ქალაქია დარბენილი,  
ვის არ უყვარს? ვის არ მოსწონს,  
ახალ სახე გარდაქმნილი.

სრულ ოცდახუთ წელს ფიქრობდა  
თბილისის „დუმა“ დაბდური,  
ავლაბრის გზისთვის რა ექნა,  
ამ ფიქრში იყო ჩაფლული.  
ერთ წელიწადში გავკიდეთ,  
გზა ქარაფ კლდეზე გაბმული  
ბზინავს—ფრიალი აღმართი  
ლამაზად გამოკაფული.

---



## 1. თბილისის დაარსება

ეს მოხდა დიდი ხნის შინათ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა, ქართველების დედაქალაქი მცხეთა იყო. თბილისის მიდამოები გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. ერთ დღეს ამ ტყეში ნაღირობდა ვახტანგ გორგასალი. მეძებრებმა ხოხობი ააფრინეს. ხოხობს მეფის მიმინო გამოედევნა და მალე ორთავენი სადღაც გადაიკარგნენ. მეფე მხლებლებითურთ მიმინოს საძებნელად წავიდა.

ბევრი ძებნის შემდეგ ნახეს, რომ ორივენი ჩაცვივნულან ცხელ წყაროში და ჩათუთქულან. მიმინო თურმე ისეთი სიტრაფით დასცემია ხოხობს, რომ ჰაერში თავი ვეღარ შეუმაგრებია და ბრჭყალებში შეპყრობილი ხოხბითურთ წყაროში ჩავარდნილა.

ეს არემარე მეფემ კარგად დაათვალიერა და ნახა, რომ ამ შშვენიერ ადგილებში დედამიწიდან აქა-იქ ამოჩუხებდა თბილი და ცხელი წყაროები. მეფეს უთხრეს, ამ წყაროებს სამკურნალო თვისებები უნდა ჰქონდესო.

ვახტანგს მეტად მოეწონა წყაროებით მდიდარი ეს ადგილები და ქალაქის აშენება ბრძანა. მალე აქ მართლაც გაშენდა ქალაქი და სახელად თბილი წყლების გამო „თბილისი“ უწოდეს!!... და მოკლე დროში თბილისი საქართველოს დედა-ქალაქად გადაიქცა.

## 2. ფარნაოზ მეფის ნადირობა

არის ერთი თქმულება, რომელსაც თბილისის დაარსება უფრო შორეულ საუკუნეებში გადააქვს:

მეფე თბილისის მიდამოებში ნაღირობდა თურმე და ირემს გადაჰყრია. მეფე ფიცხელი მონაღირე ყოფილა და მშვილდის

პირველივე გასროლით დაუჭრია ირემი. დაკოდილ ირემს იქვე გამომდინარ გოგირდის წყაროებამდე მიუღწევია და ჭრილობა განუბანია. სანამ მდევრები მოაღწევდნენ გოგირდის წყლებმა ირემს მოუშუშეს ნაჭრილობევი. განკურნებულმა ირემმა თავს უშველა. მეფემ ეს სასწაულად მიიჩნია, დაათვალიერა ეს ადგილები, თბილი წყაროები და ბრძანა, რომ ამ მშვენიერ ადგილებში ხალხი დასახლებულიყო. ხოლო თბილი წყლების გამო მას „თბილისი“ უწოდათ.

ხალხის გადმოცემით ეს იყო მეფე ფარნაოზი, რომელმაც ჩვენში მწიგნობრობა შემოიღო.

### 3. მთაწმინდა

დიდი ხნის წინათ ის სივრცე, ახლა რომ ხმაურიან თბილის უკავია, სახნავ-სათესი მიწებითა და ასკილის ბუჩქებით ყოფილა დაფარული. მეტეხის მთის ძირში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, პატარა სოფელი მოჩანდა, ხოლო ზევით კი შედარებით გვიან აგებული თბილისის ციხეს გოდოლები აღმართულიყო. ერთ-ერთ მათგანზე ნიადაგ გიზგიზებდა სპარსელ ცეცხლთაყვანისმცემელთა ბომონის ალი. სოფელში ქრისტიანები (ქართველები), ებრაელები და სპარსელები ცხოვრობდნენ. სპარსთა შორი გამორჩეულნი იყვნენ ძმანი ხოსრო და სოსი; ძენი სახელოვანის რაყდენისა, სპარსელთა მოვისა, რომელიც აწამეს ქრისტიანობის აღიარებისათვის. ხოსროსაც, როგორც მემკვიდრეს, მოგვობა ეპყრა და სისასტიკით, ქრისტიანეთა სიძულვილით იყო ცნობილი. მან მალე შეიტყო, რომ მრავალი მისი თანამორწმუნე ქრისტიანობას იღებდა. დიდი ძიების შემდეგ მიაკვლია, რომ ერთი მოხუცი, რომელიც თბილისის მახლობლად გამოქვაბულში იმაღლებოდა, ცეცხლთაყვანისმცემლებს თავისი მჟერმეტყველებით ხოსროსათვის საძულველი საწრმუნოებისაკენ (ქრისტიანობისაკენ) მიაქცევდა. რაღაც ცხადლივ არ შეეძლო ამ მოხუცის შეპყრობა, მან გადაწყვიტა თავად ქრისტიანეთათვის მოეკვლევინებინა იგი. მის ბნელ განზრახვას თითქოს ხელი ეწყობოდა. მის ძეს ერთი მშვენიერი ქრისტიანი ქალი შეჰყვარებოდა და ხოსრომ ყვითების გადასახლების მიზანით მომდინარეობდა. მის ძეს ერთი მშვენიერი ქრისტიანი ქალი შეჰყვარებოდა და ხოსრომ ყვითების გადასახლების მიზანით მომდინარეობდა.

ლა ხერხი იღონა, რომ იგი ეცოუნებინა. როდესაც საწადელს მიაღწია და ნორჩ მარიამს უკვე აღარ შეეძლო თავისი შეცოდების დამალვა, მაშინ დაიყოლია, რომ გამოქვაბულში მყოფი მოხუცისათვის დაებრალებინა სიძვა, თორემ ქალი ჩაქოლვით უნდა დასჯილიყო. თბილისელმა ქრისტიანებმა, როცა შეიტყვეს ამ ქალის დიდი ცოდვა, შეიპყრეს მოხუციც და ორივენი დასასჯელი მოედნისაკენ წაიყვანეს, სადაც ახლა ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესია დგას.

მოგვმა, მეფისა და ხალხის თანაღასწრებით კვლავ ათქმევინა ქალს მოხუცის სიძვა. ქრისტიანები უკვე ქვებს მაწვდნენ რათა ჩაეჭოლათ სასცვდილოდ განწირული — ეს იყო საცოდავი მოხუცი, ფეხშიშველი და დაძონძილი, რომელიც უსიტყვოდ და მშვიდად დაყრდნობოდა მწირის არგანს. უეცრად მან ზეცას მიაპყრო თვალები, თითქოს ხსნას იქიდან ელოდა, შემდეგ მის სახეს ზეცით გარდმოვლენილი მადლი მოეფინა და ხალხს მორჩილად მიმართა: „ქრისტიანებო! კანონი არავის სჯის მოუთმენლად მით უფრო, როდესაც სიკვდილს განუმზადებენ, მაგრამ რითი უნდა იმართლოს თავი კაცმა, რომელმაც ამ ამბის არაფერი იცის?... და თვით ყრმამ, დედმამის გამამჟღავნებელმა თქვას თუ ვინ არის მისი ჩასახვის მიზეზი! ხოლო ქალმა ბავშვის ნაცვლად ქვა შობოსო!!“

მოხუცი მიუახლოვდა მარიამს, სამგზის შეეხო არგნით მის მუცელს და უთხრა: „ძეო უთხარ ამ უსამართლო აღამიანებს ვინ არის მამაშენი!“ გაისმა ხმა მუცლიდან: „ჩემი მამა არს მუსა ძე ხოსროი“ — დიდარს ღმერთი ქრისტიანეთა — ივრიალა ხალხმა, ჩასაქოლად აღმართული ხელი დაუშვა და ყვალანი მოწიწებით დაპყრებდნენ იმ ადგილს, სადაც დიდი სასწაული მოხდა, მაგრამ მოხუცი იქ უკვე აღარ ჩანდა.

ქალმა ბავშვის წილ მართლაც ქვა შობა. მეფემა და ხალხმა, ამ ახალი სასწაულითი განცვიფრებულებმა, გადაწყვიტეს აქ ეკლესია აეშენებინათ და ბალავერში ნაშობი ქვა და თამნაშავეთა ჩასაქოლად მოგროვილი ქვები ჩატანეს. ამ ტაძარს კი ქვაშვეთი ეწოდა.

ამ ორი სასწაულის ჩამდენი მოხუცი იყო წმინდა დავითი, რომელიც სხვა ქართველ ბერებთან ერთად სირიიდან მო-

ვიდა და ტფილისის ახლო დასახლდა იმ მთაზე, საღაც ახლა მონასტერია, თავის დამფუძნებლის სახელობისა. მთა გაუკალი ასკილის ბუჩქებით იყო შემოსილი. წმინდა დავითმა კლდეზე ბილიკი გაიყვანა, სენაკი აიშენა, წყარო მონახა და ეხლანდელი ეკლესის საძირკველი ჩაყარა, მაგრამ ზემოთ აღწერილი ამბების შემდეგ მან მიატოვა ეს ადგილი და თბილი-სელებმა დიდი სინანულით გაიგეს, რომ მათ სანახებს გაეცა-ლა ღვთისმოსავი, მათვის ღვთის მიერ მოვლენილი კაცი.

წმინდა დავითი განუშორებელ მოწაფე ლუკიანესთან ერთად ყარაიაზის უდაბური მთებისაკენ გაეშურა. მან თავისი ნებით გადაწყვიტა სამუდამოდ განშორებოდა კაცთა სამყოფელს, რისთვისაც ხალხმა მის ახალ სამკვიდროს გარესჭა და-არქვა, ხოლო თბილისთან მდებარე მთას, საღაც მანამდე მწირობდა დავითი, მთაწმინდა უწოდა.

წმინდა დავითმა და მისმა მოწაფემ ლუკიანემ, ყარაიაზის მთებს რომ მიაღწიეს, სწორედ მთებში ჩავარდნილ იმ ადგილას გამოკვეთეს სენაკი, საღაც ახლაც არის გარეჯის უდაბნო. ამ ველურმა და უსიცოცხლო ქვეყანამ, რომელიც მათ მწირობისათვის ამოირჩიეს, სავსებით მოსწყვიტა ისინი კაცთა ნათესავს. ერთ წელზე მეტ ხანს მათი ერთადერთი საკვები ხის ფესვები და გამხმარი ბალახები იყო, ხოლო წყურვილს ქვებში ჩარჩენილი ნაწვიმარი წყლით იკლავდენ. მაგრამ სიცხეებში არც ასეთი წყალი გააჩნდათ. ღირსს დავითს სიზმარში ანგელოზი გამოეცხადა. და თქმულება მოგვითხობს, რომ კლდე უჩვენა მათი საცხოვრებლის ახლოს, რომელიც მისცემდა ყოველდღე ორი კაცის სამყოფ წყალს. მეორე დღეს წმინდა განდეგილმა მართლაც იპოვა დათქმულ ალაგას სუფთა და ცივი წყარო, ხოლო როდესაც ღვთის კაცებს მთლად გამოელიათ ძალი ხანგრძლივი მუშაკობისა და მარხულობის გამო, სამი ფურ-ირემი, რომელთაც ცურები რძით ჰქონდათ სავს-თვითონ მოვიდნენ მათთან. წმ. დავითმა ეს ზეცის ახალ წყალობად მიიჩნია და ლუკიანეს უბრძანა მოეწველა ისინი. ამის შემდეგ ფურ-ირმები აღარ შორდებოდნენ მწირების სამყოფელს. იმ დროს თურმე გარეჯის უდაბნოში ბუდობდა ერთი არაჩვეულებრივი სიღიღის გველი, რომელიც გარეშემო ყვე-90

ლაფერს მუსრს ავლებდა. წმ. დავითმა ზეციური ცეცხლი და-  
ატეხა იმ ურჩხულს და იგი ერთ წამში დაიფერფლა. კახეთში  
ახლაც უჩვენებენ იმ ადგილს, სადაც ეს სასწაული მოხდა.

ერთი მონადირე, რომელიც ტომით თათარი იყო, ამ უდაპ-  
ნოში, სწორედ მწირების ადგილსამყოფელთან, კაკაბს წააწ-  
ყდა. მონადირემ ქორი მიუტია და როდესაც მიჰყვა, საკვირვე-  
ლი სურათი დაინახა. თეთრწევერა მოხუცის ფერხთით განაბუ-  
ლიყო კაკაბი. იქვე იყო მისი ქორიც, რომელსაც თავი ჩაეჭინ-  
დრა, ფრთები დაეშვა და მტრედივით მორჩილი გამხდარიყო.  
თბილისში ადრე მომხდარმა სასწაულმა შორს წაიღო წმინდა  
დავითის სახელი და მონადირემ, როდესაც გაიგო ვისთან იმყო-  
ფება, უმალ მუხლებზე დაეცა და შესთხოვა დავითს, რომ გა-  
ნეკურნა მისი ერთადერთი მძიმედ ავადმყოფი ვაჟი. წმინდა  
განდეგილმა მშვიდად მიუგო: „თუ ჩემი ღმერთი მართალი და  
მტკიცე გულით გწამს, მაშინ სახლში როგორც კი დაბრუნდე-  
ბი შვილი ყველა სატკივარისაგან მორჩინილი დაგხვდება“.

თათარი მონადირე უკვე ადრევე ეჭვით უყურებდა თავის  
რჩულს, სჯეროდა სახარების სიწმინდე და ამ რწმენით დაბ-  
რუნდა სახლში. ერთადერთი ვაჟი მართლაც სრულიად გან-  
კურნებული დაუხვდა. გახარებულმა მონადირემ მთელი თა-  
ვისი ოჯახით ქრისტიანობა მიიღო.

როდესაც წმ. დავითი მიიცვალა მაღლიერმა მონადირემ  
დავითის საცხოვრებელი სენაკი პატარა ეკლესიად აქცია. ეს  
ეკლესია შემდგომ რამდენჯერმე გააღიდეს და ახლა იგი ყვე-  
ლაზე დიდი ტაძარია დავით გარეჭის უდაბნოში. თბილისე-  
ლებმა კი თითქოს მიივიწყეს ის ადგილი, სადაც დავითი ცხოვ-  
რობდა და მთის ღვარებშა მიწით ამოავსეს კლდეში გამოკვე-  
თილი სენაკი. მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ ერთმა  
ასულმა, სახელად ანამ, თავის მოხუც დედას განუცხადა, რომ  
მონაზვნობის ძლიერ სურვილს ვგრძნობ და ხალხში ცხოვრე-  
ბა აღარ მინდაო. იგი ყოველდღე მიაღვებოდა მთაწმინდას,  
დიდის გაჭირვებით გააღწევდა ასკილის ბუჩქებში წმ. დავი-  
თის სენაკამდე, გაწმენდდა, დაასუფთავებდა იქაურობას, ილო-  
ცებდა და შემდეგ ბრუნდებოდა სახლში.

ერთხელ მან სიზმარი ნახა, რომ თეთრწვერა მოხუცმა, რომელსაც ხელში არგანი ეჭირა, უთხრა: „ანა მე მიხარის შენი სურვილი, რომ ხალხს მოაგონო ჩემი დავიწყებული საღ-გური. ხვალ იქ რომ წახვალ, სენაკიდან სამ ნაბიჯზე, ხელმარ-ჯვნივ ქვის ქვეშ ნახავ ცვილის ნაჭერს. უკან დაბრუნებისას მღვდელი შემოგხვდება და მას მიჰყიდე იგი. ხოლო იმ ფუ-ლით, რომელსაც მოგცემენ დაიქირავე მუშები და ჩემი სენა-კისაკენ მიმავალი ბილიკი გააწმენდინე“. ანამ დედას უამბო სიზმარი და დედა-შვილმა ქვის ქვეშ მართლაც იპოვეს ცვილი.

უკან რომ ბრუნდებოდნენ მღვდელი შემოეყარათ. მან ცვილი იყიდა და რა მოისმინა მისი პოვნის ამბავი ორჯერ მე-ტი გადაიხადა. ანამ მუშები დაიქირავა და მათ ბილიკს რომ წმენდნენ, უკვირდათ, რა ადვილი იყო მუშაობა და ამბობდ-ნენ: თითქოს ჩენი ძალ-ღონითა არ კეთდებაო. ამ გზით დიდ-ძალმა ხალხმა დაიწყო დენა სენაკისაკენ სალოცავად, მალე ეკლესიას მრავალი შესაწირავი დაუგროვდა. სამი წლის შემ-დეგ თომა დიაკვანმა და ანამ კათალიკოზს სოხოვეს, ნება დაგ-ვრთე წმ. დავითის მიერ დაწყებული ეკლესია გავასრულოთ მისი დამფუძნებელის სახელობაზე, სადაც თომა მღვდლად უნდა ყოფილიყო, ხოლო ანა კი მონაზონი იქნებოდა. მათ ნე-ბა დართეს და თბილისელებმა სულ მალე ააგეს ეკლესია. ანამ ეკლესიასთანავე გამართა სახლი, სადაც სიკვდილამდე ცხოვ-რობდა.

ნელ-ნელა წმ. დავითის ეკლესია და მისი სანახები შენდე-ბოდა და უკეთესდებოდა, და ბოლოსდაბოლოს ის სახე მა-ილო ახლა რომ აქვს.

აქეთკენ ყოველ ხუთშაბათობით მოედინებოდა მლოცვე-ლები, განსაკუთრებით კი ქალები — ფეხშიშველები, თავ-საფრიანები და შესთხოვდნენ შვილიანობას. ისინი ლოცვით მიჰყვებოდნენ მთის ბილიკს, რომელიც გველივით მიიკლაკნე-ბა კლდეებში.

ხოლო აღდგომის მეშვიდე კვირის ხუთშაბათს მთელი ქა-ლაქი იქ იხდება დიდ დღესასწაულს — მთაწმინდის მონას-ტრის საეკლესიო დღეობას.

გადმოგვცემენ აგრეთვე ამბავს, რომელიც აღა-მაჭად-ხა-

ნის შემოსევას ეხება. მთაწმინდაშ კიდევ ერთხელ აჩვენა თურმე სასწაული. მან შეიფარა თბილისელ ლტოლვილთა ერთი ნაწილი და შახის გამხეცებულ მოლაშერებს, რომლებმაც ასე სასტიკად ააოხრეს ქალაქი, ვერ შეებედნათ ამ წმინდა ადგილებში. მთაწმინდის მონასტერში შეხიზნული ლტოლვილები გადაურჩნენ სიკვდილსა და შეურაცხყოფას ალა-მაჭად-ხანის ველური ჯარისკაცებისაგან.

#### 4. მველებური ამბავი დიდუბის ეკლესიაზე

ის ადგილი, საღაც ამჟამად დიდუბის ეკლესია დგას, ორ ძმას ეკუთვნოდა თურმე. ძმებს უქმაყოფილება რამ მოსვლიათ და ერთ დღეს გადაუწყვეტიათ გაყრა და განაწილება საერთო მიწისა. ხალხი გაღმოგვცემს, რომ ამ დიდუბის ეკლესიას იმ დროს ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის სახელი ერქვაო.

მოუყრიათ შუა კაცები და დაუწყიათ განაწილება. მაგრამ შუაკაცებს მომეტებული ნაწილი ურგუნებიათ უფროსი ძმისათვის და ეკლესიაც იმის ნაწილში მოუქცევიათ. ასეთ სამართალს უმცროსი ძმა ძალზე გაუნაწყენებია: — რა უსამართლოებაა! დიდი უბეც მაგას არგუნეთ და ეს ეკლესიაც! წამოუძახნია უმცროსს და ეს სიტყვები არ დაესრულებინა, რომ ამ დროს უქუხნია ეკლესიას და თავით ბოლომდეს გაყრილა. თანაც მოსულა ხმა:

„კრულია ის მოსამართლე  
ვინც არ გაარჩევს საქმესა,  
მდიდარსა საქმეს გაუწყობს,  
დარიბს მცირესაც ართმევსა“.

აი იმ დღიდან ამ ადგილს „დიდუბე“ დარქმევია და ეკლესის კელელიც გახეთქილია ისე როგორც ახლა ვხედავთ<sup>21</sup>. ძველი ეკლესია ოთხუთხიანია, ერთის დაბალი კარებით დაწყვილი ფანჯრით. იმის აშენებასაც ყველასაგან დაუვიწყარს.

<sup>21</sup> ე. ი. თქმულების ჩაწერის დროს. იხ. შენიშვნები.

თამარ დედოფალს მიაწერს ჩვენი ხალხი და ზოგიერთი ჩვენ მეისტორიეც.

ამბობენ რომ თამარ დედოფალმა, როცა მეუღლეობის გვირგვინი დაიდგა, ქორწილი ამ ეკლესიაში გადაიხადა. ძველ ხალხს ახლაც ზეპირად ახსოვს ლექსი ეკლესიაზე და თამარ დედოფლის ქორწილზე:

საქართველოს დედოფალი

დედა ქართლისა თამარი

სიმშვენიერით მოსილი

ამომავალი მზის დარი.

დავით სოსლანის მეუღლე

რომელს უმშვენა მან მხარი

დიდუბეში იქორწილა

სადაც რომ საყდარი არი.

ნადიმობა გაუმართა

მოიწვია თავის ჭარი

ასი სული ცხვრი დაკლა

და ორასი ნიშა ხარი.

ლურჯი სუფრა გაუშალა

თითქმის იყო ასი მხარი

ქვრივ-ობლებსა უწყალობა

ოქრო-ვერცხლი დიდი ძალი.

დედა ქართლისა თამარი

ბევრიც ვიტიროთ სად არი

საქართველოს დაეკარგა

ოქროს ქსოვილი ქამარი!

სიბრძნე სიუხვით ქებული

დილის ცისკარი სად არი!

ის მნათობი ქვეყნიერი

მკვდარიც ვერ ვჰპოვეთ სად არი!

## 5. თქმულება კალოუბანზე

თბილისის ერთ ძველ ადგილს კალოუბანს ეძახდნენ, სა-  
დაც თურქე მოსავლის სალეწი კალოები ყოფილა გამართულ-  
ლი. ამ უბანთანაა დაკავშირებული ერთი ძველი გად-  
მოცემა. მრისხანე თემურლენგი რვაგზის შემოესია საქართვე-  
ლოს და საბოლოოდ მაინც ვერ დაიმორჩილა თავისუფლების

მოყვარე ქართველი ხალხი. თემურის განსაკუთრებული სი-  
სასტიკე თბილის დატყდა, რადგან საქართველოს დედაქა-  
ლაქი ყოველთვის დიდ წინააღმდეგობას უწევდა ველურ დამ-  
პყრობლებს. ერთხელ განრისხებულმა თემურმა ამ კალოებ-  
ზე თავი მოუყარა თურმე თბილისელ ბავშვებს და თავისი  
ცხენოსანი ჯარით ერთიანად ვადათელა ისინი. სწორედ აქ და-  
ღუბული ბავშვების სახელზე აუშენებიათ ეკლესია, რომელიც  
კალოუბნის სახელწოდებით იყო ცნობილი.

## 6. შავნაბადა და მწევმები თათარი

თბილისის მახლობლად, სოლანლულის ვიწროებს გად-  
მოჰყურებს ერთი ტიტველი გორაკი, რომელსაც „შავნაბადას“  
ეძახიან თბილისელები. ერთხელ შავნაბადასკენ გამოუვლიათ  
მწყემს-თათრებს; რომლებიც თურმე ქალაქში ცხვარს მიერე-  
კებოდნენ. ერთ მათგანს სცმია ახალი ქალამნები, სრულიად  
უხმარი. ახალი ქალამნების პატრონს ხელი გაუშვერია შავნა-  
ბადას გორაკისაკენ, სადაც წმინდა გიორგის ეკლესია. მოს-  
ჩანდა და ამხანაგებისათვის სიცილით უთქვამს:

— „თუ ამ შავნაბადას ძალა აქვს ეს ქალამნები წლის  
ბოლომდე ასევე გაუცვეთელი მექნება როგორც ახლაო“ მის  
ასეთ სიტყვებს ამხანაგებმა სიცილით დასძინეს:

„თუ წმინდა გიორგი მაგოდენა ძალას გამოიჩენს — ვირ-  
წმუნებთო“.

— ქალამნების პატრონი, რომელიც გზაში ხშირად იმეო-  
რებდა სიცილით თავის თხოვნას, სახლში მისვლისთანავე მძი-  
მე ავად გამხდარა და დაკუტებულა! მის ცოლშვილსა და ერთ  
ამხანაგს, რომელიც ამ ამბავს ესწრებოდნენ, ყოველი ღონე უხ-  
მარიათ, მაგრამ ფეხზე ვერაფრით ვერ დაუყენებიათ მოლაყ-  
ბე თათარი. „იქნება წმინდა გიორგიმ იწყინა შენი სიტყვები  
და იმიტომ დაგემართა ავრეო“ — უთქვამს მის ამხანაგს.

„რას ამბობ, წმინდა გიორგის რა ხელი აქვს ჩემთან! ა  
ქრისტიანებისაა და მე კი მაპმადიანი ვარ!“ უბასუნია დაკუ-  
ტებულს. „წმინდა გიორგიმ კი არა, ეს ყველა ალბათ ალაპმა

დამმართა, რადგანაც მე უკვე კარგა ხანია დავივიწყე და ჩვენს  
სალოცავში აღარ დავდივარო!“

გავიდა ერთი წელიწადი და დაკუტებული მწყემსი ისევე  
იყო, ვერაფერი უშველა თურმე თავის სალოცავებმა.

მწყემსი მწარედ დალონდა, ნალვლიანად გადახედა ცოლ-  
შვილს, რომელნიც არანაკლებ იყვნენ დამწუხრებული, და  
შესჩივლა:

— „რაღა ვქნა! მაჰმადიცა და ალიაც, როგორც ჩანს, შე-  
მომწყრომიან და არას მშველიან! მოდი! ისევ შავნაბადას  
წმინდა გიორგის შევეველრები და თუ იმას მართლა ძალა აქვს  
რაიმე და იმან დამაკუტა თვითონვე მომარჩენსო და მაშინ  
ნამდვილად ვირწმუნებ წმინდა გიორგისაცა და იესო ქრის-  
ტესაცო!“

თავის ცოლშვილთან ერთად მწყემსი გულმხურვალედ  
შეევედრა წმინდა გიორგის: „წმინდა გიორგი! თუ ძალა გაქვს  
და შენგან ვარ დაკუტებული, განმკურნე! თუ გინდა, რომ  
გიორწმუნო და თაყვანი გცე წრფელი გულითაო!“

მწყემს დაუსრულებია თუ არა ლოცვა, ფეხზე წამომდგა-  
რა სრულიად განკურნებული.

მთელი ოჯახი განუცვიფრებია ამ სასწაულს, თაყვანი  
უციათ წმინდა გიორგისათვის და მალე მიულიათ კიდევ ახა-  
ლი სარწმუნოება. მწყემს, რასაკვირველია, ახალი ქალამნები  
ახლათვე დარჩენია და წლის თავზე სწორედ ამ გაუცვეთელი  
ქალამნებით ავიდა თურმე შავნაბადას მთაზე სალოცავად.

## 7. ოქმულება სამას არაგველზე

„ჴეი არაგვო არაგვიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია!!  
შენს სამას შვილზე ხომ არა დარღობ! — გყავდა და თითქოს  
არა გყოლია“

კ. ნადირაძე

ეს მოხდა იმ დროს, როცა ქართლში მეფობდა მეფე ერეკ-  
ლე. სპარსეთის ხელმწიფემ მოსთხოვა მას ეცნო ის მეფეთა-  
მეფედ და ხარჯი ეძლია. მეფე ერეკლემ ცივი უარი შეუთვა-  
ლა. სპარსეთის ხელმწიფემ შეჰქრიბა დიდ-ძალი ჭარი და

სასწრაფოთ მოადგა თბილისსა. მეფე ერეკლემ მხოლოდ მცირებული რეოდენი ჯარის მოგროვება მოასწრო. სპარსელები ერთი ოცად მეტი იყვნენ ქართველებზე. ქართველთა ჯარში ერია ერთი რაზმი, რომელიც შესდგებოდა სამასი ფშავ-ხევსურის და არაგვისპირელი გლეხისაგან.

ომის დაწყების წინ ამ რაზმის მეომართ შეჰვიცეს ერთ-მანეთს: „თუ ბედმა გვიღალატა და ვერ დავსძლიერ მტრის ძალა, შერცხვენილი იყოს, ვინც ჩვენგანი ცოცხალი თავით შინ დაბრუნდეს; ან გამარჯვება მტერზე ან სიკვდილი ბრძოლის ველზეო“ ეს ვაჟკაცური ფიცი ვაჟკაცურადვე შეასრულეს ჩვენმა რაზმებმა. როცა რიცხვით მრავალმა სპარსელებმა სძლიერ პატარა ქართველ ჯარს, არც ერთმა რაზმელმა მტერს ზურგი არ უჩვენა, არც ერთი არ შეუშინდა სიკვდილს. ყველანი ებრძოდნენ მტერს უკანასკნელის სისხლის წვეთამდინ: თავისი გმირული სული ყველამ ბრძოლის ველზე დალია, თბილისის ქვემოთ, კრწანისის ველზე. ასეთ გმირობაზე მღერის ხალხური ლექსი:

„ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს ნადირსა შავსა ტყისასა  
ვინც დახვდა, იგივ დახვდება გულდაგულ რაზმსა მტრისასა!

## 8. ლეგენდა ნარიუალაზე

ეს ლეგენდა აღა-მაჭმალ-ხენის შემოსევაზე მოგვითხრობს და თბილისის ყველასათვის ცნობილ ციხეს — ნარიუალს უკავშირდება:

მრისხანე აღა-მაჭმალ-ხანთან მრიყვანეს მშვენიერა ტყვე-ქალი. მეულლე ბრძოლის დროს დაეღუპა. ძუძუმწოვარა ბავ-შვი მტრებმა დედის თვალწინ დაანარცხეს ქვაზე და მოუკლეს. თვით დედა სილამაზემ გადაარჩინა. ეს ქალი საჩუქრად მიჰ-გვარეს შაპს. „ჩემთვის საჭირო! არ არის! ვინ არის ამის მყიდ-ველი! — ბრძანა ათვალისწუნებით საჭურისმა შაჭმა. ქალი შეისყიდა ვინმე მდიდარმა ჯაფარ-ბეგმა, მიიყვანა იმ კოშკში, რომელსაც ნარიუალა ეწოდებოდა. ჯაფარ-ბეგმა ქალს უბრძანა, მაჭმალიანობა მიეღო და მისი ხასა გამხდარიყო. ქალმა

არაფერი უპასუხა. ჩაფიქრდა, მერე ჯაფარ-ბეგს ტელის გული გაუსინჯა და უთხრა: ხელის გულის ხაზები მეუბნება, რომ შენ ამაღამ საკუთარი ხანჯლით სიკვდილი გიშერიაო. ქალმა ჯაფარ-ბეგს ხანჯალი მოსთხოვა — შეულოცავ და უვნებელი გახდება, სიკვდილი თავიდან აგცილდებაო (მაჰმადიანებს სწამთ, რომ ქართველმა ქალებმა იარაღის შელოცვა იციან). ჯაფარ-ბეგმა ხანჯალი შემოიხსნა და ქალს გადასცა. ქალმა ჯერ შეულოცა, მერე ხანჯლის წვერი გულზე მიიღო და ჯაფარ-ბეგს უთხრა: ხანჯლის ტარს ხელი დაჭკარი და დარწმუნდები, რომ არ დავიჭრებიო! ჯაფარ-ბეგმა თხოვნა შეუსრულა და... ტყვე-ქალი გულგანგმირული დაცა ბრძანებლის ფერხთა წინაშე. მტრის ხელში ჩავარდნას და შერცხვენას სიკვდილი არჩია!

## 9. თავდადებული აშენი

ერთი თქმულება საიათნოვას სიკვდილს კრწანისის ამბებს უკავშირებს. თურმე საიათნოვას რომ შეუტყვია მოსალოდნელი უბედურება; მძვინვარე აღა-მაჰმად-ხანი შემოსვას აპირებს თბილისშიო, ახპატიდან, სადაც ის ბერად იყო თბილისს ჩამოსულა და თავისი შვილები მოზღოვს გაუგზავნია, რომლის მცირე ქალაქი სავსე ყოფილა ქართველი ძე-ებით. თვითონ კი თბილისში დარჩენილა და ბინა ციხის ეკლესიაში დაუდვია. შეიძლებოდა განზრახადაც დარჩა თავის აღმზრდელ თბილისში! რომ თავის საყვარელი შოქალაქენი არ დაეტოვებინა „სასოწარკვეთილ და უნუგეშოთ“!

შვილების დაზავნა და სპარსელების შემოჭრა ერთი ყოფილა: შეცვენილან ციხის ეკლესიაშიც და იავარ უქმნიათ იქაურობა. ხოლო ვინც რჯულს არ გამოიცვლიდა სჩეხდნენ და აწვალებდნენ.

საიათნოვა თურმე ამ დროს ეკლესიაში იყო სხვა მლოცველებთან ერთად! ჰლოცულობდა და ზენაარს ავედრებდა ღვთისმშობლის წილხდომილ ქვეყანას.

და რადგან მაშინ სპარსელები ეკლესიაში კაცის კვლას ერიდებოდნენ — შეუძახნიათ: — გამოდი დაგმე შენი რჯულიო! საიათნოვა გამოსულა ჯვრით ხელში. დამდგარა კარის ბჭესთან და უპასუხნია თათრულად შემდეგი ლექსი:

„ჩინ-მანამ ქალისადან,  
ეითან-მანამ ისაღან“,

—  
„არ ვუდალატებ ჩემსა იესოს,  
არ დაუტევებ ტაძარსა წმინდას!!“

ამ სიტყვების შემდგომ მოხუცი მტვირთველი ქრისტეს ჯვრისა, აშული საიათნოვა, მოჰკლეს ურჯულოებმა. ეს მოხდა კრწანისის სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, როდესაც ქართველმა ვაჟკაცებმა გმირულად შესწირეს თავი სამშობლოს და მისი დედაქალაქის თბილისის თავისუფლებას!



## ლექსები თბილისზე

1. ვახტანგ მეფე — მეტად გავრცელებული ხალხური ლექსი, რომლის ზოგ ვარიანტში თამარი გამოდის გორგასალის ნაცვლად, მაგრამ ეს ლექსი სწორედ ვახტანგ გორგასალისადმი მიძღვნილად უნდა მივიჩნიოთ, ამაზე მიუთითებს ლექსის ყველა რეალია. იხ. ვა-ვახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, გვ. 109.
2. გორგასლამ — აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, (ხევსურული), გვ. 79, ჩამწერი გიგია ჭინჭარაული.
3. დავით აღმაშენებელის მიერ თბილისის განთავისუფლება და განახლება — საქართველოს ძველი დროის თავ-გადასავალი, გვ. 98.
4. ნეტა ქება როგორ ითქმის — ხალხური პოეზია, 1934, გვ. 144, მთქმელი მ. მათიაშვილი, გარე კახეთი.
5. ნეტა რა არის მისთანა — ხალხური პოეზია, 1934, გვ. 238, ჩამწერი ს. გაჩეჩილაძე.
6. თბილისო, დედაქალაქო — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის S — 1635. ეს ლექსი მთლიანი სახით მოტანილი აქვს, აგრეთვე, ი. ბალახაშვილს თავის წიგნში, ძველი თბილისი, 1951, გვ. 7—8.
7. ამბავ მოვიდა ბარადა — ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 43.
8. პამპაული შეიკაზმა — ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი „დედაენა“, ნაწილი II, 1912, გვ. 234.
9. აბდულას ყარაულები — ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია (ხევსურული), ტ I, 1931, გვ. 21. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი.

10. აბდაულა და ერეკლე — ქველი საქართველო, II, გვ. 239, ჩამწერი ია კარგარეთელი.
11. აღა-მაჭმად-ხანის შემოსევაზე — პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, წ. I, გვ. 107, ჩამწერი ალ. ჯანდი-ერი, სოფ. ვაჩნაძიანში.
12. ხოჯა-ხანის შემოსევაზედ — პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, წ. I, გვ. 108, ჩამწერი ლ. ჩერქეზიშვილი, 1871, სოფ. ჩაილური. იხ., აგრეთვე, ქართული ქრესტომათია, ნაწილი მეორე, დაბეჭდილი დავით ჩუბინაშვილისაგან, პეტერბურგი, 1863, გვ. 131-2.
13. ყევნი რომ მოვვესია — პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, წ. I, გვ. 120, ჩამწერი სიღამონ ერისთავი, სოფ. ველისციხე.
14. ატირდა ცა და ქვეყანა — ეს არის ხალხური ლექსის „ხოჯახანის შემოსვლაზედ“ ვარიანტი და საკმაოდ განსხვებულიც ამიტომ ეს ლექსიც შევიტანეთ კრებულში. ამ ლექსის შესახებ იხ. პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, წ. I, გვ. 566. ჩამწერი დარ. მამაცაშვილი, ქართლი.
15. თურქმანი თბილისში — აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია (ხევსურული), ტ. I, გვ. 23. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი.
16. ქალაქის არევა — ნაწყვეტი ხევსურული ლექსიდან. იხ. აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია (ხევსურული), ტ. I, გვ. 23. ჩამწერი ბ. ოჩიაური.
17. თბილისის გაოხრებაზედ — ლექსი ეკუთვნის ხალხურ მთქმელს გორელ სტეფანე ფერშანგიშვილს. ჟურნ. „კრებული“ № 11-12 (1873 წ.).
18. ვერ გაიგეთა ქართველნო — ხალხური პოეზია, 1934, ქუთაისი, გვ. 271, სოლომონ ცაიშვილი, ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში, 1942, გვ. 69-70. ასევებობს ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი. იხ. ა. შანიძე — ქართული ხალხური პოეზია ტ. I, გვ. 23.

19. არაგველთ შეთვლა ერეკლესადმი — სოლომონ ცაიშვილი, ერეკლეს სახე ხალხურ შემოქმედებაში, 1942, გვ. 62—64. ამ ლექსთან დაკავშირებით სოლომონ ცაიშვილი შენიშნავს: „ლექსი თუმცა შეტანილია გიორგი ერისთავის თხზულებათა კრებულში — გამოც. 1884 წ. — მაგრამ ხალხურია, რასაც მოწმობს მისი გავრცელებაცა და თვით ლექსის ფაქტიური მხარე, აგრეთვე ისიც, რომ იგი პირველად გ. ერისთავმა მოათავსა უურნალ „ცისკარის“ 1852 წლ. № 10-ში ხელმოუწერლად, ხოლო სათაურადაც „სოფლური სიმღერა“ უწოდა; სქოლიოც ასეთივე აქვს: „არაგველთ შეთვლა მეფე ერეკლესადმი, როდესაც ალ-მაჰმად-ხან შემოადგა ტფილის, არაგვში ჩაგდეს მოციქული, რომ ვითომ უფრო ჩქარა მივიღოდოდა და ეს უმღერესო“. იხ. სოლომონ ცაიშვილის ზემოთ დასახელებული წიგნი, გვ. 86.
20. ქალაქში ხორველა გაჩნდა — ძველი საქართველო, II, გვ. 337, ჩამწერი ვაჟა-ფშაველა.
21. ხორველობა ქალაქში — არსებობს ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი. აქ აღებული ერთი ვარიანტი იბეჭდება კოპიურებით, რაც თბილისს ეხება. ეს ლექსი და სხვა მისი ვარიანტები, იხ. პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, წიგნი I, გვ. 219.
22. ხორველამ სთვა — პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, წიგნი I, გვ. 224, ჩამწერი ა. ნ. ფერაძე, 1871.
23. არსენას ლექსიდან — (ნაწყვეტი), პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, წიგნი I, გვ. 26—31.
24. მეტეხის საყდრის კედელზე — პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 285, ჩამწერი პ. უმიკაშვილი. იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, თბილისი, გვ. 165.
25. მეტეხის ციხეო — ს. მაკალათია, თუშური ლექსები, გვ. 46. მთქმელი თებრო იჭირაული, ს. ომალო.
26. მეტეხი მუზეუმია — ნ. კაკუშაძე, თანამედროვე ხალხური პოეზია, გვ. 208, მთქმელი ბ. გოცირიძე.

27. შენ ჩემო დიდო იმედო — ხალხური პოეზია, სახელგამი,  
 1934, გვ. 13, მთქმელი ბრძა მეჩონგურე სანდრო  
 ბეჭაურა.
28. მთა გაშრა, ქვიშა გამოჩნდა — საუნგე ხალხური შემოქმე-  
 დებისა, III, გვ. 226, ჩამწერი რ. ელანიძე.
29. ქალაქის რედაქტორები — პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტ-  
 ყვიერება, I, გვ. 186, ჩამწერი ნინო ბარათაშვილი,  
 სოფ. მარაბდა.
30. დან-დანი შვილო — ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლ-  
 კლორი, გვ. 36, ჩამწერი ალ. მირაქიშვილი.
31. ბიჭო, ვინ წახვალ ქალაქში — ს. მაკალათია, თუშური  
 ლექსები, გვ. 59, მთქმელი სიღო მოზაიძე, სოფ.  
 ღიკლო.
32. დახასიათებანი — საუნგე ხალხური სიტყვიერებისა, ტ. II,  
 ჩამწერი გიორგი ლეონიძე.
33. გამარჯობა ჩემო ტფილის ქალაქო — თბილისელი პოეტი-  
 სა და აშულის იეთიმ გურჯის ლექსი, როცა ის მეფის  
 მთავრობის გადასახლებიდან დაბრუნდა. იხ. იეთიმ  
 გურჯის ლექსების კრებული და აგრეთვე ი. გრიშა-  
 შვილის წიგნი, ძველი თბილისის ლიტერატურული  
 ბოჰემა. გვ. 167, 1928.
34. მეტივური — ხალხური პოეზია, 1934, გვ. 175.
35. მუხამბაზი — დავით გივიშვილის მიერ შედგენილი წიგნი  
 „ჩვენო ტფილის ქალაქო და სხვ. ლექსები“, ტფილ-  
 სი, 1910, გვ. 4-5.
36. ახალი თბილისი — ნ. კაკუშაძე, თანამედროვე ხალხური  
 პოეზია, გვ. 112, მთქმელი ვ. ბუჩუკური, ჩამწერი  
 ი. მჭედლიშვილი.
37. რად არ გიმლერო თბილისო — მთქმელი გ. ლაშქარაშვილი,  
 ჩამწერი კაკუშაძე.
38. რუსთაველს — ნ. კაკუშაძე, თანამედროვე ხალხური პო-  
 ეზია, გვ. 145, მთქმელი გ. ლაშქარაშვილი, ჩამწერი  
 ნ. კაკუშაძე.

39. დაუკარ ჩემო ჩონგურო — ნ. კაკუშაძე, თანამედროვე ხალხური პოეზია, გვ. 188. მთქმელი ბ. გოცირიძე, ჩამწერი ნ. კაკუშაძე.
40. სიმღერა — კრებული, სტალინი ქართულ ხალხურ პოეზიაში.
41. სიმღერა თბილისზე — მთქმელი მუშა-პოეტი გ. ხეჩუა-შვილი, 1946 წ. გადაუცია სოლ. ცაიშვილისათვის.
42. თბილისო... „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1957, 17 აგვისტო. მთქმელი ელიზბარ ბაიხოძე. ახმეტის რაიონი, სოფ. ზემო ალვანი.
43. უხსოვარ დროში ნაშენო — ლიტერატურული საქართველო, 1936, № 1.

### თქმულებები თბილისზე

1. თბილისის დაარსება. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ლეგენდა, რომელიც ვახტანგ გორგასალს მიაწერს მცხეთიდან დედაქალაქის თბილისში გადმოტანას. როგორც ცნობილია „ქართლის ცხოვრებაც“ იძლევა ანალოგიურ ცნობებს. იხ. ამაზე: პროფ. მ. ჯანაშვილი, თბილისი, 1899; დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, 1952, გვ. 24; იაკობ ბალახაშვილი, ძველი თბილისი, 1951, გვ. 5.
2. ფარნაოზ მეფის ნადირობა. ახლოს დგას პირველ ლეგენდასთან, ოღონ აქ ლაპარაკია თბილისის არა დედაქალაქი გადაქცევაზე, არამედ მის დასახლებაზე, ხოლო მეფედ ამ ლეგენდაში ფარნაოზი გამოდის, რომელიც მეფობდა ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისიდან. ამ თქმულებით თბილისი წინა აზიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქად ჩანს. საინტერესოა, რომ ამ თქმულების ერთგვარ გამოძახილს ვხვდებით „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილში, რომელიც ლეონტი მროველს მიეწერება და საღაც ქართლის ძველ მეფეთა ცხოვრებაა მოთხოვილი. ამასთან დაკავშირებით პავლე ინგოროვა თავის „გიორგი მერჩულეში“ შე-

ნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ეს ადგილები ფოლკლორული წარმოშობისა და, რაც მთავარია, ისინი ძველი ქართული ლექსით, ანუ „წყობილი სიტყვით“ არიან შესრულებულნი (იხ. გიორგი მერჩულე — გვ. 727). „ქართლის ცხოვრების“ ეს ადგილები გარკვეული ინტერესის გამო მოგვაჭვს პავლე ინგოროვას მიერ დადგენილი ტექსტის მიხედვით:

პირველი თქმულება:  
სიზმარი ფარნავაზისა

- I მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი,  
რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა,  
და ეგულვებოდა განსვლა,  
და ვერ განვიდა;
- II მაშინ შემოვიდა სარკმულსა მისსა შუქი მზისა,  
და მოერტყა წელთა მისთა,  
და განიზიდნა,  
და გამოიყვანა სარკმულსა მას.
- III და ვითარ განვიდა ველად,  
იხილა მზე ქუე მდაბლად,  
მიჰყო ხელი მისი და მოჰქოცა ცუარი პირსა  
და იცხო პირსა მისა.

მეორე თქმულება  
ნადირობა ფარნავაზისა და პოვნა განძისა

- I ხოლო მას დღესა შინა განვიდა (ფარნავაზ) და ნადირობდა მარტო,  
და დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა;  
და ივლტოდეს ირემნი—  
ლირლალთა შინა ტფილისისათა.
- II და მისდევდა ფარნავაზ,  
სტყორცნა ისარი და ჰკრა ირემსა:

და მცირედ წარვლო ირემმან,

და დაცა ძირსა კლდისასა.

III მოვიდა ფარნავაზ ირემსა ზედა,

— და დღე იგი მწუხრი გარდახდა;

და დაჯდა ირემსა მას თანა, რათამცა დაჟყო მუნ  
ღამე

და დილეულმცა წარვიდა.

IV ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო,

რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქვითა ძუელად,

და სიძუელითა შეჰქმნოდა

დარღუევა შენებულსა მას.

V მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი,

ხოლო ფარნავაზ აღილო ჩუგლუგი,

და გამოარღვია კარი ქუაბისა მის,

რათა მუნ შიგა დაიმშრალა წვიმისა მისგან.

VI და შევიდა ქუაბსა მას,

და იხილა მუნ შინა —

განძი მიუხდომელი,

ოქრო და ვეცხლი მიუწვდომელი

(იხ. გიორგი მერჩულე — გვ. 727—728)

თხ. აგრეთვე ნ. ბადრიაშვილის წიგნი, თბილისი, 1957,  
გვ. 21—22.

3. მთაწმინდა. ეს ლეგენდა სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება  
როგორც ძველ, ისევე ახალ წყაროებში: იხ. ათცა-  
მეტ სირიელ მამათა სხვადასხვა რედაქციები, ბაქრა-  
ძე-ქავკაზ ვ დრენ. პამятн. христианства тжმუ-  
ლება ქაშუეთზე, გვ. 81. Потто В., Легенды ста-  
рого Тифлиса-Тифлисского листок илл. №1899,  
№1 და სხვ. აქ მოთავსებული ლეგენდის ძირითად  
წყაროდ გამოვიყენეთ გან. „ქავკაზ-ის 1846 წლის  
№49-ში მოთავსებული თქმულება „მთაწმინდა“,  
რომელიც შევსებულია სხვა მასალებითაც.

საინტერესოა, რომ ვახუშტის აღწერილობით მთა-  
წმინდის მონასტერი მოთავსებული ყოფილა იშო-  
ტუტრუქის კლდეზე („იშიტუტრუქის კლდესა შინა,

რას მონასტერი მთაშიმინდისა“), იხ. ვახუშტის „აღწევისა და სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 54. არის ვარაუდი, რომ აქ ქრისტიანეთი სამლოცველოს გაჩენამდე იყო წარმართული ღვთაების იშტარის კერპი. საიდანაც უნდა მოდიოდეს მისი უძველესი სახელწოდება „იშიტუტრუქი“.

4. გველებური ამბავი დიდუბის ეკლესიაზე. დიდუბეზე რამდენიმე თქმულება არსებობს. აქ მოგვაჭვს შედარებით სრული და ჩამოყალიბებული თქმულების ტექსტი, რომელიც მოთავსებულია 1877 წლის „დროებაში“ № 200, თქმულება, როგორც ინიციალებიდან ჩანს (ი. ს. დ.) ჩაწერილი უნდა იყოს პოეტ იოსებ ლავითაშვილის მიერ. „თამარ დედოფლის ქორწილის“ სხვა ვარიანტი მოთავსებულია აგრეთვე „თეატრსა და ცხოვრებაში“, 1915, № 18 და სხვ.

დიდუბის სახელწოდებაზე გავრცელებული ამგვარი ხალხური ეტიმოლოგიური ახსნა, როგორც ჩანს, ძალიან პოპულარული ყოფილა: დიდუბე დიდ უბეა (ადგილს) ნიშნავსო. თავის „აღწერაში“... გვ. 54. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ტფილისის ჩრდილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის-ტერფი“. პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე ფიქრობს, რომ დიდუბე სიტყვა დიდ დუბედან უნდა მოდიოდესო, სადაც დუბე დაბალ, ჭაობიან ადგილს უნდა ნიშნავდესო (იხ. საბა: დუბე-დაბალი ადგილი).

5. თქმულება კალოუბანზე. ამის შესახებ იხ. პლ. იოსელიანი, Описание древ. города Тифлиса, 1886 წ. იხ. აგრეთვე ბ. ბადრიაშვილის წერილი „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1957 წ. 13 აპრილი და ამავე ავტორის წიგნი, თბილისი, 1957.

6. ზავნაბადა და მწყემსი თათარი. იხ. ეს ლეგენდა 1897 წ. „ივერიაში“ № 203. ლეგენდა ჩაწერილია მუშა ნიკო ასლამაზიშვილის მიერ. იხ. აგრეთვე—Кавказская жизнь, წიგ. II, გვ. 49-50.



7. თქმულება სამას არაგველზე. ეს თქმულება სათაურით სპონსორი  
„სამასი თავისადებული გლეხი“ მოთავსებულია  
იაყობ გოგებაშვილის „დედაენის“ მეორე ნაწილში,  
თბილისი, 1912, გვ. 232—3. გარდა აქ მოტანილი  
ხალხური ორტაებიანი ლექსისა, გოგებაშვილს ამ  
თქმულებისათვის ბოლოში დაურთავს გრ. ორბელი-  
ანის ცნობილი სიტყვები:

„აი სამასნი გმირები, დუშეთით თბილის მოსულნი  
მეფის შეწევნად, და მის წინ, მისთვისვე შეფიცე-  
ბულნი

თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა გავჰსდევნეთ  
მტრის ძალი  
იყოს შერცხვენილ, ვინ ჩვენგან შინა წავიდეს

ცოცხალი!

და გარდიწერეს პირჯვარი, ვაჟკაცებრ ხმალი იშიშვლება  
და შევარდენებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა  
სიმრავლეს!

შეჰსძრეს, გაჰფანტეს, მარამა ზედ თავი თვისი  
დააკლეს...

ფიცი ვაჟკაცთა წმინდა არს, მათცა სიკვდილით  
შემოწმეს“.

8. ლეგენდა ნარიყალაზე. ამ ლეგენდის შესახებ იხ. ი. გრი-  
შაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბო-  
ჰემა, საიდანაც თითქმის უცვლელი სახით შემოვი-  
ტანეთ წინამდებარე კრებულში. უფრო დაწვრილე-  
ბით ეს ლეგენდა მოთხრობილი აქვს ვ. პოტოს:

ა) Легенды старого Тифлиса-Тифлисский листок илл.  
1899, №1.

ბ) Памятники времен утвержд. русского Владичества на  
Кавказе, вып. I, Тифлис, 1906, გვ. 74.

როგორც ცნობილია ეს ლეგენდა ნარიყალაზე დიდ  
მსგავსებას იქნენს. ა. წერეთლის „ბაში-აჩუკში“ მო-  
თხრობილ ანალოგიურ ამბავთან. საინტერესოა, რომ  
მსგავსი სიუჟეტის ლეგენდა შეყვარებულ ასულზე,  
რომელიც მოძალადეს იძვე ხერხით შეაკვდება,

ჩვენ შეგვხდა ღატვის მთანეთის ისტორიული ძეგლების დათვალიერების დროს. ეს არის ლეგენდა სიგულდეში მცხოვრებ ერთ ქალიშვილზე, რომლის საფლავს ახლაც უჩვენებენ აქაური მკვიდრნი.

9. თავდადებული მგოსანი ამოღებულია ი. გრიშაშვილის წიგნიდან: ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 84. იხ. აგრეთვე: Потто Легенды етапого Тифлиса, Тифлисский листок илл., 1899, №1. აგრეთვე იმავე ავტორის, საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, „მოამბე“ 1894, №4, გვ. 24.

როგორც ცნობილია ეს ლეგენდა საიათნოვაზე ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან საიათნოვა შემდეგ წლებშიც ცოცხალი ჩანს, მაგრამ ლეგენდა უდავოდ გამოხატავს ამ სახალხო მომღერლის ღრმა კავშირს თბილისთან და მის მოსახლეობასთან. სწორედ ამიტომ ამ უკანასკნელის ფანტაზიამ აშულის სიკვდილი ერთგვარ ლეგენდარულ სამოსელში წარმოგვიდგინა.

შენიშვნები სარგის ცაიშვილისა

### სარჩევი.

|   |     |
|---|-----|
| 1. თბილისი და ქართული ფოლკლორი . . . . .  | 5   |
| 2. ლექსები თბილისზე . . . . .             | 43  |
| 3. თქმულებები თბილისზე . . . . .          | 87  |
| 4. შენიშვნები (სარგის ცაიშვილი) . . . . . | 101 |

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედ.-საგამომც. საჭიროს დადგენილებით



რედაქტორი ი. გ რიშაშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი ნ. მაისურაძე  
ტექნიკური ა. თოდუა  
მხატვარი გ. ნადირაძე  
კორექტორი რ. ფარესიშვილი

გადაეცა წარმოებას 23.8.1958; ანაწყობის ზომა  $5\frac{1}{2} \times 9$ ; ხელმოწერილია  
დასაბეჭდად 3.10.1958; ქაღალდის ზომა  $84 \times 108\frac{1}{32}$   
ქაღალდის ფურცელი 3,5; საბეჭდი ფურცელი 5,74; საავტორო  
ფურცელი 4,44; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 4,55;  
შეკვეთა 1498; უ. 02476 ტირაჟი 2000  
ფასი 2 მან.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა  
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.

զան 2 մաճ.

